გაზეთი დაარსებულია 1918 წელს.

ოთხშაბათი, 5 ოქტომბერი, 2005 წელი.
№230 (5263)

იმისთანა წმინდა საქმეში, როგორიც ბეჭდვითი სიტყვაა, ცრუილებით და ჭორებით ბუნის გატანა ყველა უკადრისობაზე უსაძაგლესია.

# საქართველოს რესპუბლიკა

ელექტრონული ფოსტა: sakresp@gol.ge | ვებ გვერდი: www.open.ge/sakartvelos-respublika | ჩვენს გაზეთს კითხულობენ აშშ-ში, გერმანიაში, რუსეთში, ჰოლანდიაში, საფრანგეთში, უკრაინაში, ისრაელსა და სხვა ქვეყნებში. | ფასი 50 თეთრი.

## ქვეყანა მაშინ გვერქმევა...

**საქართველოს პარლამენტში გუშინ ეროვნული უსაფრთხოების კონცეფციის პრეზენტაცია გაიმართა. ეროვნული უსაფრთხოების კონცეფცია ეროვნული უშიშროების საბჭოში შემუშავდა. როგორც დოკუმენტის ავტორები აცხადებენ, კონცეფცია ქვეყნის უსაფრთხოების პოლიტიკის ძირითად მიმართულებებს ადგენს და სახელმწიფოსთვის ფუძემდებლურ დოკუმენტს წარმოადგენს. მასში ქვეყნის უსაფრთხო განვითარების ხედვაა ჩამოყალიბებული. განსაზღვრულია სახელმწიფოს ფუნდამენტური ეროვნული ღირებულებები და ეროვნული ინტერესები, აგრეთვე ეროვნული უსაფრთოების წინაშე მდგარი საფრთხეები და გამოწვევები.**

კონცეფცია ხაზს უსვამს ქართველი ხალხის სწრაფვას, მოახდინოს ქვეყნის სრული ინტეგრაცია ნატო-სა და ევროკავშირში და საკუთარი წვლილი შეიტანოს შავი ზღვის რეგიონის — როგორც ევროატლანტიკური უსაფრთხოების სისტემის შემადგენელი ნაწილის განვითარებაში, — აღნიშნულია საქართველოს ეროვნული უსაფრთხოების კონცეფციის შესავალ ნაწილში.

დოკუმენტის მიხედვით, საქართველოს ფუნადამენტურ ეროვნულ ღირებულებებად მიჩნეულია ქვეყნის სუვერენიტეტი, უსაფრთხოება, მშვიდობა, დემოკრატია





და კანონის უზენაესობა, ადამიანის უფლებებისა და ძირითადი თავისუფლებების პატივისცემა და კეთილდღეობა. კონცეფციაში საქართველოს ეროვნულ ინტერესად აღიარებულია, ტერიტორიული მთლიანობა, ეროვნული ერთიანობა, რეგიონული სტაბილურობა, თავისუფლებისა და დემოკრატიის განმტკიცება მეზობელ ქვეყნებში. ასევე, ქვეყნის სატრანზიტო ფუნქციის განმტკიცება და ენერგიის მოწოდების ალტერნატიული წყაროების უზრუნველყოფა, ქვეყნისა და რეგიონის ეკოლოგიური უსაფრთხოება და ეროვნული და კულტურული თვითმყოფადობის უზრუნველყოფა.

დოკუმენტში ქვეყნისთვის საფრთხეებად მიჩნეულია დარღვეული ტერიტორიული მთლიანობა, მეზობელ ქვეყნებში არსებული კონფლიქტების გადმოღვრა, სამხედრო ინტერვენცია, რუსეთის სამხედრო ბაზები, კონტრაბანდა, ტრანსნაციონალური ორგანიზებული დანაშაულებები და საერთაშორისო ტერორიზმი.

ეროვნული უსაფრთხოების კონცეფციის დამტკიცების შემდეგ, სამინისტროებმა უნდა შეიმუშაონ და წარმოადგინონ დარგობრივი უსაფრთხოების კონცეფციები, რომელშიც უფრო კონკრეტულად გაიწერება ის საკითხები, თუ რა მიმართულებებით უნდა განვითარდეს ქვეყანა.

## სიტყვა საქმიანი თუ სიტყვა ტალახიანი?



ან ბატონ პრეზიდენტს არა აქვს ინფორმაცია, რა ხდება უნივერსიტეტში (რაც ძალიან ცუდია!..), ანდა უნივერსიტეტისთვის მიცემულ სიტყვას მისთვის მნიშვნელობა არა აქვს (რაც უფრო უარესია!..).

**ნათქვამსა და დანაპირებს პრეზიდენტიც უნდა ასრულებდეს და რიგითი ამომრჩეველიც**

იხ. მე-3 გვ.

### ⦾ ანონსი

**თუ** ინვესტორი დარწმუნდება, რომ საქართველოში სიმართლეს ვერ დაამტკიცებს და სამართალს ვერ იპოვის, იძულებული გახდება, მიმართოს საერთაშორისო საარბიტრაჟო ან ადამიანის უფლებათა დამცველ სასამართლოს. ამ შემთხვევაში ის აუცილებლად მოიგებს პროცესს და მოიგებს არა გარკვეული კრიმინალური ჯგუფის, არამედ საქართველოს წინააღმდეგ.

გაინტერესებთ, რომელ გამწარებულ-დაჩაგრულ ინვესტორსა და კრიმინალურ ჯგუფზეა საუბარი? ამის შესახებ ჩვენი გაზეთის მომდევნო ნომრებში მოგითხრობთ.



## ხელფეხ-შეკრულებმა ენაზეც კლიტე დავიდოთ?!

მოქმედებს თუ არა ქვეყნის კონსტიტუცია გარიგების გაფორმებისას?




იხ. მე-3 გვ.

### ⦾ რას წერენ, რას ამბობენ ჩვენზე

## ყაზახეთის პრეზიდენტი საქართველოს ჰპირდება ნავთობს, გაზს და უხვ ინვესტიციებს

იხ. მე-7 გვ.

## არის, ასრულდა იმედი!

### ბრავო, ბრავისიმო, ბატონო ბესო ჯუღელო!



იხ. მე-2 გვ.

### ⦾ ინფორმაცია

## პრეზიდენტი ვაირა ვიკე-ფრეიბერგა თბილისში

**საქართველო** სამდღიანი ოფიციალური ვიზიტით ლატვიის რესპუბლიკის პრეზიდენტს ვაირა ვიკე-ფრეიბერგას ხვდება.

დღეს საქართველოს პარლამენტში ლატვიის პრეზიდენტის დახვედრის ოფიციალური ცერემონია გაიმართება. დაგეგმილია საქართველოს პრეზიდენტის მიხეილ სააკაშვილისა და ლატვიის პრეზიდენტის ვაირა ვიკე-ფრეიბერგას პირისპირ შეხვედრა.

დაგეგმილია ასევე, ლატვიის პრეზიდენტის კახეთის რეგიონში გამგზავრება და კულტურული ღირსშესანიშნაობების დათვალიერება. ვიზიტის ბოლოს ვაირა ვიკე-ფრეიბერგა საქართველოში ლატვიის დიასპორის წარმომადგენლებს შეხვდება.

ლატვიის პრეზიდენტი საქართველოს 6 ოქტომბერს, დღის მეორე ნახევარში დატოვებს.

## დეპორტირებული ქალები ევროსასამართლოში ჩივიან

**საქართველოს** პარლამენტის თავმჯდომარე ნინო ბურჯანაძე მიესალმება ფინეთიდან დეპორტირებული ქალბატონების გადაწყვეტილებას ევროსასამართლოში სარჩელის შეტანის თაობაზე და აცხადებს, რომ იგი მათი გულშემატკივარიც იქნება.

— თუ ფინეთიდან დეპორტირებული ქალბატონები მიიჩნევენ, რომ ევროსასამართლო მათ სასარგებლო გადაწყვეტილებას გამოიტანს, ამას მხოლოდ მივესალმები მიუხედავად იმისა, რომ მათ ჩემთან დაკავშირებით არასწორ ინფორმაციას აწვდიდნენ და გარკვეული პირები ცდილობდნენ, მათი გაბრაზების ვექტორი ჩემსკენ მოემართათ, — აღნიშნა პარლამენტის თავმჯდომარემ.

ფინეთიდან დეპორტირებული ქალბატონები ბურჯანაძეს ადანაშაულებენ, რომ ფინეთში ვიზიტისას, რომელიც დროში დაემთხვა აღნიშნული ქალბატონების ფინეთიდან დეპორტაციას, ლოიალური განცხადებები გააკეთა ფინეთის ტელევიზიით, იმისთვის, რომ ფინეთის მთავრობას საქართველოს საზღვრის დაცვის დეპარტამენტისთვის გამოეყო თანხები.

## მაინც, ვინ ისროლა ერედვში?



**შინაგან** საქმეთა სამინისტრომ სოფელ ერედვში 2 ოქტომბერს მომხდარ ინციდენტში ეჭვმიტანილი მესამე პიროვნების ვინაობა დაადგინა. იგი ოსი ეროვნების რუსლან მამიტოვია.

როგორც შინაგან საქმეთა მინისტრმა ვანო მერაბიშვილმა გუშინ საგანგებოდ გამართულ ბრიფინგზე განაცხადა, ქართული მხარე ცხინვალს მამიტოვის გადმოცემას სთხოვს. მინისტრის თქმით, ინციდენტის შემდეგ ეჭვმიტანილმა ცხინვალში გადასვლა მოახერხა. გუშინვე ვანო მერაბიშვილმა ის ცეცხლსასროლი იარაღი წარმოადგინა, რომლითაც ძალოვნების ინფორმაციით გასროლა მოხდა.

ვანო მერაბიშვილის თქმით, მამიტოვი სროლაში ეჭვმიტანილი არ არის, თუმცა, იგი შეიარაღებულ თავდასხმაშია ეჭვმიტანილი. ინციდენტის მონაწილე ორი პირი — ზასიევი და იკაევი უკვე დაკავებული არიან.

2 ოქტომბერს ე.წ. ბირჟაზე მდგომ ქართველი ეროვნების ადამიანებს, ოსური სანომრენიშნიანი ავტომანქანიდან, რომელიც სოფელ ვანათიდან მოდიოდა, ცეცხლი გაუხსნეს. დაიჭრა ორი ადამიანი. ერთ-ერთი დაჭრილის, 27 წლის ჯონდო ბერუაშვილის ჯანმრთელობის მდგომარეობა მძიმეა.

ინტერპრესნიუსი

### ⦾ პანორამა

**უკრაინის** ქალაქ ფეოდოსიის მახლობლად იპოვეს ბოსფორის სამეფოს დროინდელი 136 სპილენძის მონეტა, რომლებიც ძველი წელთაღრიცხვის 250-225 წლებითაა დათარიღებული. საგანძური, რომელიც 2200 წლისაა, შეისყიდა ფეოდოსიის ფულის მუზეუმმა. აქამდე ასეთი მონეტები უცნობი იყო.

* * *

**ინდოელი**, რომელიც 20 წლის განმავლობაში, დედის ცხედარს შინ ინახავდა, სრულ იზოლაციაში გარდაიცვალა. საიედ აბდულა გაფურის დედა გარდაიცვალა 1985 წელს, თუმცა, ვაჟმა უარი თქვა ცხედრის დაკრძალვაზე. მან გარდაცვლილის სხეული სპეციალური ქიმიური წესით დაამუშავა და ინახავდა შინ, მინის ყუთში.

* * *

**ყაზახეთში** დაიწყო ქვეყნის პრეზიდენტობის კანდიდატთა რეგისტრაციის 20-დღიანი კამპანია. სადღეისოდ ცენტრალურ საარჩევნო კომისიაში ყველა საჭირო დოკუმენტი შეიტანა მხოლოდ ერთმა კანდიდატმა — ნურსულთან ნაზარბაევმა. განაცხადები პრეზიდენტობის კანდიდატებად დასახელების შესახებ შეტანილი აქვს 18 კაცს, თუმცა, ხუთ მათგანს არ ჩაუბარებია გამოცდები სახელმწიფო ენაში. რეგისტრაციის პროცესი 24 ოქტომბრამდე გასტანს. პრეზიდენტის არჩევნები 4 დეკემბრისთვის არის დაგეგმილი.

## ჩემი საქართველო აქ არის...



საოცარია, რაოდენ ქართული ბგერებით მღერიან თურქეთიდან ჩამოსული „მაჭახელას“ უხუცესები — ფესტივალის ყველაზე ხანდაზმული და მოკრძალებული მონაწილენი.

იხ. მე-6 გვ.

## ცოდვის მუნდირი

**რუსეთში დსთ-ში დანაშაულის გაზრდას ჩვენ გვაბრალებს**




**რუსი** ექსპერტების განცხადებით, ფაქტობრივად, იქაური მილიციელები და ბანდიტები მტრებიდან იქცნენ ბიზნეს-პარტნიორებად. უკვე აღარავის უკვირს, რომ იყიდება ყველაზე გასაიდუმლოებული ოპერატიული ინფორმაციაც კი.

იხ. მე-3 გვ.

**გვაცალეთ მშვიდი სიკვდილი!**

# უპენსიო, უკომპენსაციო და უშეღავათო ბრძოლა ვეტერანებთან

**„ვარდების ხელისუფლებას“ ძველი მთავრობისგან მემკვიდრეობით ბევრი ისეთი პრობლემა დარჩა, რომელთა გადაწყვეტასაც საშველი ჯერაც ვერ დაადგა. ერთ-ერთი ამგვარი საკითხი სტაჟისა და დამსახურების მიხედვით პენსიების დანიშვნაა. თუმცა ძველი პრობლემების გადაჭრას კიდევ ვინ ჩივის, ხელისუფლება ახალ-ახალ თავსატეხს რომ არ უჩენდეს ხალხსაც და თავის თავსაც.**

როგორც ცნობილი გახდა, ამ დღეებში პარლამენტში განსახილველად უნდა შევიდეს კანონპროექტი. იგი ომისა და შრომის ვეტერანთათვის დამატებითი პენსიებისა და კომუნალურ გადასახადებზე შეღავათების გაუქმებას ითვალისწინებს.

უფრო საინტერესო კი ისაა, რომ მთავრობამ ეს კანონპროექტი სრულიად საიდუმლოდ მოამზადა. ომის ვეტერანებმა მის შესახებ მხოლოდ ბოლო წამებში შეიტყვეს.



კანონში „ომისა და სამხედრო ძალების ვეტერანების“ შესახებ, მთავრობამ ყველა ის პუნქტი გააუქმა, რომელიც ვეტერანთა შეღავათებსა და კომპენსაციებს ითვალისწინებდა, რაც თავისთავად უსამართლოობაა. დაუშვებელია კანონის გაუქმება მაშინ, როცა არ არსებობს იგივე ძალის მქონე ალტერანტიული კანონი, რომელსაც პირველი კანონის ტოლფასი ძალა აქვს. ეს უკვე იმას ნიშნავს, რომ საქართველოს ომისა და შრომის ვეტერანები ყოველგვარი შეღავათების გარეშე რჩებიან.

ომის ვეტერანები და ინვალიდები სახელმწიფოსგან 45 ლარის ოდენობის პენსიას იღებენ. 1997 წელს გამოვიდა კანონი, რომლის მიხედვითაც მათი პენსია 129 ლარამდე უნდა გაზრდილიყო, მაგრამ კანონი მხოლოდ ქაღალდზე დარჩა და უკვე მეცხრე წელია ვეტერანებს „მომატებული“ პენსიდან კინკილა თეთრიც კი თვალით არ უნახავთ.

2005 წელს ახალმა ხელისუფლებამ მიიღო დადგენილება, რომლის მიხედვითაც სამამულო ომის ვეტერანებს წლობით გაყინული პენსიები 1 აგვისტოდან უნდა მიეღოთ, მაგრამ პენსიის ასაღებად მისულ ვეტერანებს ამგვარი ამბავი დაახვედრეს: მთავრობის გადაწყვეტილება შეჩერებულია. რისთვის, რატომ — მათთვის არავის აუხსნია.

ომის ვეტერანები ამბობენ, რომ მათ ასევე მოიპოვეს მთავრობის მიერ საიდუმლოდ მომზადებული ორი კანონპროექტი: „საქართველოს კანონი კომპენსაციების შესახებ“ და „საქართველოს კანონი სახელმწიფო პენსიების შესახებ“, რომელიც მთლიანად ექვემდებარება „საქართველოს კანონს ომისა და სამხედრო ძალების ვეტერანების შესახებ“ და ერთობ დაამძიმებს სამამულო ომის ვეტერანთა ისედაც მძიმე ყოფას, ეს კი 2005 წლის 1 ნოემბრიდან მოხდება, როცა ეს კანონები ძალაში შევა.

ამ ყველაფერმა, რა თქმა უნდა, საქართველოს ომის და შრომის ვეტერანთა სამართლიანი გულისწყრობა გამოიწვია და მხცოვანი ადამიანები წვიმიან ამინდში პარლამენტის შენობის წინ საპროტესტო აქციის გამართვასაც არ მოერიდნენ.

— ჩვენ აქციებზე არასდროს არ გამოვსულვართ. დიდი სიხარულით შევხვდით ჩვენს ახალ ხელისუფლებასაც, რადგან იმედი გვქონდა ჩვენი, ომისა და შრომის ვეტერანთა პირობები გაუმჯობესდებოდა, თუმცა პირიქით მოხდა და ახალმა მთავრობამაც გაგვწირა. ისლა დაგვრჩენია, ქუჩაში გამოვთქვათ ჩვენი პროტესტი.

აქ 80 წელზე ნაკლები ასაკისა არავინ არ არის და ყველა დიდი სამამულო ომის ვეტერანია. ომში გავიმარჯვეთ და დავამარცხეთ მთელი მსოფლიოს მტერი — ფაშიზმი.

ასეთ ადამიანებს დაფასება და ყურადღება სჭირდება, — არ შეიძლება ჩვენგან არჩეული პარლამენტარები ათასობით ლარ ხელფასებს იღებდნენ და ჩვენ, ომის ვეტერანებსა და ინვალიდებს შეღავათებისა და კომპენსაციების გარეშე, 45-ლარიანი პენსიის ამარა გვტოვებდნენ — ეს დიდი სამამულო ომის ვეტერანმა, ვაკე-საბურთალოს რაიონის ვეტერანთა საბჭოს თავმჯდომარემ ვალერიან რეკვავამ გვითხრა.

ვეტერანები მოითხოვენ, რომ პარლამენტმა არ განიხილოს და არ დაამტკიცოს მთავრობის მიერ მომზადებული ეს „ვერაგული კანონი“. მათი აზრით, უნდა შეიქმნას ავტორიტეტული კომისია, რომელიც გადახედავს და შეისწავლის ამ კანონპროექტს და ომის ვეტერანებს საბედისწერო მდგომარეობაში არ ჩააყენებს.

ვეტერანებმა პარლამენტის თავმჯდომარეს, პრემიერ-მინისტრსა და პრეზიდენტს მოუწოდეს, პირადად დაინტერესდნენ ვეტერანთა საკითხებით.

„ვიბრძოლოთ პენსიებისა და შეღავათებისთვის“, „ხელები შორს ვეტერანთა შეღავათებისგან“, „შვილებო, ზურგს ნუ შეაქცევთ მამებს“ — ასე ეწერა ტრანსპარანტებზე, რომლებიც გუშინ წვიმაში პარლამენტის წინ შეკრებილ ვეტერანებს ეჭირათ.

ღმერთმანი, ამაზეა ნათქვამი: ვაის გავეყარე, ვუის შევეყარეო. როგორი საქმეა ისედაც დუხჭირი ცხოვრების პირობებში ვეტერანებისთვის დამატებითი პენსიების, კომპენსაციებისა და შეღავათების გაუქმება!

**ისე გამოდის, რომ სამამულო ომს გადარჩენილებს ახლა აქ შიმშილით მოკვლას ვუპირებთ!**

**ჯაბა ხუბუა**

**არის, ასრულდა იმედი!**

# ბრავო, ბრავისიმო, ბატონო ბესო ჯუღელო!

**ტყუილად არ გვქონია მეც და სრულიად საქართველოს ჩვენი პარლამენტის, განსაკუთრებით კი მისი ცალკეული აქტიური წევრების, თუნდაც ბატონ ბესო ჯუღელის იმედი!**

ჩვენდა გასახარად, სრულიად სამართლიანად აღუშფოთებია იგი პარლამენტის ბიუროს გუშინწინდელ სხდომაზე ქალბატონ ნინო ბურჯანაძის განცხადებას — 14 ოქტომბერს პარლამენტის სხდომა არ გაიმართება, რადგან ამ დღეს მთელი საქართველო სვეტიცხოვლობის უდიდეს დღესასწაულს აღნიშნავსო.

— ქვეყანას ძალიან უჭირს. მე ამას ძალიან კარგად ვხედავ და ტაშფანდურის დრო არ გვაქვს. ამისთვის არ გვცალია. ამიტომ პარლამენტში აუცილებლად წარვადგენ საკანონმდებლო ინიციატივას, რომ გაუქმდეს ყველა უქმე დღე გარდა ახალი წლისა და 26 მაისისა, — განუცხადებია მას „ინტერპრესნიუსისთვის“.

ბრავო, ბრავისიმო, ბატონო ბესო!

მართლაცდა, რა ამბავია ამდენი დასვენება! მუშაობასა და ქვეყნის ეკონომიკაზე საერთოდ არ უნდა ვიფიქროთ?

ქართველები რომ ისეთ ქვეყანაში ვცხოვრობდეთ (ჩვენი კოლმეურნეობის თავმჯდომარისა არ იყოს, „გვარს“ არ დავასახელებ), სადაც ლამის საყოველთაო უმუშევრობა და დაუსაქმებლობა, გაჩერებული თუ „პრიხვატიზებული“ საწარმოები ჩვეულებრივი მოვლენაა, სადაც ფრაქციათა ხელმძღვანელების და დეპუტატების გამოუცხადებლობა-დაგვიანების, უკვორუმობის გამო პარლამენტის ბიუროს და პლენარული სხდომები საერთოდ იშლება, გადაიდება ან, უკეთეს შემთხვევაში, დიდი დაგვიანებით იწყება ხოლმე, კიდევ მესმის!

მაგრამ ამდენი დასვენების დღე ჩვენს ქვეყანაში, სადაც ამგვარი რამ ფაქტობრივად გამორიცხულია, სადაც კანონმდებლები, უწინარესად, თავად იძლევიან კანონმორჩილების საუკეთესო პირად მაგალითს, პირდაპირ თავს აკლავენ მუშაობას და ესოდენ საჭირო კანონებსაც საშემოდგომო სესიის მიწურულს ბითუმად კი არა, გამოწვლილვითი განხილვის შემდეგ დადგენილი ჯერის მიხედვით ღებულობენ, ქვეყანაში, სადაც არც ერთი დაუსაქმებელი ადამიანი არ დადის და არც ერთი გაჩერებული საწარმო არ დგას, ხომ წარმოგიდგენიათ, რაოდენ საზარალოა ეკონომიკისთვის წელიწადში 16 სამუშაო დღის გაცდენა?

მართლაც, ბრავო, ბატონო ბესო!

**აზო შელია**

**დღის შეკითხვა**

# უნდა შეველიოთ თუ არა უქმე დღეებს?

**„საქართველოს რესპუბლიკა“ შეეცადა ამ ფაქტისადმი საზოგადოების დამოკიდებულება გაერკვია...**

**დათო ჯიშკარიანი, სტუდენტი:** — საქართველოში, როგორც ცნობილია, ისედაც ცოტა უქმე დღეა. შეიძლება, მხოლოდ შევამციროთ და არა გავაუქმოთ ასეთი დღეები. ამ სახის ინიციატივა მისაღებია.

**თეიმურაზ ჯაგოდნიშვილი, პროფესორი:** — უქმე დღეები სახელმწიფო იდეოლოგიის ნაწილია. რაც უფრო მეტად უჭირს ქვეყანას ეკონომიკურად, მით მეტია საზოგადოების მოთხოვნილება გართობისა და დასვენების დღეებზე. არის ისეთი დღესასწაულები, რომელთა გაუქმება არ შეიძლება. კომუნისტებმა სცადეს აღდგომის გაუფასურება და იმ დღეს მიცვალებულთა მოსახსენიებელი დღე დაამთხვიეს. ქრისტიანულმა რელიგიამ ზოგი წარმართული დღესასწაული თავისი წმინდანების ხსენების დღით ჩანააცვლა. მოკლედ, თუ ბესო ჯუღელის ინიციატივა გავა, ეს იქნება კიდევ ერთი სირცხვილი და უსუსური ცდა ჩვენი მენტალიტეტის შებღალვისა.

**ნოდარ ქიბროწაშვილი, ინჟინერი:** — რა საჭიროა ამდენი უქმე დღე? ძალიან კარგია, თუ ბევრს გააუქმებენ. გვეყო დასვენება, ახლა აქტიური მოქმედებაა აუცილებელი.

**შალვა წერეთელი, სანტექნიკოსი:** — ქართველები მაქსიმალისტები ვართ, და უამრავი უქმე დღე გვაქვს. თუ ოდესმე სხვა აზრზე ვიქნებით, მაშინ ერთი დასვენების დღეც არ დაგვრჩება. საერთოდ არ მაინტერესებს, გააუქმებენ თუ დატოვებენ უქმე დღეებს, ჩემისთანა უმუშევარისთვის ყველა დღე უქმე არ არის?!

**ალექსანდრე ვაჭრიძე, პენსიონერი:** — რა უნდათ ამ უქმე დღეებთან? როცა სამუშაო დღეებია, მაშინ ხომ თავს იკლავენ შრომით. მაგათ რომ არდადეგები აქვთ, იმდენი ვისა აქვს. 9 თვე კინკლაობენ და ბოლო სამ დღეში 100 კანონს იღებენ. დასვენების დღეების გაუქმება კიდევ ერთი პოპულისტური გამოხდომაა!

**ზურაბ მოდებაძე**



**ინფორმაცია**

## რუსეთისგან კარგს არავინ ელის



**მოსკოვიდან** დაბრუნებული სახელმწიფო მინისტრი გიორგი ხაინდრავა აფხაზეთისა და ცხინვალის რეგიონის კონფლიქტებთან დაკავშირებით რუსეთისაგან „კარგს არაფერს ელის“ და ქვეყნის მოსახლეობას რუსეთის მხრიდან მოსალოდნელი პროვოკაციების შესახებ აფრთხილებს.

ხაინდრავას განცხადებით, მიუხედავად იმისა, რომ მან და საქართველოს უშიშროების საბჭოს მდივანმა გელა ბეჟუაშვილმა მოსკოვში ვიზიტისას რუსეთის უშიშროების საბჭოს მდივან იგორ ივანოვთან და საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილე ვალერი ლოშჩინინთან აფხაზეთისა და ცხინვალის კონფლიქტებთან დაკავშირებული პრობლემატიკა „ზედმიწევნით და სერიოზულად განიხილეს.“ მისი თქმით, რუსული მხარე კონფლიქტის ზონებში არსებული ვითარების „არაადეკვატურად“ და მისთვის „აბსოლუტურად გაუგებრად“ აფასებს.

ხაინდრავას განცხადებით, იმ პირობებში, რომ რუსული მხარე აფხაზეთსა და ცხინვალის რეგიონში განაგრძობს სოხუმისა და ცხინვალის ხელისუფლებისათვის „წაქეზებისა და ფარული მხარდაჭერის პოლიტიკის განხორციელებას“, საქართველო კონფლიქტის ზონებში რუსეთის მხრიდან „ღია და აშკარა პროვოკაციას უნდა ელოდოს“.

## იქნებ გალელებს მაინც ეშველოთ

**დევნილთა** დაბრუნების საკითხებზე მომუშავე ქართული და აფხაზური ჯგუფების შეხვედრა სოჭში 6-7 ოქტომბერს გაიმართება. შეხვედრაზე მხარეები იმსჯელებენ გალის რაიონში დაბრუნებული დევნილების გაეროს ლტოლვილთა უმაღლესი კომისარიატის ეგიდით აღწერასთან დაკავშირებულ პრობლემებზე და აღწერის ჩატარების ვადებზე შეთანხმდებიან.

ამის შესახებ, გუშინ ინტერპრესნიუსს აფხაზეთის თვითგამოცხადებული რესპუბლიკის საგარეო საქმეთა მინისტრმა სერგეი შამბამ განუცხადა, რომელიც სოჭის შეხვედრაზე აფხაზურ დელეგაციას უხელმძღვანელებს. მისივე ინფორმაციით, ქართულ მხარეს კონფლიქტების მოგვარების საკითხებში საქართველოს სახელმწიფო მინისტრი გიორგი ხაინდრავა უხელმძღვანელებს.

## ეს ხომ ჩვენთვის მისწრებაა!

**ამერიკაში** განვითარებული სტიქიური მოვლენების გამო საქართველოში გაზოტურბინების ჩამოტანა შეფერხდა.

როგორც ინტერპრესნიუსს კომპანია „ენერჯი ინვესტის“ პრეზიდენტმა გენადი მალაზონიამ განუცხადა, ქარიშხალის გამო აშშ-დან გემების გამოსვლა შეუძლებელი იყო, ამიტომ გაზოტურბინები საქართველოში რამდენიმე კვირის დაგვიანებით, ოქტომბრის ბოლოს ჩამოვა. ამის მიუხედავად, გაზოტურბინების დამონტაჟება გეგმის მიხედვით განხორციელდება და დეკემბრის ბოლოს დასრულდება. იანვარში საქართველოს ენერგოსისტემა გაზოტურბინების მიერ გამომუშავებულ სიმძლავრეს მიიღებს, — განაცხადა მალაზონიამ.

ამერიკიდან ჩამოტანილ ახალ გაზოტურბინებს საქართველოში ამერიკელი სპეციალისტები დაამონტაჟებენ. გაზოტურბინებმა საქართველოს ენერგოსისტემას დამატებით 110 მეგავატის სიმძლავრე უნდა შესძინოს.

**ინტერპრესნიუსი**

**იუსტიცია**

# უფასო ადვოკატიც დიდი ხეირია



**ბოლო პერიოდში საქართველოს სამართალდამცავი სტრუქტურები ერთობ გააქტიურდნენ. ადამიანებს თითქმის ყოველ ნაბიჯზე იჭერენ, ზოგს დანაშაულის ჩადენისთვის, ზოგს — გეგმის შესასრულებლად და ა.შ. თუმცა თითოეულ მათგანს, მიუხედავად იმისა, კანონიერად მოხდა მისი დაკავება თუ პროცესუალური ნორმების დარღვევით, უფლებების დასაცავად ადვოკატი ესაჭიროება. ადვოკატის დაქირავება საქართველოში ძვირი სიამოვნებაა, თუმცა სახელმწიფომ ეს გარემოება გაითვალისწინა და 3 თვის წინათ გლდანი-ნაძალადევისა და ზესტაფონის რაიონებში საზოგადოებრივი ადვოკატის სამსახურის ბიუროები გახსნა.**

ამ ბიუროების ადვოკატები ახორციელებენ ეჭვმიტანილთა და ბრალდებულთა დაცვას წინასწარი გამოძიების პერიოდში, აგრეთვე სასამართლო ინსტანციაში. გასული სამი თვის მანძილზე გლდანი-ნაძალადევისა და ზესტაფონის ბიუროების ადვოკატებმა 206 განცხადება განიხილეს და მოქალაქეებს კონსულტაციები გაუწიეს.

საზოგადოებრივი ადვოკატის სამსახურს გაფორმებული აქვს მემორანდუმი შინაგან საქმეთა სამინისტროსთან, უზენაეს სასამართლოსთან და გენერალურ პროკურატურასთან. მემორანდუმის თანახმად, ეს უწყებები ვალდებულნი არიან ითანამშრომლონ ბიუროებთან და საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის მე-80 და 81-ე მუხლების საფუძველზე სახაზინო ადვოკატის დანიშვნის მოთხოვნით მიმართვა გაგზავნონ. სადღეისოდ გლდანი-ნაძალადევის რაიონში 33 სისხლის სამართლის საქმეა. 25 საქმე ბიუროში შინაგან საქმეთა სამინისტროსგან გაიგზავნა, ადვოკატების მიერ 23 უკვე დაკმაყოფილდა. გლდანი-ნაძალადევის ადვოკატების ჩარევით სამი ადამიანის მიმართ სამართლებრივი დევნა წინასწარ გამოძიებაშივე შეწყდა, ერთი საქმე კი საპროცესო შეთანხმებით დამთავრდა.

ზესტაფონის შს რაიონული განყოფილების მიერ 1 ივლისიდან 30 აგვისტოს ჩათვლით სისხლის სამართლებრივი დევნა დაწყებული იყო 29 საქმეზე. 15 ეჭვმიტანილის ინტერესებს იცავენ ადვოკატები, აქედან 14 საქმეზე საზოგადოებრივი ადვოკატის სამსახურის ზესტაფონის ბიუროს წარმომადგენლები არიან.

ბიუროები ტერიტორიული პრინციპით მუშაობენ. თუმცა სხვა რაიონებიდან მისულ მოქალაქეებს იურიდიული კონსულტაციის გარეშე არ ტოვებენ. ახლო მომავალში იგეგმება მემორანდუმის გაფორმება იმ არასამთავრობო ორგანიზაციებთან, რომლებიც პირთა სამართლებრივ დაცვას ახორციელებენ. ეს შესაძლებელს გახდის სხვა რაიონებში მცხოვრები პირების დახმარებას.

ადვოკატები საზოგადოების გააქტიურებას მოითხოვენ. მათი ინფორმირებისათვის საინფორმაციო ბუკლეტებს არიგებენ, საგამოძიებო განყოფილებებში გაკრულია სარეკლამო პლაკატებიც, ბუკლეტები სასჯელაღსრულების დაწესებულებებშიც დარიგდა.

ბიუროებში მომუშავე ადვოკატის ხელფასი 300 დოლარია, მიიჩნევენ, რომ ანაზღაურება საკმარისია, რათა კლიენტს იურიდიული დახმარება სათანადოდ (და უფასოდ) გაუწიონ.

ბიუროების მუშაობას ფინანსურად უზრუნველყოფს საქართველოს იუსტიციის სამინისტრო, ფონდი „საზოგადოება საქართველო“, „აირის-საქართველო“ და აშშ-ს განვითარების სააგენტო.

საზოგადოებრივი ადვოკატის სამსახური ამ ორ რაიონში ერთწლიანი საცდელი პროექტის ფარგლებში გაიხსნება, რომლის წარმატებით დასრულების შემდეგ ბიუროების ყველა რაიონში გახსნის საკითხი გადაწყდება.

**ლელა ხვადაგიანი**

**აკრძალული ზონა**

## „რესბალნიცა“ უქმდება!

**საზოგადოებას ახსოვს სულ ცოტა ხნის წინათ თუ რამხელა აჟიოტაჟი იყო ციხის რესპუბლიკური საავადმყოფოს ირგვლივ, არასამთავრობოები საუბრობდნენ იქ არსებულ კორუფციაზეც, რომ 295-ადგილიან სამკურნალო დაწესებულებაში 20 ადამიანი თუ საჭიროებდა მკურნალობას, დანარჩენები კი იქ თითქოსდა თანხის გადახდის შედეგად ხვდებოდნენ. სწორედ არსებული ვითარებიდან გამომდინარე იუსტიციის მინისტრმა კოტე კემულარიამ გადაწყვიტა ამ მიმართულებით მიმდინარე სიახლეებზე თავად ესაუბრა.**

იუსტიციის სამინისტროს წარმომადგენლები მიმდინარე რეფორმაზე 9 თვის განმავლობაში შვიდი ქვეყნის უცხოელ ექსპერტებთან ერთად მუშაობდნენ: სწორედ მაშინ შეიქმნა დოკუმენტი, რომელიც სასჯელაღსრულების სისტემაში სამედიცინო სამსახურის რეფორმას მოიცავს. ამ დოკუმენტში ჩაიწერა, რომ უნდა გაუქმდეს ციხის რესპუბლიკური საავადმყოფო და იგი ჯანდაცვის დაქვემდებარებაში გადავიდეს. ეს სიახლე მთავრობის და პრეზიდენტის მიერ უკვე დამტკიცებულია.



ამ საკითხთან დაკავშირებით ჯანდაცვის სამინისტროსთან კონსულტაციები 7 თვეა მიმდინარეობს. სიახლის საბოლოოდ განსახორციელებლად ჯანდაცვის სამინისტრო 17 თვეს ითხოვდა, იუსტიციის სამინისტროსთვის დროის ამხელა მონაკვეთი მიუღებელია. იგი ითხოვს, რომ ციხის რესპუბლიკური საავადმყოფო გაუქმდეს და შეიქმნას 30-კაციანი სტაციონარი მძიმე ავადმყოფებისთვის, რომელიც ჯანდაცვის სამინისტროს დაქვემდებარებაში იქნება.

გარდა ამისა, რუსთავის 6800-კაციან და ქუთაისის 1500-ადგილიან საპატიმროებში 60-60-ადგილიანი სამკურნალო ამბულატორიაც გაიხსნება. მათი დაფინანსება იუსტიციის სამინისტროდან მოხდება, ხოლო ჯანდაცვის დაქვემდებარებაში მყოფ 30-ადგილიან სტაციონარს პირველ ეტაპზე ორივე სამინისტრო დააფინანსებს. მინისტრი მიიჩნევს, რომ 30 ადგილი სავსებით საკმარისია, რადგან დღეს „რესბალნიცაში“ იმყოფება ბევრი ადამიანი, რომლებიც იქ არ უნდა იყვნენ.

**ლელა ცქიტიშვილი**

**სახალხო დამცველი**

## აქედანვე ვასწავლოთ!

**საქართველოს სახალხო დამცველის აპარატი სკოლის მოსწავლეებში უფლებადაცვითი და სამოქალაქო ღირებულებებისადმი ინტერესის გაღვივებას ცდილობს.**

სოზარ სუბარი სკოლის მოსწავლეებისთვის კონკურსს აცხადებს, თემაზე — „თავისუფლება“. კონკურსის დეტალებთან დაკავშირებით გუშინ ორგანიზატორებმა სახალხო დამცველის ოფისში სპეციალური პრესკონფერენცია გამართეს.



როგორც აღინიშნა, კონკურსის მონაწილეები ორ ჯგუფად დაიყოფიან. პირველ ჯგუფში დაწყებითი საფეხურის (I-IV კლასის) მოსწავლეები, მეორეში კი საშუალო საფეხურების (VII-XI კლასის) მოსწავლეები შევლენ.

პირველმა ჯგუფმა საკონკუსროდ ნახატი უნდა წარადგინოს, მეორე ჯგუფს კი თხზულების დაწერა ევალება. როგორც პრესკონფერენციაზე ითქვა, ნახატის ფორმა და მოცულობა შეზღუდული არ არის. თხზულება კი 10 ნაბეჭდ გვერდს არ უნდა აღემატებოდეს. ნამუშევრების წარდგენის ვადა 25 ნოემბრამდეა, ხოლო კონკურსის შედეგები ადამიანის უფლებების დაცვის დღეს — 10 დეკემბერს გამოცხადდება.

**ინტერპრესნიუსი**

**ბიზნესფორუმი**

# ინვესტიციები ჰაერივით გვჭირდება

## ეს იტალიისა და საქართველოს ბიზნესმენთა ფორუმმაც დაადასტურა

**ჩვენი ქვეყანა ევროპის კიბე და მშვენიერი, მოხერხებული გასასვლელია აზიაზე, რაც მსოფლიოს ქვეყნებს დიდ შესაძლებლობებს აძლევს თავიანთი ინვესტიციები ფართოდ დააბანდონ საქართველოში.**

საქართველო სულ უფრო და უფრო ექცევა უცხოეთის ინტერესების სფეროში. ამის დასტური იყო იტალია-საქართველოს ბიზნესმენთა ფორუმი, რომელიც გუშინ სასტუმრო „თბილისი-მარიოტში“ იტალიის საელჩოს ინიციატივით გაიმართა.

ეს მეტად მნიშვნელოვანი ღონისძიება — იტალია-საქართველოს ეკონომიკური თანამშრომლობის პროგრამა — განხორციელდა იტალიის მრეწველობის სამინისტროს თანადაფინანსებით, რომლის პარტნიორები იყვნენ საქართველოს ბიზნესმენთა ფედერაცია და ამერიკის სავაჭრო პალატა საქართველოში.

ფორუმზე სიტყვით გამოსულმა საქართველოს პრემიერ-მინისტრმა ზურაბ ნოღაიდელმა ილაპარა ქვეყნის ლიბერალურ საგადასახადო კოდექსზე და იტალიელ ბიზნესმენებს მოუწოდა თავიანთი თანხები დააბანდონ საქართველოში. აღნიშნა, რომ იტალიელი მეწარმეები დაინტერესებული არიან რუსთავის მეტალურგიული კომბინატით, დაწყებულია საინტერესო მოლაპარაკებები საქართველოს ეროვნულ ბანკსა და იტალიის რამდენიმე მსხვილ ბანკს შორის. ყოველივე ეს მიგვანიშნებს, რომ საქართველოში თანდათანობით სასურველი გარემო იქმნება ინვესტიციების მოსაზიდად. ამის დასტურია ეს ფორუმიც, რომელიც საქართველოში უკვე მეორედ გაიმართა. ასეთი ურთიერთობების გაღრმავებაში დიდი წვლილი შეაქვს იტალიის საელჩოს საქართველოში და პირადად იტალიის ელჩს ფაბრიციო რომანოს.

როგორც იტალიის სამეწარმეო საქმიანობისა და საგარეო ვაჭრობის მინისტრის მოადგილემ ადოლფო მუსომ თქვა, ეს ფორუმი ფაქტობრივად პრეზიდენტ სააკაშვილის იტალიაში ვიზიტის დროს დაწყებული დიალოგის ბუნებრივი გაგრძელებაა. ჩემი ამ ფორუმზე ყოფნაც კიდევ ერთხელ ადასტურებს იტალიის მთავრობის ნებას, მხარი დაუჭიროს იმ იტალიურ საწარმოებს, რომელთაც სურთ საქართველოში ინვესტიციების პერსპექტივები შეისწავლონ და გააღრმავონ უკვე არსებული ურთიერთობები.

იტალიური საწარმოები, თქვა მან, მზად არიან საქართველოში ინვესტირებისათვის, იმ იმედით, რომ ადგილობრივი ხელისუფლება გამუდმებით იზრუნებს საინვესტიციო კლიმატის გაუმჯობესებისთვის, რათა სამეწარმეო საქმიანობას დამოუკიდებელი და ეფექტური გზით სვლის საშუალება ჰქონდეს თავისუფალი, ჯანსაღი კონკურენციის პირობებში, როგორც ეს ნამდვილ საბაზრო ეკონომიკას შეჰფერის.

როგორც საქართველოს ეკონომიკის განვითარების მინისტრმა ირაკლი ჩოგოვაძემ განაცხადა, მას იმედი აქვს, რომ მიმდინარე ეკონომიკური რეფორმების გზით საქართველო უახლოეს წლებში დიდ ეკონომიკურ აღმავლობას მიაღწევს, საამისოდ ერთ-ერთ პრიორიტეტად სწორედ პარტნიორულ ურთიერთობებს მიიჩნევს. განსაკუთრებით ევროპის ისეთ წარმატებულ ქვეყანასთან, როგორიც იტალიაა. ჩვენ არ ვითხოვთ დახმარებას, — თქვა მან, არამედ გვსურს კომერციული პარტნიორობა, ეკონომიკური თანამშრომლობა. მე როგორც ჩემი ქვეყნის მთავრობის წევრი, ვაცხადებ, საქართველო მზადაა ასეთი თანამშრომლობისთვის. ჩვენ არა მხოლოდ მივესალმებით უცხოელი პარტნიორების საქართველოში ჩამობრძანებას, არამედ ხელს შევუწყობთ კიდეც მათ საქმიანობის ჩვენს ქვეყანაში გაფართოებას. გარწმუნებთ, საქართველოში პოლიტიკური რისკი ბიზნესწრეებს აღარ ემუქრებათ.

ქვეყანაში ტურიზმის განვითარების პერსპექტივაზე ილაპარაკა ამ დარგის ხელმძღვანელმა საბა კიკნაძემ. როგორც მან თქვა, ჯერ კიდევ საბჭოთა კავშირის დროს საქართველოს პატარა შვეიცარიას ეძახდნენ. გასული საუკუნის 80-იან წლებში ჩვენში წელიწადში 4-5 მილიონამდე ტურისტი ჩამოდიოდა. ასეთი სწრაფვა საქართველოსკენ უნდა აღდგეს. მოგზაურს ჩვენს ქვეყანაში დახვდება დივერსიფიცირებული ბუნება, ხელშეუხებელი ფლორა და ფაუნა.

ყველას, ვისაც აინტერესებს ეკოტურიზმი ან სათავგადასავლო ტურიზმი, შეუძლია საქართველოში იმოგზაუროს, დატკბეს ამ ქვეყნით და აქ მცხოვრები ხალხის გულგახსნილობით.

იმედია, იტალია-საქართველოს მეორე ბიზნესფორუმი გაზრდის კონკრეტული, ხელშესახები ინვესტიციების შემოდინებას საქართველოში. ინვესტიციები საქართველოს, მის ეკონომიკას კი ჰაერივით სჭირდება.

**ლალი ქინქლაძე**

⊙ მოყვარეს პირში უქრახე...

# სიტყვა საქმიანი თუ სიტყვა ფალახიანი?

**ნათქვამსა და დანაპირებს პრეზიდენტიც უნდა ასრულებდეს და რიგითი ამომრჩეველიც**

**2005 წლის 30 სექტემბერს ბათუმში გამართულ შეხვედრაზე საქართველოს პრეზიდენტმა, ბატონმა მიხეილ სააკაშვილმა ბრძანა, — ჩემი დაპირების შეუსრულებლობას სიკვდილი მირჩევნიაო!..**

**ამ ფრაზამ 2004 წლის 24 იანვრის დავით აღმაშენებლის საფლავზე თქმული მისივე სიტყვაც გამახსენა, ჩემი ხალხის იმედს გაცრუებას სიკვდილი მირჩევნიაო!..**

**ამგვარი რამ სხვა დროსაც უთქვამს ბატონ პრეზიდენტს, — პრეზიდენტის სიტყვა სიტყვააო!..**

**ბათუმის შეხვედრაზე მიხეილ სააკაშვილმა ისიც ბრძანა, პრეზიდენტის სიტყვის შეუსრულებლობა არავის ეპატიებაო... ეს ყოველივე ძალიან კარგია, მაგრამ, როცა დაპირების შესრულებაზე, იმედების გამართლებაზეა საუბარი, როგორია ბედი განათლებისა და მეცნიერების დარგის მუშაკებისთვის მიცემული სიტყვისა?**

**დიდი ეჭვი გვაქვს, რომ იმათ რიცხვში, ვისთვისაც მიცემული სიტყვის შესრულებას ბატონი პრეზიდენტი ასეთ მნიშვნელობას ანიჭებს, განათლებისა და მეცნიერების მუშაკები არ იგულისხმება. ამის თაობაზე ადრეც გვითქვამს, მაგრამ, სამწუხაროდ, არც პასუხი გაუცია ვინმეს და არც დამოკიდებულება შეცვლილა ჩვენს მიმართ...**

**აი, რა გვაძლევს ასეთი ფიქრის საფუძველს:**

ბატონი პრეზიდენტი უნივერსიტეტის პროფესორ-მასწავლებლებთან შეხვედრისას, 2003-2005 წლებში, ხაზგასმით აღნიშნავდა, უნივერსიტეტის თანამშრომლებს შტატების შემცირება არ ემუქრებათო.

მე ჩემს დანაპირებს ვასრულებო, — ეს განცხადება უცნაურად ჟღერს იმ დროს, როცა უნივერსიტეტში (საერთოდ, სახელმწიფო უმაღლეს სასწავლებლებში) მიმდინარეობს მასშტაბური შემცირებები...

ან ბატონ პრეზიდენტს არა აქვს ინფორმაცია რა ხდება უნივერსიტეტში (რაც ძალიან ცუდია!..), ანდა უნივერსიტეტისთვის მიცემულ სიტყვას მისთვის მნიშვნელობა არა აქვს (რაც უფრო უარესია!..).

ქართველოს მოსახლეობისა, რომლის სოციალური და მატერიალური კეთილდღეობა არ არის პრეზიდენტის ფიქრისა და ზრუნვის საგანი?..

ის მაინც აგვიხსნან, რატომ იმსახურებენ პოლიციის, საბაჟოს, საგადასახადო და სხვა მსგავსი სამსახურის თანამშრომლები გაცილებით მეტ სახელმწიფოებრივ ყურადღებას ბატონი პრეზიდენტისას, ვიდრე ჩვენ?

ის მაინც განგვიმარტონ, რატომ იმსახურებენ კირკიტაძე, ბექაური და მისთანანი 20-ჯერ და 30-ჯერ მეტ პატივს სახელმწიფოსგან (ხელფასი მაქვს მხედველობაში), ვიდრე ათეული წლობით განათლებისა და მეცნიერების სფეროში მოღვაწე პატიოსანი ადამიანები?...



* * *

არაერთგზის აქმულა ამის თაობაზე:

უმაღლესი განათლების შესახებ კანონპროექტის განხილვის დროს, 2003 წლის 17 ნოემბერს, ბატონმა პრეზიდენტმა ბრძანა და ჩვენი (უნივერსიტეტის პროფესორ-მასწავლებლების) თანდასწრებით დაავალა განათლების და მეცნიერების მინისტრს, — თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის (და რამდენიმე ძირითადი უმაღლესი სასწავლებლის) სახელმწიფო სტატუსი დატოვებულიყო!

ამის შემდეგ ბატონ პრეზიდენტს არსად უთქვამს, რომ მან ეს აზრი შეიცვალა... არადა, პრეზიდენტის ეს დავალება მინისტრს არ შეუსრულებია; მოქალაქე, დაპირება არ სრულდება: თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი (და, საერთოდ, სახელმწიფო უმაღლესი სასწავლებლები) საჯარო სამართლის იურიდიული პირი გახდა!..

ისევ ის ეჭვიანი კითხვა: ბატონ პრეზიდენტს ამის თაობაზე ან არა აქვს ინფორმაცია (რაც ძალიან ცუდია!..), ანდა იცის, რომ არ ასრულებს მის დანაპირებს (რაც უფრო უარესია!..).

* * *

თუ ბატონი პრეზიდენტი ჩვენთვის მიცემულ სიტყვას არ თვლის დაპირებად, თქვას მაინც და აღარც იმედი გვექნება და აღარც გული დაგვწყდება მის შეუსრულებლობაზე...

მაგრამ ისიც უნდა გვითხრა, რატომ ვართ ჩვენ — პროფესორ-მასწავლებლები და მეცნიერ-მუშაკები — ის ნაწილი ქართველი საზოგადოებისა, რომელთათვის მიცემული სიტყვა არ ითვლება შესასრულებლად დაპირებად...

რატომ ვართ ჩვენ ის ნაწილი სა-

იქნებ, ისიც აგვიხსნან, რატომ იყო არაპედაგოგთა და არამეცნიერთა განათლებისა და მეცნიერების [illegible] ... ვიდრე [illegible] აკადემიკოსები, პროფესორები, დოცენტები?..

* * *

ბატონი პრეზიდენტი ბოლო ხანებში ხშირად იმეორებს, [illegible]

[illegible]

**არა მგონია, ბატონ პრეზიდენტს ხელს აძლევდეს ასეთი პერსპექტივა...**

**თუმცა, ჩვენ მაინც გვაქვს იმედი იმისა, რომ, ბოლოს და ბოლოს, ჩვენი ხმა ბატონ მიხეილ სააკაშვილამდე მიაღწევს და საქართველოს პრეზიდენტი იზრუნებს თავისი დანაპირების შესრულებაზე, — პრეზიდენტის სიტყვის საქმედ ქცევაზე!**

**გიორგი გოგოლაშვილი,**
**თსუ პროფესორი, ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი, „საუნივერსიტეტო დარბაზის“ ხელმძღვანელი.**

⊙ ჟურნალისტური გამოძიება

# ხელფეხშეკრულებმა ენაზეც კლიტე დავიდოთ?!

## მოქმედებს თუ არა ქვეყნის კონსტიტუცია გარიგების გაფორმებისას?

**გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ 21 მაისის ნომერში გამოქვეყნდა კრიტიკული მასალა „ჩვენთვის ხელფეხშემკვრელი ხელშეკრულება, რომელიც სამარცხვინოც არის და დამამონებელიც“. რაკი მას, სარედაქციო თხოვნისა და მინაწერის მიუხედავად, არანაირი რეაგირება არ მოჰყოლია, 3 აგვისტოს ნომერში იმავე თემაზე დაიბეჭდა მორიგი მასალა „რად არ გვეხმაურებით, ბატონებო, სათქმელი არაფერი გაქვთ, თუ“..., რომლის მინაწერში რედაქცია აკონკრეტებდა სათქმელს:** „პასუხს ველით ქონების მართვის მაშინდელი მინისტრისგან სოლომონ პავლიაშვილისგან, გაერთიანებული სადისტრიბუციო კომპანიის ყოფილი დირექტორისგან დავით ქართველიშვილისა და იმ კონტრაქტორისგან, რომელთა „შემოქმედების“ ნაყოფიც გახლავთ ზემოთ აღნიშნული „ხელშეკრულება“, ქართული ენერგეტიკა იმათ ბრჭყალებში რომ მოაქცია, ვისთვისაც საქართველოს მოსახლეობა მუდამ „ვიღაცა“ იყო და მისი ჭირი არაფრად მიაჩნდა“.

**თქვენც არ მომიკვდეთ! როგორც გუშინ იაპონიის პრეზიდენტი არ სტუმრებია საქართველოს, ისე არ მიუღია რედაქციას პასუხი ზემოაღნიშნულთაგან!**

არადა, ამ ეტაპზე იგი პასუხს ითხოვდა მხოლოდ ორ კონკრეტულ კითხვაზე:

**1. რატომ ფორმდება ჩვენს ქვეყანაში ზოგიერთი საერთაშორისო ხელშეკრულება მხოლოდ ინგლისურ ენაზე?**

**2. ხელშეკრულების ხელმოწერისას რატომ თანხმდება საქართველოს მხარე უცხოელის პირობაზე, რომლის მიხედვითაც წამოჭრილი სადავო საკითხების გადასაჭრელად მხარეებმა აუცილებლად უცხოეთის სასამართლოს უნდა მიმართონ და საერთოდ უგულებელყოფილია ქართული კანონმდებლობა?**

ხოლო ეს რომ მართლაც ასე არის, ამის საილუსტრაციოდ გაზეთი ბეჭდავდა ამონარიდს გაერთიანებულ სადისტრიბუციო ენერგოკომპანიასთან 2003 წლის 8 მაისს გაფორმებული მართვის ხელშეკრულებიდან, რომელშიც წერია, რომ **„ხელშეკრულების ენაა ინგლისური“.**

შესაძლო დავების განხილვასთან დაკავშირებით კი, აი, რა წერია იმ კაბალურ ხელშეკრულებაში:

**„მხარეებს შორის ხელშეკრულებასთან დაკავშირებით წამოჭრილი ნებისმიერი დავა მოსაგვარებლად გადაეცემა სავალდებულო ძალის მქონე საარბიტრაჟო სასამართლოს კომერციული არბიტრაჟის „Uncitral“-ის წესების შესაბამისად. არბიტრაჟი შედგება ლონდონში, ინგლისში. მხარეები აქვე თანხმდებიან, რომ საარბიტრაჟო სასამართლოს გადაწყვეტილება მათთვის იქნება სავალდებულო და უარს ამბობენ უფლებაზე, რომელიმე სხვა წესების და სხვა სასამართლო სისტემის ქვეშ აღძრან საქმე...“**

რატომ ასეთი მონური მორჩილება, ბატონებო, ყოველგვარი უცხოურისადმი? მით უფრო მაშინ, როცა საქართველოს კონსტიტუციის მეექვსე მუხლის მეორე პუნქტში წერია, რომ **„საქართველოს კანონმდებლობა შეესაბამება საერთაშორისო სამართლის საყოველთაოდ აღიარებულ პრინციპებსა და ნორმებს?“** ჩვენი ჩვენვე თუ არ დავაფასეთ და დავიცავით, სხვა გაგვიფრთხილდება და დაგვაფასებს ვითომ?

საქართველოს მხრიდან კი ამ ხელშეკრულებაზე ხელმომწერი, როგორც აღვნიშნეთ, არის სოლომონ პავლიაშვილი, რომელიც მარიონეტივით დათანხმდა ამგვარ შეურაცხმყოფელ უკანონობას.

თუმცა ეს სულაც არ არის გასაკვირი, თუ გავითვალისწინებთ, რომ, ჩვენი ინფორმაციით, მსგავსი და უფრო უარესი ბატონ პავლიაშვილს მინისტრობისას არაერთხელ გაუკეთებია.

გავიხსენოთ თუნდაც მხოლოდ ერთი კონკრეტული ფაქტი, როცა შპს „საქინფორმთან“ დაკავშირებით სისხლის სამართლის საქმე იყო აღძრული, მაგრამ სოლომონ პავლიაშვილი, პირდაპირი გაგებით, „გამოძვრა“, უფრო სწორად, გამოაძვრინეს აქედან მისნაირებმა.

ძალზე გასაკვირია, რომ დღემდე მისთვის ხელისუფლების სახელით არავის მოუთხოვია კანონიერი პასუხი, ამიტომაც თავს ძალზე კარგად გრძნობს და არც გაზეთის მიერ დასმულ კითხვებზე საპასუხოდ შეწუხებულა.

**ან კი რა ჰქონდა საპასუხო? სწორედ მისი და მისნაირების „გულქართლობამ“ და „თავიანმა“ მუშაობამ არ ჩაგვყარა „ოქროს სკივრში?“**

საკითხის შესწავლის მიზნით ჩვენმა სააგენტომ უკვე გაერთიანებული სადისტრიბუციო ენერგოკომპანიის სამეთვალყურეო საბჭოს მიმართა. აი, რა მოგვწერეს საბჭოს წევრებმა:

**„ს. ს. გაერთიანებული სადისტრიბუციო კომპანიის მართვის 2003 წლის 8 მაისის ხელშეკრულების გაგრძელება და მოდიფიცირება მოხდა 2004 წლის ნოემბერში. მოდიფიცირებული ხელშეკრულება, ისევე, როგორც საწყისი ხელშეკრულება, ორენოვანია და შესაბამისად, არსებობს მისი**




**როგორც ქართული, ასევე ინგლისური ვარიანტი...“**

ისეთი რიხით გვიხსნიან, ქართული ვარიანტიც არსებობსო, თითქოს დიდი ფასი ჰქონდეს ორენოვნებას, როცა ხელშეკრულების ენა, როგორც მასში წერია, ინგლისურია!

სამაგიეროდ გაერთიანებული სადისტრიბუციო კომპანიის სამეთვალყურეო საბჭომ რატომღაც თავი აარიდა ჩვენს წერილობით შეკითხვას: **„მიგაჩნიათ თუ არა, რომ ზემოთ მოხსენიებული ხელშეკრულება მოითხოვს გადახედვას და ცვლილებების შეტანას? თუ მოითხოვს, რა ხასიათისას? უცხოელი მმართველის მუშაობის შედეგი იძლევა თუ არა მასთან ხელშეკრულების გაუქმების საფუძველს?“**

სამეთვალყურეო საბჭოს ერთსაც ვწერდით: **„ხელშეკრულებაში უცხოური კომპანიის მიმართ არ არის ჩამოყალიბებული ჩვენი ქვეყნის მოქმედი კანონმდებლობის მიხედვით საქართველოს მხარის მოთხოვნები, რომლებიც ითვალისწინებს საჯარიმო სანქციებს იმ შემთხვევაში, თუ არ შესრულდება მთავარი ამოცანა, რის გამოც ჩვენი კომპანია მართვის უფლებით გადაეცა უცხოურ კომპანიას. ხელშეკრულებაში ამ დებულების არარსებობა კანონსაწინააღმდეგოა. აქედან გამომდინარე, გეკითხებით, ამ შემთხვევაში რა პოზიციაზე ხართ და რა ზომებს მიმართეთ ან მიმართავთ?“**

თქვენ მიიღეთ პასუხი, მკითხველო? არც ჩვენ!

სამეთვალყურეო საბჭომ ჩვენთვის გამოგზავნილ წერილობით პასუხში აღნუსხა უცხოელი მმართველის მუშაობისას მომხდარი დადებითი ძვრები, მაგრამ საბჭოს წევრებს „გამორჩათ“, ჩვენი აზრით, ყველაზე მთავარი: კერძოდ, ის, რომ 3 წლის მანძილზე სს „გაერთიანებული სადისტრიბუციო ენერგოკომპანია“ ითვლება ფაქტობრივ ბანკროტად იმის მიუხედავად, რომ მოხმარებული ელექტროენერგიის ამოღების მაჩვენებელი სადღეისოდ, მათივე მტკიცებით, 65 პროცენტს შეადგენს. ეს კი ნიშნავს, რომ გრძელდება საქართველოს ენერგოგენერაციის ობიექტებისთვის დამანგრეველი ზიანის მიყენება.

კომპანიის ხელმძღვანელებისა და სამეთვალყურეო საბჭოს წევრების განმარტებით, **ხელშეკრულების გაფორმებიდან განვლილი დრო საქართველოს პირობებში, არ არის საკმარისი იმისათვის, რომ ამოღების მაჩვენებელმა ასს თუ არა, ოთხმოც პროცენტს მაინც მიაღწიოს.**

მაგრამ, ბატონებო, უცხოურ კომპანიას მართვის უფლება ხომ 15-20 წლით კი არა, 5 წლით გადაეცა? და თუნდაც ამ ვადის მიწურულს მოახერხონ კიდეც ასპროცენტიანი მაჩვენებლის მიღწევა, ვინ დაფარავს გასული წლების (მათი მართვის დროს) განმავლობაში დაგროვილ დავალიანებას?

აქვე აღვნიშნავთ ძალზე საგანგაშო სიმპტომსაც, რაც კომპანიის სარაიონო ფილიალებისთვის არის დამახასიათებელი: მოსახლეობას უყენებენ მოთხოვნას, რომ მათ დაფარონ, ზოგ შემთხვევაში, 40-პროცენტიანი სხვაობა კომპანიის ქვესადგურების მრიცხველთა მაჩვენებლებსა და მოსახლეობის ელექტრომრიცხველების მაჩვენებლებს შორის, რაც აშკარა უკანონობაა, მაგრამ სამართალდამცავი ორგანოები დუმილს ამჯობინებენ (თუმცა არის ერთი გამონაკლისი — ახალციხის რაიონი).

ვინ აგებს პასუხს ამ და სხვა საკითხებზე, რომლებსაც ჩვენი სააგენტო და გაზეთი „საქართველოს რესპუბლიკა“ კვლავაც დაუბრუნდებიან?

**თენგიზ ჩხიკვაძე,**
**ჟურნალისტური გამოძიების სააგენტო „დრო და სივრცე“.**

⊙ ინფორმაცია

## ნურსულთან ნაზარბაევი ედუარდ შევარდნაძეს შეხვდა

**ყაზახეთის პრეზიდენტი ნურსულთან ნაზარბაევი სამშობლოში გამგზავრებამდე საქართველოს ექს-პრეზიდენტს ედუარდ შევარდნაძეს შეხვდა. იგი გუშინ, დილით შევარდნაძეს კრწანისის რეზიდენციაში ესტუმრა. ყოფილმა პრეზიდენტმა ნაზარბაევის საქართველოში ვიზიტს ისტორიული უწოდა.**

**ნურსულთან ნაზარბაევი თბილისში ორდღიანი ვიზიტით 2 ოქტომბერს ჩამოვიდა. იგი იმავე დღეს ბათუმში გაემგზავრა. გუშინწინ, საქართველოს პარლამენტში ყაზახეთის პრეზიდენტის დახვედრის ოფიციალური ცერემონიალი გაიმართა. ნურსულთან ნაზარბაევმა თბილისი გუშინ დილით დატოვა.**

## რათა სასაზღვრო დანაშაულობანი აღიკვეთოს

**სასტუმრო „სიმპათიაში“ გუშინ შავი ზღვის აუზის ქვეყნების სასაზღვრო უწყებათა სანაპირო დაცვის ხელმძღვანელთა რიგით მეექვსე შეხვედრა გაიხსნა. შეხვედრის მონაწილეებს საქართველოს საზღვრის დაცვის დეპარტამენტის თავმჯდომარე, გენერალ-ლეიტენანტი ბადრი ბიწაძე მიესალმა.**

**როგორც მან მისასალმებელ სიტყვაში განაცხადა, ქვეყნებს შორის საზღვრებზე არსებული ვითარების სრულყოფილად გაკონტროლებისთვის ამგვარი შეხვედრები მნიშვნელოვანია. ბადრი ბიწაძემ განაცხადა ასევე, რომ განსაკუთრებულ პრობლემას წარმოადგენს აფხაზეთის რეგიონი, სადაც იმის გამო, რომ საქართველოს ხელისუფლების კონტროლი არ ვრცელდება, ხშირია უკანონო მიგრაციის და სხვა სასაზღვრო დანაშაულებები.**

**სხდომას საქართველოს, ბულგარეთის, რუმინეთის, რუსეთის ფედერაციის, უკრაინის და თურქეთის რესპუბლიკის სასაზღვრო უწყებების დელეგაციები ესწრებიან. ქართული მხრიდან შეხვედრას ესწრება ასევე სანაპირო დაცვის მთავარი სამმართველოს უფროსი, გენერალ-მაიორი დავით უგულავა და სხვა ხელმძღვანელები.**

## ლეონიდე ლაკერბაია იმედოვნებს

**აფხაზეთის** თვითგამოცხადებული რესპუბლიკის ვიცე-პრემიერი ლეონიდე ლაკერბაია იმედოვნებს, რომ ქართველ რკინიგზელებს რუსი და აფხაზი კოლეგების მიერ ფსოუ-ენგურის სარკინიგზო მონაკვეთის ტექნიკური შესწავლის მასალებთან პრეტენზიები არ ექნებათ და სოჭი-ინგირის სარკინიგზო მონაკვეთის აღდგენის რუსულ-ქართულ-აფხაზური სამთავრობო კომისია მუშაობას განაახლებს.

**როგორც ინტერპრესნიუსს ლეონიდე ლაკერბაიამ განუცხადა, მიუხედავად იმისა, რომ რუსმა და აფხაზმა რკინიგზელებმა სოჭი-ენგურის სარკინიგზო მონაკვეთის ტექნიკური შესწავლა 1 ოქტომბრისათვის დაასრულეს და აღნიშნული მონაკვეთის მდგომარეობის შესახებ სპეციალური აქტები შეადგინეს, სპეციალისტებს ჯერ არ დაუდგენიათ აფხაზეთზე გამავალი სარკინიგზო მონაკვეთის აღდგენას რა სახსრები დასჭირდება.**

**„სპეციალისტები მხოლოდ ახლა ითვლიან და აჯამებენ მონაცემებს სოჭი-ინგირის სარკინიგზო მონაკვეთის აღდგენას რამდენი მილიონი დოლარი დასჭირდება,“ — აცხადებს ლაკერბაია, რომლის მტკიცებით, აღნიშნული მონაკვეთის შესწავლამდე რუსეთის რკინიგზელთა შეფასებით, სოჭი-ინგირის 194-კილომეტრიანი მონაკვეთის აღდგენას 8 მილიარდი რუსული რუბლი, ანუ 275-280 მილიონი დოლარი დასჭირდებოდა.**

**ინტერპრესნიუსი**

⊙ ცოდვის მუნდირი

# ისეთმა ფურმა დამწიხლოსო...

## რუშაილო დსთ-ში დანაშაულის გაზრდას ჩვენ გვაბრალებს

**ვერა და ვერ დავაღწიეთ თავი ამ დსთ-ს. აი, გამოვდივართო, აი, გამოვრბივართო, მაგრამ საბოლოო ნაბიჯი მაინც ვერ გადავდგით. არა, ბევრ საკითხში პრინციპული პოზიცია დავიკავეთ, რუსეთიც კი გავანაწყენეთ, მაგრამ ამ შეკოწიწებულ სტრუქტურას ჯერ ისევ ვეკუთვნით, ყოველ შემთხვევაში, როცა სჭირდებათ, აუცილებლად მიგვაკუთვნებენ, ხან კი გამოგვაჭენებენ ხოლმე.**

აგერ, ახლაც, გამოვიდა დსთ-ს აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარე ვლადიმერ რუშაილო და რა უბედურებაც მთელს თანამეგობრობაში ხდება, ლამის ყველაფერი ჩვენ დაგვაბრალა. კერძოდ, იცით, რა თქვა? დსთ-ში წლეულს დანაშაულობათა რაოდენობამ 12 პროცენტით მოიმატა და ეს ყველაფერი იმის ბრალია, რომ ბევრ ქვეყანაში რევოლუცია მოხდაო. აქ, ცხადია, პირველ რიგში საქართველო დაასახელა (მერე კი უკრაინა და ყირგიზეთი მიაყოლა), სადაც თურმე ახლად მოსულ ხელისუფლებას უჭირს წესრიგის დამყარება. ამასთან, საქართველოში სამართალდამცავი ორგანოების რეფორმაც მიმდინარეობს და პოლიცია ეფექტიანად ვერ მუშაობსო, კრიმინოგენურ სიტუაციას ხეირიანად ვერ აკონტროლებსო.

არა, რა ოხრობაც ამ კუთხით დღეს საქართველოს სჭირს, ჩვენზე უკეთ ვინ იცის. კრიმინოგენური სიტუაცია აქ მართლაც რთულია, დანაშაულის მატებაც იგრძნობა და დამნაშავეთა გაახალგაზრდავებაც, მაგრამ მთელი დსთ-ს ცოდვების ჩვენზე აკიდება, და თანაც ვისგან, — რუსეთისგან, ნამდვილად საწყენია. ბოლო 10-12 წლის მანძილზე ვლადიმერ რუშაილო პირდაპირ მიკრულია სამართალდამცავ ორგანოებზე და ნუთუ არ იცის, რა ხდება მშობლიურ რუსეთში? თუ უფრო ადვილია ხელის გაშვერა საქართველოსკენ, ვიდრე 50 ჩვენხელა იმპერიისკენ? რახან ეგრეა, ახლა ჩვენ გავიშვერთ ხელსაც და ფეხსაც რუსეთისკენ, მისი მილიციისკენ.

თვით ვლადიმერ პუტინის პრეზიდენტობის პერიოდში რუსეთის 2-მილიონიანი მილიციიდან შეიცვალა (უფრო სწორად, გაიყარა) ჯერ 1 მილიონი, მერე — ნახევარი მილიონი. ეშველათ რამე? არა! შარშან იქ დანაშაული მაინც გაიზარდა დაახლოებით 15 პროცენტით. თუმცა ეს, ოფიციალურად. არაოფიციალურად მატება 35 პროცენტსაც კი აღწევს, მაგრამ... იმალება დანაშაული, არ მიდის ფაქტების აღრიცხვა.

„მილიცია ფარავს დანაშაულს, კრიმინალის დიდი ნაწილი არ რეგისტრირდება. არ არის რეგისტრაცია, არ არის დანაშაული. მაშ, რა არის? არის სავალალო ციფრები“. — იცით, ვის ეკუთვნის ეს სიტყვები? რუსეთის გენერალურ პროკურორს ვლადიმერ უსტინოვს. აღარ დარჩა რუსეთში ოჯახი, რომელსაც არ ეწვნიოს რაიმე უბედურება შავი სამყაროსგან, მაგრამ მოსახლეობის დიდი ნაწილი ჩუმადაა. [illegible] დანაშაული!




თვით რუსი ექსპერტების განცხადებით, ფაქტობრივად, მილიციელები და ბანდიტები მტრებიდან იქცნენ ბიზნეს-პარტნიორებად. უკვე აღარავის უკვირს, რომ იყიდება ყველაზე გასაიდუმლოებული ოპერატიული ინფორმაციაც კი. ისე მოედვნენ კრიმინალები მილიციის რიგებს, რომ შავი სამყაროსთვის დამალულ-დაფარული აღარაფერია. მთელმა ქვეყანამ იცის, რომ მილიციას კვებავს უამრავი დანაშაულებრივი ფონდი. სვერდლოვსკის ოლქში ასეთი ფონდია — 38, კრასნოდარის ოლქში — 50. მიდის ნაღდი ფული — დოლარებში და არა რუბლებში. შინაური გამოთვლებით, რუსეთის მილიცია „გასტარბაიტერებისგან“ იღებს ერთ მილიონ დოლარს, მძღოლებისგან — ორ მილიონს. თვით სახელმწიფო მილიციას ბიუჯეტიდან აძლევს დაახლოებით 190 მილიონ რუბლს. გარდა ამისა, უშუალოდ საწარმოებისგან მილიციას ოფიციალურად ერიცხება თითქმის ერთი ტრილიონი რუბლი. მაინც ვერ გამძღარან!

**გენადი გუდკოვი, სახელმწიფო სათათბიროს დეპუტატი:** — დღევანდელი მილიცია კორუფციულია. დაავადებულია მთელი სისტემა.

**ანდრეი მაკაროვი, სახელმწიფო სათათბიროს დეპუტატი:** — დღეს მილიცია გაცილებით საშიშია, ვიდრე ნებისმიერი დანაშაულებრივი დაჯგუფება.

ფაქტები? ინებეთ! შარშან რუსეთის მილიციის მუშაკებმა ჩაიდინეს: **138 დაჭრა, 130 ქურდობა, 75 ყაჩაღობა, 45 გაუპატიურება, 41 ძარცვა, 37 მკვლელობა...** თვლა არა აქვს სამსახურებრივი მდგომარეობის ბოროტად გამოყენებას, ადამიანის უფლებათა დარღვევას, ნარკოტიკებით ვაჭრობას, პასპორტების გაყალბებას... გენერალური პროკურატურის ცნობით, „ნორდოსტის“ ტერაქტის ყველა მონაწილეს ჰქონდა პასპორტი პირადობის შეცვლილი მონაცემებით. პასპორტი კი არა, შენ ფული დადე და თუნდაც ატომური ბომბი წაიღე გროზნოდან კამჩატკამდე. თუ რად უჯდება ქვეყანას მილიციის ასეთი „საქმიანობა“, ეს რუშაილომაც კარგად იცის და უსტინოვმაც, მაგრამ რა ქნან, „საკუთარი შვილი“ გალახონ? არა სჯობია, საქართველოსა და უკრაინის პოლიციას ურტყან?

არ გეგონოთ, რომ რუსეთში მილიცია აშვებულია, სასამართლო და პროკურატურა კი ანგელოზებია. მოსკოვის პროფკავშირებში თურმე ასე ამბობენ: „სასამართლო, მილიცია და პროკურატურა, — ყვავების ერთი გუნდია. ოღონდაც მოსამართლეები შავები არიან, მილიციელები — რუხები, პროკურორები კი — ლურჯები. ყვავი კი ყვავს არ ერჩის“ ... ეს „კომსომოლსკაია პრავდამ“ დაწერა. წელს, 9 ივნისს. კითხულობს თუ არა ვლადიმერ რუშაილო ამ გაზეთს? ეტყობა, არა. სხვაფრივ ზედმეტ ცოდვებს არ მოგვაწერდა. ჩვენსასაც გვაკმარებდა!

**ზონდო გულიაშვილი**

◉ კონტაქტები

# წითელი ვაშლი გაგორდა...

## აშშ საერთაშორისო განვითარების სააგენტოს დახმარებით გაშენებულ ბაღში პირველი მოსავალი მოიწიეს

**ამ დღეებში ვაშლის პირველი მოსავალი მიიღეს სოფელ ბებნისის ვაშლის საჩვენებელ ბაღში. იგი პროექტ Aqvantage-ისა და გორის ხილის მწარმოებელ ფერმერთა ასოციაციასთან თანამშრომლობის შედეგად დაარსდა.**

**Aqvantage — არის პროგრამა, რომელსაც აშშ-ს საერთაშორისო განვითარების სააგენტო (USAID) აფინანსებს, ხოლო განახორციელებს ACDI-VOCA — კერძო, არაკომერციული ამერიკული ორგანიზაცია.**



პროექტის საერთო ძირითადი მიზანია საქართველოსთვის სტაბილურად მაღალი ხარისხის, მყიდველთა მოთხოვნების შესაბამისი სოფლის მეურნეობის პროდუქტების სანდო მიმწოდებლის რეპუტაციის შექმნა და შემდგომ მისი განვითარება.

ამერიკელ ექსპერტებს მიაჩნიათ, რომ საქართველოს სოფლის მეურნეობის სექტორის საექსპორტო შესაძლებლობების მაქსიმალური განვითარება მნიშვნელოვნად დაეხმარება როგორც ქართველ მწარმოებლებს და გადამმუშავებლებს, ასევე გამსაღებლებსაც — წარმატებით მოიპოვონ თავიანთი ადგილი საერთაშორისო ბაზრებზე, რაც შემდგომი წარმატების საწინდარიც იქნება.



სწორედ ამ მიზნის განსახორციელებლად ორი წლის წინათ სოფელ ბებნისში აშშ-დან 840 ნაგალა და ნახევრად ნაგალას საძირეებზე დამყნილი ვაშლის ნერგების (აქედან 18 საქართველოსთვის ახალი ჯიშია) იმპორტი განხორციელდა. ჩამოტანილი ნერგები კალიფორნიიდან მოწვეული სპეციალისტის ზედამხედველობით და კონტროლით დაირგო.

ახლახან, გორის ხილის მწარმოებელ ფერმერთა ასოციაციასთან ერთად Aqvantage-მა ვაშლის საჩვენებელი ბაღის ტერიტორიაზე სანერგეც ჩამოაყალიბა. ამ მიზნით აშშ-დან ჩამოიტანეს და დარგეს ვაშლის სამი ჯიშის საძირეები, რომლებიც არსებული ვაშლის ხეებზე დაამყნეს. წელს საჩვენებელ ბაღში პირველად მოიკრიფა სამი ჯიშის ვაშლი: Colden Delicious, Idared და Liberty. ჩვეულებრივ ხეხილის ბაღები გაშენებიდან რვა წლის შემდეგ იძლევიან ნაყოფს; საჩვენებელ ბაღში კი წელიწადზე ცოტა მეტ დროში მიიღეს პირველი მოსავალი. მე-6 წელს ჰექტარზე უკვე 90 ტონა ნაყოფის მიღებას ვარაუდობენ, წლეულს თითო ხეს 2-3 კილო ნაყოფი ასხია.

ჩვენს ამერიკელ მეგობრებს მიაჩნიათ, რომ ქართველი ფერმერები სერიოზული სირთულეების წინაშე დგანან საერთაშორისო კულტურების თვალსაზრისით, ვინაიდან კონკურენცია საერთაშორისო ბაზარზე ძალზე დიდია. იმისათვის, რომ ქართულმა ნედლმა ვაშლმა შეძლოს ჯანსაღი კონკურენციის გაწევა ისეთ მიმწოდებლებთან დაპირისპირებაში, როგორც მოლდოვა და ჩინეთია, ქართველმა მეხილეებმა აუცილებლად ხეხილის ბაღების მოვლა-პატრონობის თანამედროვე ტექნოლოგიები უნდა აითვისონ, რადგან ევროპელი მყიდველის გემოვნება და მსყიდველობითი უნარი ძალიან მაღალია.

ამიტომ აუცილებელია ვაწარმოოთ მსხვილი, ხრაშუნა, არომატული და ამავე დროს ლამაზი შეფერილობის ვაშლი. მოსავლის აღების შემდეგ მათ უნდა შესძლონ ნაყოფის ცივ საცავებში თვეების მანძილზე შენახვა, რათა წელიწადის ნებისმიერ დროს შესაძლებელი იყოს თანამედროვე, მაღალმოთხოვნილებადი ბაზრის დაკმაყოფილება.

ამავე დროს აუცილებელია თანამედროვე ჯიშების გამოყვანაზე ზრუნვა, რაც საერთაშორისო ბაზარზე კონკურენტუნარიანობის ამაღლების ერთ-ერთი საწინდარია.

ვაშლის საჩვენებელ ბაღში, სოფელ ბებნისში, არაერთხელ ჩატარდა სემინარები და პრაქტიკული ტრენინგები ადგილობრივი და მოწვეული ექსპერტების მიერ, რის შედეგადაც შიდა ქართლის რეგიონში მცხოვრებ მეხილეებს შესაძლებლობა მიეცათ გაცნობოდნენ ხეხილის ბაღის მოვლის თანამედროვე მეთოდებს, ვაშლის ზომის გაზრდის, უკეთესი შეფერილობისა და დაბალანსებული მოსავლის მიღწევის მიზნით ახალგაზრდა ხნიერი ხეების გასხვლას, ხნიერი ბაღების გაახალგაზრდავების თანამედროვე ტექნოლოგიებს. გარდა ამისა, მოწვეული კონსულტანტები და პროექტის ადგილობრივი თანამშრომლები თავიანთ ცოდნას სისტემატურად უზიარებენ მოსახლეობას ხეხილის შეწამვლისა და ირიგაციის ახალი მეთოდების სფეროშიც. მიღებული ცოდნა და გამოცდილება დროთა განმავლობაში დაეხმარება ქართველ მწარმოებლებს უკეთესი ხარისხისა და შესაბამისად უფრო კონკურენტული ხილი გაიტანონ საექსპორტოდ.

ამავდროულად, ქართული სოფლის მეურნეობის პროდუქტების ექსპორტის გაზრდის მიზნით, პროექტის ხელმძღვანელები ეხმარებიან ქართველ მწარმოებლებს ნედლი ხილის შეფუთვის გაუმჯობესებაში, ტრანსპორტირების ალტერნატიული მარშრუტებისა და საშუალებების, აგრეთვე, საექსპორტო ბაზრებზე ახალი მყიდველების მოძიებაში.

პირველი მოსავლის აღებას ბებნისში უამრავი სტუმარი დაესწრო. აი, რა თქვა გორის ხილის მწარმოებელ ფერმერთა ასოციაციის დირექტორმა **თენგიზ ნანეტაშვილმა:**

— ჩვენს ორგანიზაციაში 120 კაცზე მეტია გაერთიანებული. ეს საჩვენებელი ბაღიც ყველა მათგანის საკუთრებაა. ამერიკულთან ერთად გვაქვს ადგილობრივი ჯიშებიც, მათი მოვლაც ჩვენი ამერიკელი მეგობრების მითითებებითა და კონტროლით ხორციელდება.

პროფესორმა **პოლ ვოსენმა,** რომელიც კალიფორნიის უნივერსიტეტში მოღვაწეობს, ჩვენთვის მსოფლიოში პოპულარული ჯიშები შეარჩია. ასეთი სახის ნერგები საქართველოში არასოდეს უწარმოებიათ. ეს არ არის მარტო უბრალო სადემონსტრაციო ბაღი. აქ თითოეული მომსვლელი სწავლობს, როგორ შეიძლება ხეხილის ისე მოვლა, რომ მან, რაც შეიძლება მალე, უხვი, გემრიელი და გამძლე ნაყოფი მოგვცეს, რომ მისი გაყიდვისას მაქსიმალური მოგება მივიღოთ, როცა ამ ბაღს ხედავენ, თავად რწმუნდებიან მის სიკეთეში, რადგან აქ მოწეული მოსავლის 90 პროცენტი უმაღლესი ხარისხისაა.

გულთბილი სიტყვებით მიმართა შეხვედრის მონაწილეებს, აგრეთვე პროექტის დირექტორმა **რიჩარდ ჰურელ ბრინკმა.**

— მიმაჩნია, რომ დღევანდელი ღონისძიება, პირველი მოსავლის აღება, არა მარტო ქარელის რაიონისთვის არის ესოდეს მნიშვნელოვანი, არამედ საერთოდ საქართველოს მეხილეობის თითოეული რეგიონისათვის. საქართველოში არის ძალიან კარგი ნიადაგი და ჰავა, რაც ხეხილისთვის ესოდენ აუცილებელია. თქვენ ეს აუცილებლად უნდა გამოიყენოთ, ყველაფერი უნდა გააკეთოთ, რათა ამ ხეხილმა თქვენი ეკონომიკური მდგომარეობა გააუმჯობესოს. დიდად ვაფასებ ქართველ მეხილეებს, მათ გამოცდილებას, შრომისმოყვარეობასა და სურვილს უკეთესი მუშაობისთვის. თქვენ ეს უნდა შეძლოთ. მინდა გითხრათ, რომ საერთაშორისო ბაზრებზე ხეხილის ძალზე დიდი კონკურენციაა, ამიტომ თუ კონკურენტუნარიან ვაშლს ვერ აწარმოებთ, ასეთ ბაზრებზე ადგილს ვერასოდეს დაიმკვიდრებთ. იქ მრავალი ქვეყნიდან ჩადის საუკეთესო ხილი და ამიტომ კონკურენცია დიდია. პრობლემა ამ მხრივ ძალიან ბევრია და მე მოხარული ვარ, რომ ქართველ მეხილეებს ეს ესმით.

მოხარული ვარ, რომ საჩვენებელ ბაღში ქართველმა მეხილეებმა ჩვენი ყველა მოთხოვნა ზედმიწევნით კარგად შეასრულეს.

ბაღი თანდათან მოძლიერდება, დამშვენდება, დარწმუნებული ვარ ჩვენს მაგალითს ბევრი ადგილობრივი მცხოვრები მიბაძავს და საბოლოოდ შიდა ქართლის ბაღები საუკეთესო ნაყოფისმომცემი ხეხილით შეივსება.

პირველი მოსავლის დაგემოვნების მისიაც სიმბოლურად ბატონ პოლ ვოსენს ერგო.

დასაწყისი ერთობ კარგია, კარგი დასაწყისი კი საქმის ნახევარიაო, უთქვამს ჩვენს ბრძენ ხალხს.

**ნაზი იმნაიშვილი**
**ქარელის რაიონი,**
**სოფელი ბებნისი.**

◉ ფალსიფიკაცია

# ნუ გვწამლავთ!

### ყალბი „ევროპები“

**შპს „ევროპა +“-ის საწყობში ფინანსური პოლიციის თბილისის სამმართველოს თანამშრომლებმა ყალბაქციზიანი ალკოჰოლური სასმელები აღმოაჩინეს. საზოგადოების საწყობში, რომლის დირექტორია თენგიზ ცერცვაძე, სამართალდამცველებმა დაახლოებით 3 ათასი ბოთლი, სავარაუდოდ, ფალსიფიცირებული შამპანური და არაყი „ევროპა“ ნახეს. გარდა ამისა, საწყობში ინახავდნენ 500 ცალ ყალბ აქციზურ მარკას. პოლიციამ ალკოჰოლური სასმელები ამოიღო, რომელიც ექსპერტიზაზე გაგზავნეს, სადაც მათ ხარისხს დაადგენენ. არსებობს საფუძვლიანი ეჭვი, რომ ალკოჰოლური სასმელი საშიშია ადამიანის ჯანმრთელობისთვის.**

### იხეირეთ, ოღონდ...

**სოსისითა და ძეხვით მოწამლულმა ნაზი ხარაიშვილმა ფინანსურ პოლიციას მიმართა. დადგინდა, რომ საკვები პროდუქტები დიღმის მასივში, ახმეტელის ქუჩაზე განთავსებულ საამქროშია დამზადებული, რომელიც ინდმეწარმე დავით ჩიბურდანიძეს ეკუთვნის. დაზარალებულმა პოლიციაში მის მიერ შეძენილი სოსისის ნიმუშები წარადგინა. შს სამინისტროს საექსპერტო კრიმინალისტიკური ექსპერტიზის მთავარ სამმართველოში აღნიშნულ ნიმუშთა ლაბორატორიული შემოწმებით გაირკვა, რომ ისინი არ შეესაბამება სახელმწიფო სტანდარტით გათვალისწინებულ ნორმებს, რაც პროდუქციის თვისობრივ ცვლილებას განაპირობებს.**

ფინანსურმა პოლიციამ ინდსაწარმო „დავით ჩიბურდანიძის“ საამქროდან ამოიღო 130 კილოგრამი სოსისი და 80 კილოგრამი ნახევრადშებოლილი ძეხვი „ქალაქური“. შს სამინისტროს საექსპერტო კრიმინალისტიკური ექსპერტიზის მთავარი სამმართველოს ცნობით, სოსისი და ძეხვიც, გარკვეული პარამეტრებით, არ შეესაბამება დადგენილ სტანდარტებს. თავად დ. ჩიბურდანიძემ კი მოკვლევისას განმარტა, რომ პროდუქციის დამზადების ტექნოლოგიურ პროცესში დარღვევები მან დაუშვა მისი თვითღირებულების შესამცირებლად. სისხლის სამართლის საქმე მის მიმართ სწორედ ამის გამოა აღძრული.



მეორე შემთხვევაც ტყუპისცალივით ჰგავს პირველს. ფინანსურ პოლიციას ამჯერად მზია წენგუაშვილმა მიმართა, რომელმაც შპს „უნივერსამ დიღომში“ შეძენილი 2,4 კილოგრამი სოსისი მიიტანა. ეს პროდუქციაც, როგორც ლაბორატორიული შემოწმებით დადგინდა, არ შეესაბამება საქართველოს სახელმწიფო სტანდარტით გათვალისწინებულ მოთხოვნებს. პოლიციამ უნივერსამიდან სხვადასხვა ოდენობით ამოიღო სოსისი „ივერია“, „შავიზღვისპირული“ და ძეხვი „ნახევრადშებოლილი“, „მონადირული“, „კრაკოვური“ (მთლიანად 369 კილოგრამი), რომელთაგან არც ერთი არ შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს სახამებლის ჭარბი პროცენტული შემცველობის გამო, რაც საკვები პროდუქტის თვისობრივ ცვლილებას იწვევს. უნივერსამის დირექტორმა ლამარა არველაძემ, მოკვლევის პროცესში მიცემულ ჩვენებაში, განმარტა, რომ სოსისისა და ძეხვის დამზადების ტექნოლოგიურ პროცესზე პასუხისმგებელი თავად არის...

დანარჩენზე საუბარს, ვფიქრობთ, აზრი არა აქვს. ლ. არველაძის მიმართაც სისხლის სამართლის საქმეა აღძრული.

### რას გვასმევენ, კაცმა არ იცის!

**ცოტა ხნის წინათ შპს „თბილისის ღვინის მარნის“ საწარმოში ფინანსურმა პოლიციამ 170 ათასი დეკალიტრი სხვადასხვა სახელწოდების ძვირადღირებული ღვინო რომ დაღვარა, საზოგადოებრიობა ამის თაობაზე კარგადაა ინფორმირებული. ეს ფაქტი, თავისთავად, მრავლის მთქმელი რომ არის ამას მტკიცება არ სჭირდება, მაგრამ ამ საკმაოდ გახმაურებულ და აჟიტირებულ აქციას სასურველი პრევენციული შედეგი, როგორც ჩანს, მაინც არ მოუტანია. წინააღმდეგ შემთხვევაში კვლავ ღვინის ფალსიფიკაციის შესახებ პუბლიკაციის მომზადება კარგა ხანს მაინც აღარ უნდა დაგვჭირვებოდა, მაგრამ...**

ფინანსური პოლიციის დანაყოფებმა ამ დღეებში კვლავ გამოავლინეს სტანდარტების შეუსაბამო ღვინომასალების მწარმოებლები, კერძოდ, საგამოძიებო დეპარტამენტის აჭარის სამმართველოში დაიწყეს წინასწარი გამოძიება ალკოჰოლური სასმელების ფალსიფიკაციის ოთხ ფაქტზე. სისხლის სამართლის პასუხისმგებლობაში მიცემული არიან გალინა კუტუბიძე და თამაზ ბერიძე, ასევე ინდივიდუალური მეწარმეები გ. ვაჩეიშვილი და ვ. ჩაფიძე.

გარდა ამისა, საგამოძიებო დეპარტამენტის შიდა ქართლის სამმართველოს თანამშრომლებმა შპს „მიკიტანისა“ და შპს „არაგვის“ კუთვნილი ღვინომასალები დაღვარეს. **„საქმე ის გახლავთ, რომ აღნიშნული საზოგადოებების პროდუქციას სტანდარტის შესაბამისი შემადგენლობა არ ჰქონდა და ამიტომ რეალიზაციას არ ექვემდებარებოდა“,** — განაცხადა ფინანსური პოლიციის შიდა ქართლის სამმართველოს უფროსმა ზურაბ არსოშვილმა.

ჩვენი მხრივ დავძენთ, რომ არაკეთილსინდისიერ საქმიანობას მრავალი საშუალო თუ ინდივიდუალური მეწარმე ხშირად საგადასახადო კოდექსის „მხუთავი მარყუჟით“ ხსნის და აცხადებს — სტანდარტების შესაბამისი პროდუქცია რომ გამოვუშვა, მაშინ საწარმო უნდა დავხურო, რადგან შემოსავალი ხარჯს ვერ ფარავსო. რამდენად გასაზიარებელია ეს თეზისი, თავად განსაჯეთ, ბატონებო, მაგრამ, ვფიქრობთ, რომ ასეთი „ვაი-ბიზნესმენების“ მიმართ თხოვნას კი არა, მოთხოვნას ყველანი ერთხმად შევუერთდებით:

„ნუ გვწამლავთ!“

**ფინანსური პოლიციის საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახური.**

◉ ინფორმაცია

### მოულოდნელი სტუმრობა

**გუშინწინ** გვიან ღამით ზუგდიდში შს მინისტრი ვანო მერაბიშვილი და გენერალური პროკურორი ზურაბ ადეიშვილი ჩავიდნენ. მათ დაათვალიერეს ზუგდიდის რაიონის საზღვრისპირა სოფლებში განლაგებული შს სამინისტროს საგანგებო დავალებათა სამმართველოს პოზიციები.

ვანო მერაბიშვილის ჩასვლა და პოზიციებთან დაკავშირება სამმართველოს თანამშრომლებისთვის მოულოდნელი იყო და მიზნად ისახავდა შს სამინისტროს თანამშრომლების მზადყოფნის შემოწმებას.

ვანო მერაბიშვილმა დაათვალიერა სოფლებში — ხურჩაში, განმუხურსა და ორსანტიაში განლაგებული პოზიციები, ასევე მივიდა შს სამინისტროს საგანგებო დავალებათა ბაზაში, რომელიც ზუგდიდში ერთი თვის წინათ გაიხსნა. მერაბიშვილი კმაყოფილი დარჩა, როგორც ბაზის დღევანდელი მდგომარეობით, ასევე თანამშრომელთა საერთო მომზადების დონით.

### საბაჟო დეპარტამენტმა საპროგნოზო მაჩვენებლები გადაჭარბებით შეასრულა

**როგორც** ინტერპრესნიუსს საბაჟო დეპარტამენტში განუცხადეს, დეპარტამენტის მიერ მობილიზებულმა შემოსავალმა მიმდინარე წლის იანვარ-სექტემბრის გეგმას მნიშვნელოვნად გადააჭარბა.

ცხრა თვის საპროგნოზო მაჩვენებლით გათვალისწინებული 607 537 600 ლარის ნაცვლად, დეპარტამენტმა ბიუჯეტში 684 200 000 ლარი შეიტანა, რაც საპროგნოზო მაჩვენებელს 12,6%-ით აღემატება.

სექტემბერში მობილიზებულია 91 596 500 ლარი, რაც გეგმით გათვალისწინებულს 29%-ით აღემატება.

### კოკოითი ისევ თავისას გაიძახის

**მოსკოვში** ორდღიან ვიზიტად მყოფი სამხრეთ ოსეთის თვითგამოცხადებული რესპუბლიკის პრეზიდენტი ედუარდ კოკოითი ცხინვალის კონფლიქტის ზონიდან სამშვიდობო ძალების გაყვანას კონფლიქტის სრულ მოწესრიგებამდე გამორიცხავს და 20 სექტემბერს ცხინვალის დაბომბვაში საქართველოს თავდაცვის მინისტრს ირაკლი ოქრუაშვილს ადანაშაულებს.

„კონფლიქტის ზონიდან სამშვიდობო ძალების გაყვანის საკითხი მარტო ქართული მხარის გადასაწყვეტი არ არის. საქართველოს ხელისუფლებას მოვუწოდებ ანგარიში გაუწიოს კონფლიქტის მოწესრიგებაში ჩართულ ქვეყნებს,“ — განაცხადა გუშინ, მოსკოვში გამართულ პრესკონფერენციაზე ედუარდ კოკოითმა.

მისივე განმარტებით, 1992 წლის 24 ივლისს რუსეთსა და საქართველოს შორის ხელმოწერილ შეთანხმებაში გარკვევით წერია, რომ სამშვიდობო ძალები სამხრეთ ოსეთის ტერიტორიაზე კონფლიქტის სრულ მოწესრიგებამდე უნდა დარჩნენ.

### შიდსი ბავშვებსაც შეეყარეთ

**ქუთაისში** სავარაუდოდ სისხლის გადასხმის გზით შიდსის ვირუსით დაინფიცირებული ბავშვის გამო გუშინ შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრმა ლადო ჭიპაშვილმა და შიდსის ცენტრის ხელმძღვანელმა თენგიზ ცერცვაძემ სამინისტროში დახურულ კარს მიღმა შეხვედრა გამართეს.

როგორც შეხვედრის შემდეგ, შიდსის ცენტრის ხელმძღვანელმა თენგიზ ცერცვაძემ ინტერპრესნიუსს განუცხადა, დამტკიცებულია, რომ „აივ/შიდსის“ ვირუსით ინფიცირებულია ერთი ბავშვი. გაგრძელდება კვლევა თუ საიდან მოხდა დაინფიცირება. მეორე ბავშვს კი



შესაბამისი კვლევა ჩაუტარდება, რათა საბოლოოდ დადგინდეს ინფიცირებულია თუ არა იგი. ათი დღის განმავლობაში ბავშვებს განმეორებით ჩაუტარდებათ გამოკვლევა.

გუშინ გავრცელდა ინფორმაცია, რომ ორ ქუთაისელ მცირეწლოვან ბავშვს შიდსის ვირუსი დონორის სისხლისგან გადაეცა.

### ავშენებულვართ, ყურძენს ვყრით, ღვინოს ვღვრით

**კახეთიდან** თბილისში ჩამოსული გლეხები პროტესტს გამოთქვამენ და ელიავას ბაზრობიდან ყურძნით დატვირთული ავტომანქანებით სხვა ტერიტორიაზე გადასვლას არ აპირებენ.

როგორც ინტერპრესნიუსს ერთ-ერთმა გლეხმა განუცხადა, მათთან გუშინ დილით საპატრულო პოლიციის წარმომადგენელი მივიდა და ტერიტორიის დაცლა და ცემენტის ქარხნის ტერიტორიაზე გადასვლა მოსთხოვა.

როგორც გლეხები აცხადებენ, იქ გადასვლა მათ არ სურთ, რადგან იქ ვაჭრობისთვის არახელსაყრელი პირობებია.

„ამ ტერიტორიაზე დგომისათვის 2 ლარს ვიხდით, იქ გადასვლის შემთხვევაში კი 25 ლარის გადახდას მოითხოვენ. ეს ყველაფერი ფულის გაკეთების მიზნით არის მოგონილი. ჯერჯერობით ამ ტერიტორიაზე კვლავ ვრჩებით. თუმცა, არ ვიცით ხვალ რა პირობებს წამოგვიყენებენ“, — აცხადებენ გლეხები.

### მესაზღვრეებმა ირანის მოქალაქე გააბეს

**საქართველოს** სახელმწიფო საზღვრის დარღვევის ფაქტზე ქართველმა მესაზღვრეებმა ირანის მოქალაქე ჰასან აჰრე დაყი დააკავეს.

როგორც ინტერპრესნიუსს სასაზღვრო უწყების პრეს-სამსახურში განუცხადეს, მისი დაკავების ღონისძიება თბილისის აეროპორტში, სასაზღვრო-საპასპორტო კონტროლის გავლის დროს განხორციელდა.

ირანის მოქალაქე საქართველოს საზღვრის გადმოკვეთას გერმანიის მოქალაქის ყალბი პასპორტით ცდილობდა. აღნიშნულ ფაქტთან დაკავშირებით მიმდინარეობს მოკვლევა, რომელსაც საზღვრის დაცვის დეპარტამენტის ოპერატიულ-სამძებრო სამმართველო აწარმოებს.

**ინტერპრესნიუსი**

◉ ჟურნალისტი მივლინებიდან დაბრუნდა

# 9. „გაუმარჯოს, ბატონო, გაუმარჯოს...“

**რა დასამალია და, დედაქალაქშიც კი ზოგიერთი ბიბლიოთეკა გაჩანაგების პირას არის. თითქოს მათი ბედი აღარავის აინტერესებს. ხან ვინ მოგვმართავს თხოვნით, გვიშველეთ, შენობას გვიყიდიანო და ხან ვინ. მახსოვს, რა ბრძოლა დაგვჭირდა, რომ მადააღძრული მოძალადის ბრჭყალებიდან დაგვეხსნა მირზა გელოვანის სახელობის ბიბლიოთეკა, წლეულს კი იგივე საფრთხე დაემუქრა ზურაბ ჭავჭავაძის ქუჩაზე მდებარე, ძმები ზუბალაშვილების მიერ დაარსებულ ასწლოვან ბიბლიოთეკას! ბევრი წიგნის მაღაზია სახინკლედ და კაფე-ბარებად გადააკეთეს. აბსოლუტურად მართლდება ერთი დიდჩინოსანი მოხელის „აღმოჩენა“, საქართველოში ნამუსის გარდა ყველაფრის გაყიდვა შეიძლებაო. ოღონდ, ერთი შესწორება უნდა შევიტანო — ახლა ბევრი ნამუსსაც კარგად ახურდავებს. ისე ახურდავებს, თვალსაც არ ახამხამებს.**

ამ ფონზე, დიახაც, რომ სასიამოვნოა ყურადღება, ხულოს ადგილობრივი ხელისუფლება კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულებათა მიმართ რომ იჩენს. შესაძლოა, ეს ყურადღება ჯერჯერობით ყოველთვის სასურველ დონეზე არ არის, მაგრამ სულ უმოქმედობას ნამდვილად სჯობს. — მოდით, ბარემ ახალ ბიბლიოთეკაშიც შევიაროთ, ვნახოთ, როგორ მოეწყვნენო, — მითხრა ეთერ დეკანაძემ, როცა ჯანმრთელობის დაცვის კერებიდან ვბრუნდებოდით. როგორც ვამბობდი, ერთი დიდებული ნიშანი აქვს ხულოს — თითქმის ყველა მნიშვნელოვანი ობიექტი დაბის ცენტრშია, ამიტომ მისვლა-მოსვლაში დიდი დრო არ გეხარჯება. რამდენიმე საფეხური ავიარეთ და ბიბლიოთეკასაც მივადექით — ბიბლიოთეკარი ლია ბოლქვაძე უკვე შინ წასვლას აპირებდა. დაგვინახა და კარი მოაღიავა.

— ამ შენობაში ადრე სასადილო იყო, — გზადაგზა მესაუბრება ეთერი, — ბიბლიოთეკა კი ხის ძველ შენობას შეფარებოდა. მერე ის შენობაც დაინგრა და მთელი წიგნები თეატრის ფოიესა და კულტსახლში შეიტანეს. გამგეობის განკარგულებით სასადილოს შენობა სათანადო რემონტის შემდეგ ბიბლიოთეკას გადასცეს.

ამასობაში ფართო, ნათელ დარბაზშიც შევედით. ჯერჯერობით წიგნები ამ დარბაზში აწყვია — 20 800 წიგნს დახარისხება და ადგილის მიჩენა ხომ უნდა! სტელაჟების ნაწილი უკვე გაუმართავთ. როგორც ქალბატონმა ლიამ ბრძანა, ინვენტარი, განსაკუთრებით მაგიდები და სკამები, არ ჰყოფნით, თუმცა მთავრობაც დახმარებას ჰპირდება და დეპუტატებიც. ეს საქმე, ასე თუ ისე, მოგვარდება, მაგრამ, აი, ჟურნალ-გაზეთების, ახალი წიგნების შეძენას რა ეშველება? ჩამოსული იყო საქართველოს საბიბლიოთეკო ასოციაციის პრეზიდენტი ირაკლი ღარიბაშვილი. პირობები გამოიკითხა. რაღაც-რაღაცეებში დახმარებასაც დაჰპირებია... ვნახოთ. საქართველოს კულტურის სამინისტრომ 1000 ლარის წიგნები უკვე აჩუქა, აჭარისამ — 4 500 ლარისა.

ერთ რამეზე წუხს ქალბატონი ლია, აბონენტები მოგვაკლდნენო. იქვე საჩქაროდ დაუმატა, თანდათან გვემატებიანო.

**მე არ ვიცი, სხვა რა დასკვნებს გააკეთებდა, მე კი იმედი გამიჩნდა: იმედი იმისა, რომ წიგნი, ბოლოსდაბოლოს, თავის ადგილს იბრუნებს!**

ეს აზრი განმიმტკიცდა სარაიონო საბავშვო ბიბლიოთეკის დათვალიერებისას. ის ჯერაც თეატრის შენობაშია შეკედლებული. მართალია, 1992 წლიდან არანაირი ლიტერატურა აღარ მიუღიათ, მაგრამ წლეულს საქართველოს ეროვნულმა ბიბლიოთეკამ გამოუყო 4500 ლარის წიგნები. ახლა ბათუმში ჩამოტანას ელოდებიან. ფონდებში 16 ათასი სხვადასხვა დასახელების წიგნი აქვთ და 765 აბონენტს, I-IX კლასების მოსწავლეებს ემსახურებიან.



**ერთსაც ვიტყვი: არც ისე დიდი ხნის წინათ აქაური ბიბლიოთეკარები 27 ლარ ხელფასს იღებდნენ. ახლა მათი თვიური განაკვეთი 120-150 ლარის ფარგლებში მერყეობს. ასე, რომ ჩემი დასკვნა, წიგნი თავის ადგილს იბრუნებს-მეთქი, სავსებით კანონზომიერი ყოფილა.**

რაც შეეხება შენობას... როგორც ქალბატონმა ეთერმა ბრძანა, გამგეობაში ამაზეც ფიქრობენ და, ალბათ, მალე გამოსავალსაც მოძებნიან.

რახან კულტსაგანმანათლებლო დაწესებულებებზე ვსაუბრობ, ბარემ მოდით, მხარეთმცოდნეობის მუზეუმშიც შევიხედოთ. სხვა რომ არა იყოს რა, ისიც ახალსახლობას ზეიმობს — სტამბის ყოფილ შენობაში ფართო ოთახი გამოუთავისუფლებიათ, გაულამაზ-გაურემონტებიათ და, როგორც დირექტორმა რევაზ აბულაძემ ბრძანა, უთქვამთ, მოუარეთ და კეთილად მოიხმარეთო.

ჯერ არც ესენი დალაგებულან, ჯერ ყველაფერი ჰაიჰარად არის მიწყობილ-მოწყობილი, ზოგი ნივთი ისევ ძველ შენობაშია თავშეფარებული. 600-მდე ექსპონატი ჰქონიათ, სულ აქაური, ადგილზე მოძიებული ხმალ-ხანჯალი, განთქმულ მაჭახელაში დამზადებული თოფი, სადურგლო იარაღები, ქალამნები, დოქები, ჯამ-ჭურჭელი, ჯარა, თხილვანელი მოსწავლის მზევინარ ქამაშიძის მიერ შესრულებული აბუსერიძე ტბელის ნაქარგი პორტრეტი, სხალთის ეკლესიის მაკეტი...

ბატონი რევაზი პროფესიით პედაგოგია. ექვსი წელია, მუზეუმს ემსახურება. იქნებ ისევ პედაგოგობა გაეგრძელებინა, რომ არა ერთი სამწუხარო ამბავი: 28 წლის ვაჟი — ფრიდონი მოულოდნელად დაღუპვია. ის იყო აქაურობის პატრონი და გულშემატკივარი. მამამაც იფიქრა, უკეთესს რას გავაკეთებ, მუზეუმსაც მოვუვლი და შვილის ხსოვნასაც გავახანგრძლივებო. ასეთი ტკივილი ხომ არასოდეს რჩება, მაგრამ კაცს მიზანსაც უტოვებს.

სამსახურში ყოველდღე ამ მრწამსით მოდის რევაზ აბულაძე. არჩევს და ეფერება ნივთებს, რომლებიც, ოდესღაც, მის მამა-პაპას ემსახურებოდა. დღეს ჩვენი კუთვნილებაა, რათა მომავალ თაობებს ვუთხრათ, რანი ვიყავით და რანი უნდა ვიყოთ...

იმავე საღამოს სახელმწიფო თეატრში ერთ ახალგაზრდულ ღონისძიებასაც დავესწარი. მომღერალ გიორგი კვენეტაძეს უკვე მოესწრო დარბაზის „აყვანა“. თითქმის ყოველ ნომერს შეკრებილნი მხურვალე ოვაციით ხვდებოდნენ. „გიორგი, ჯიგარი ხარ! გვიმღერე „ყვავილების ქვეყანა“. „აბა, ერთად ვიმღეროთ „გამარჯობა, ჩემო თბილის ქალაქო!“ — პასუხობდა მომღერალი. დარბაზი ჯერ გაუბედავად, მერე და მერე კი ერთსულოვნად ეხმაურებოდა კვენეტაძის „ახირებას“. **ჩანდა, მომღერალსაც და მსმენელსაც ჩინებულად ესმოდათ ერთმანეთისა. განსაკუთრებული მოწონება გამოხატეს ბათუმის ფესტივალზე გამარჯვებული სიმღერის „სისხლისფერი ვარდების“ მიმართ.**

მოდით, დავემშვიდობოთ ჩვენს თინეიჯერებს და გავესაუბროთ ხულოს იუსუფ ზოიძის სახელობის სახელმწიფო თეატრის, დიახ, დიახ, სახელმწიფო თეატრის დირექტორს სულიკო თავართქილაძეს. ეს სწორედ ის სულიკო თავართქილაძე გახლავთ, ემოციურად რომ შემისწორა, აჭარა არსადაც არ წასულა, ის ყოველთვის საქართველოსთან იყოო. იცოცხლეთ, სათქმელი ბევრი აქვს და ეს სათქმელი ისევ და ისევ თეატრის მომავალს უკავშირდება. ამ თეატრსაც, ისევე, როგორც მის მოძმეებს საქართველოში, მაინცდამაინც არ ულხინს, სამეურნეო ხარჯებიც აკლია, სპექტაკლების დასადგმელი თანხებიც, მსახიობებს უტრანსპორტობის გამო სოფლებში გასვლაც უჭირთ, არც მაღალი ხელფასებით არიან განებივრებული, მაგრამ... მაინც მუშაობენ! „ჩვენი მაჟორიტარი დეპუტატის ოთარ ღორჯომელიძის ჩარევის შემდეგ საქართველოს კულტურის სამინისტრომ ნოდარ დუმბაძის „მე, ბებია, ილიკო და ილარიონის“ დასადგმელად 2500 ლარი გამოგვიყო (როგორც გამარჯვებულ თეატრს), მუშაობა დავიწყეთ და... სამინისტრომ თანხა ისევ უკან წაიღო. თუ სხვა რეკვიზიტები გექნებათ, დაგიბრუნებთო, შეგვპირდნენ, მაგრამ სპეცსახსრები არა გვაქვს“. „ასლან აბაშიძე კულტურას სწყალობდაო. თქვენ არ გეხმარებოდათ?“ „ერთი ის იყო, და! სახელმწიფო თეატრი გვქვია, საშუალო ხელფასი კი 75 ლარს არ ასცილებია... მსახიობებს ბინა არა აქვთ, სამი მათგანი ჩემთან ცხოვრობს“. „ახლანდელი მთავრობა არ გეხმარებათ?“ „როგორ არა. 30 ათასი მოგვცეს. 20 ათასი აპარატურის შეძენას მოვახმარეთ, 10 — რემონტს, აპარატურის დასამონტაჟებელი თანხა აღარ დაგვრჩა!“ „არ გპირდებიან?“ „რა ვიცი, ჯერ არაფერი ისმის“. „საბავშვო ბიბლიოთეკაც თქვენთან არის შემოხიზნული“. „მაგას კიდევ რა უშავს, ბილიარდი დამიდგეს, კაცო! ამ დროს თეატრს ტუალეტი არა აქვს. თეატრში ბილიარდს რა უნდა! თუ ვინმე გვეხმარებოდა, ავთანდილ ბოლქვაძე იყო, გამგებლის პირველი მოადგილე. ახლა ეგ ბათუმში გადაიყვანეს და, ჩემთვის, აბა, როგორღა მოიცლის“. „ამჟამად რაზე მუშაობთ?“ „ბებიაზე“. მე და ხელოვნების დამსახურებული მოღვაწე ოთარ წურქავა ვამზადებთ“. „სოფლებში თუ გადიხართ?“ „იშვიათად. უტრანსპორტოდ გვიჭირს. ბათუმში კი გავმართეთ რამდენიმე სპექტაკლი“.

**ვეუბნები, რომ რაიონის შესაძლებლობები მწირია და რასაც ახერხებენ, ისიც მიკვირს. ბევრად დიდ რაიონებსაც არა აქვთ სახელმწიფო თეატრი. დავიმსახურეთო, — მოკლედ მომიჭრა ბატონმა სულიკომ.** უფრო ვრცლად ამ წიგნში წერიაო, — მითხრა და შარშან გამოცემული ზაურ ბოლქვაძის წიგნი „თეატრი აჭარაში“ გადმომცა.

ამ წიგნიდან ორიოდე სურათს აქვე გთავაზობთ...



**ელგუჯა ლეჟანიძე,**
**„სრ“ სპეც. კორ.**
**თბილისი-ხულო-თბილისი.**

**სურათებზე:** იუსუფ კობალაძე; სცენა სპექტაკლიდან „მზე ნეკერჩხლის ტყეში“.

◎ ბედი და ადამიანები

# აინშტაინის ლაქე



**ნა რაღაც დამშვიდების მსგავსი რამ: დიახ, ჩვენ მხოლოდ დაბალ ცხოველთა ნაშიერნი ვართ... მაგრამ, ყოველივე ამის მიუხედავად, ადამიანი დიადი არსებაა. მას შეუძლია შეაღწიოს სამყაროს ღრმა საიდუმლოებებში თავისი აზროვნების ძალის მეშვეობით.**

ფარდობითობის ზოგადი თეორია — ეს უბრალოდ გონების თამაში როდია. მისმა დებულებებმა ხელი შეუწყვეს კოსმონავტიკის განვითარებას და დაეხმარნენ **CPS** პოზიცირების ღრმა სისტემის შემუშავებას, რაც აუცილებელია მფრინავებისთვის, ავტომობილისტებისა და მოგზაურებისთვის. მაგრამ, რა თქმა უნდა, არა მხოლოდ ამის გამო აინშტაინი სამარადჟამოდ რჩება კაცობრიობის მეხსიერებაში. შორეულ 1905 წელს მან იწინასწარმეტყველა ატომური ბირთვის საიდუმლოებაში შეჭრა... სინათლეს გადააქვს მასა.

ამის მიღმა იმალება ცნობილი ფორმულა **$E=mc^2$** — ენერგია უდრის მასას, გამრავლებულს სინათლის სიჩქარეზე კვადრატში. ეს არის განტოლება, რომელშიც პირდაპირ ჩალა აინშტაინისთვის წყევლა-კრულვად იქცა. მონაწილეობდა თუ არა იგი საშინელი იარაღის შექმნაში? ფაქტები ასეთია: 1939 წლის აგვისტოში აინშტაინმა ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტს — რუზველტს წერილი გაუგზავნა. მასში მეცნიერი ვარაუდობდა, რომ გერმანიაში მიმდინარეობს სამუშაოები ატომური ბომბის შესაქმნელად. 1940 წელს მისი მეგობარი და კოლეგა რობერტ ოპენჰაიმერი სათავეში ჩაუდგა პროექტს — ამერიკის შეერთებულ შტატებში ბირთვული იარაღის შემმუშავებელ სამეცნიერო ცენტრს. თვით აინშტაინი ამ სამუშაოებზე არ დაუშვეს — ამერიკულმა სპეცსამსახურებმა მისი საზოგადოებრივი პოზიცია მეტად ლიბერალურად და გამომწვევად მიიჩნიეს. ასე რომ, დიდი ფიზიკოსი მომაკვდინებელი ბომბის შექმნაში მხოლოდ თეორიულად მონაწილეობდა. ოფიციალურ ანგარიშში, რომელიც პირველი ატომური ბომბის გამოცდების დაწყებისთვის მომზადდა ამერიკის შეერთებულ შტატებში, მითითებული იყო, რომ



1921 წელს აინშტაინს ნობელის პრემია მიანიჭეს, ხოლო 1934 წელს სტუდენტებმა მას „ყველაზე ცნობილი ადამიანის" პრიზი გადასცეს.

**მათი** მეშვეობით მეცნიერმა პრინციპულად სულ მთლად ახლებურად ახსნა გრავიტაცია, რომელსაც ჩვენ, ვიყენებთ რა ნიუტონისამებრ სამყაროს სურათს, ადრინდელივით „სიმძიმის ძალას" ვუწოდებთ და წარმოგვიდგენია სხეულებს შორის, მაგალითად, დედამიწასა და მთვარეს შორის, როგორც „მიზიდულობის ძალა".

აინშტაინმა ამოიღო ეს ძალა ფიზიკის ტერმინების ბრუნვიდან, ისევე, როგორც წინათ გააუქმა ეთერის ცნება. სინამდვილეში, ამბობდა იგი, სხეულთა მასები ამრუდებენ სივრცე-დროს, და ეს გამრუდება, თავის მხრივ, დანიშნულებას აძლევს სხეულებს, თუ როგორ იმოძრაონ. დედამიწა და მთვარე ერთმანეთს არ იზიდავენ — ასე მიაჩნდა ნიუტონს. ისინი უბრალოდ მოძრაობენ, ისევე, როგორც სხვა ციური სხეულები, სივრცე-დროში უმოკლესი გზით.

**ადამიანმა თუნდაც ერთხელ რომ შეძლოს დიდი სისწრაფით წასვლა სინათლის სიჩქარით, იგი დაამარცხებდა დროსა და სიბერეს**

სწორედ ფარდობითობის ზოგადმა თეორიამ აინშტაინს მოუტანა მსოფლიო დიდება — და შესაძლებელი გახადა რამდენიმე დიდმნიშვნელოვანი წინასწარმეტყველების გაკეთება. ის კი არა, ერთ-ერთი მათგანის შემოწმება ექსპერიმენტულად ჩატარდა. თუ გიგანტური მასები ნამდვილად ამრუდებენ სივრცე-დროს (კერძოდ კი სივრცეს, როგორც ოთხგანზომილებიანი სისტემის ნაწილს), მაშინ სინათლემ თავის გზაზე კოსმოსში უნდა მისდიოს ამ გამრუდებებს. ჩვენთან ახლო მდგომი მასის — მზის ახლოს იგი უნდა გადაიხაროს სწორისაგან — თუნდაც არცთუ ისე ძლიერად, მაგრამ საკმაოდ, რათა ეს გადახრა გაიზომოს.

სულ მალე ინგლისელმა მეცნიერმა, რომელიც სწავლობდა 1919 წლის მაისში მზის დაბნელებას, შეძლო ამ ეფექტის დაფიქსირება. შედეგი გამოქვეყნდა 6 ნოემბერს ლონდონში ორი ცნობილი საზოგადოების — სამეფო სამეცნიერო და სამეფო ასტრონომიული საზოგადოებების გაერთიანებულ სხდომაზე. უკვე მეორე დღეს გაზეთმა „ტაიმსმა" ეს ამბავი აღიარა, როგორც რევოლუცია მეცნიერებაში. ეს თარიღი — 1919 წლის 7 ნოემბერი — შეიძლება ჩაითვალოს XX საუკუნის ლეგენდისა და მითის — ალბერტ აინშტაინის მეორე დაბადების დღედ.

**კოპერნიკმა ადამიანი „გაასახლა" სამყაროს ცენტრიდან, დარვინმა შეარყია რწმენა ადამიანის ღვთიური წარმოშობის შესახებ, ფროიდმა ადამიანი შეგნებული „მეს" არაშეგნებულ ბატონად გამოაცხადა. აინშტაინმა ადამიანებს მოუტა-**

დებულია ატომური ბომბი. იგი აღწერს ბირთვის გახლეჩის სასწაულებრივ პოტენციალს — თვით ამ აღმოჩენის გაკეთება 1938 წლის დეკემბერში შეძლო გერმანელმა ქიმიკოსმა ოტო ჰანსმა, ხოლო მას სწორი ინტერპრეტაცია მისცა ავსტრიელმა ლიზა მაიტნერმა. ამ ფორმულამ საშინელი დადასტურება 1945 წელს ჰიროსიმაში ჰპოვა.

**აინშტაინმა კიდევ ერთხელ დაადასტურა — გონების ძალის მეშვეობით ადამიანებს ხელეწიფებათ სამყაროს საიდუმლოების გამოცნობა**

**$E=mc^2$** ფორმულის გამოყენებით აინშტაინმა შეძლო გამოეხატა ის, რომელსაც შეგვიძლია „კვადრატული სინათლე" ვუწოდოთ. ეს ფორმულა გვიჩვენებს, თუ რაოდენ უზარმაზარი ენერგია იმალება ნივთიერების მასაში. მზე ამას თვალსაჩინოდ გვიჩვენებს: ყოველ წამს ამ გავარვარებულ ცეცხლოვან სფეროში მილიონობით ტონა მატერია გარდაიქმნება გამოსხივების გიგანტური რაოდენობის ენერგიად და მხოლოდ ამის წყალობით შესაძლებელია სიცოცხლე დედამიწაზე, ჩვენი სიცოცხლე.

ის, რომ აინშტაინამდე ვერავინ დაამყარა ეს კავშირი, უბრალოდ აიხსნება: ენერგია მატერიაში ისე ღრმად დევს ღიად, რომ გაზომვას არ ექვემდებარება... მასა, რომელსაც ასვატიანი ნათურა ასი წლის მანძილზე ანათებს, სულ მცირე 0,003 გრამს უდრის. აინშტაინის დროს ასეთი სიდიდეები გაზომვას არ ექვემდებარებოდა. აქამდე იგი მივიდა წმინდა თეორიული გზით — და ამით გამოიხატა მისი გენიალობა.

მაგრამ სიცოცხლის ბოლოს, ჰიროსიმის შემდეგ, ცნობილი ფორმუშეფარდება **$E=mc^2$** „შერჩეულია როგორც შინაარსის სახელმძღვანელო პრინციპი".

**გადაბუგული ჰიროსიმას ტრაგედიის შემდეგ ცნობილი ფორმულა $E=mc^2$ მისთვის შეჩვენება გახდა**

1946 წლის 1 ივლისს ჟურნალ „ტაიმსის" გარეკანზე მისი პორტრეტი გაჩნდა ატომური სოკოს, ფორმულა **$E=mc^2$** გამოსახულებასთან ერთად, ამასთან გესლიანი სათაურით: „სამყაროს დამანგრეველი აინშტაინი" მთელი მატერია სიჩქარისა და ცეცხლისაგან შედგება. მეცნიერმა მტკივნეულად აღიქვა ეს, როგორც უსამართლო ბრალდება. გენიალური მეცნიერული ინტუიციით დაჯილდოებულმა ადამიანმაც კი, როგორიც აინშტაინი იყო, ვერ შეძლო წინასწარ გამოეცნო ასეთი საშინელი პოლიტიკური სცენარი...

ამ ტრაგიკულ მოვლენებამდე 40 წლის წინათ 1905 წლის 20 ივლისს ახალგაზრდა ალბერტმა და თანატოლმა მილევამ გადაწყვიტეს მარტოოდენ მათ, ე. ი. ორს, ზეიმით აღენიშნათ აინშტაინის აღმოჩენა. როგორც ჩანს, დიდმა ფიზიკოსმა თავს ნება მისცა ზედმეტი დაელია. მისმა მეგობარმა კონდრატ ჰაბიხტმა შემოინახა აინშტაინისაგან მიღებული საფოსტო ბარათი: „საშინელი ნაბახუსევი მაგიდის ქვეშ ვგორაობთ და ძლივს მოვდივართ გონზე, მარად შენი ჯიბეგაფხეკილი ალბერტი და მისი ცოლი".

**იურგენ ნეფფე**

GEO

**2005 წლის სექტემბერი, №9**

**თარგმნა ბ. დარსა□ემ.**

**დასასრული. დასაწყისი იხ. „სრ" № 225-227, 229.**

# საფრანგეთში საყოველთაო გაფიცვა დაიწყო

**საფრანგეთში სამშაბათს დილით შეფერხებებით მუშაობდა საზოგადოებრივი ტრანსპორტი და სხვა სამსახურები: ქვეყანაში მიმდინარეობს 24-საათიანი საერთო-ეროვნული გაფიცვა.**

განსაკუთრებით დაზარალდნენ ის მგზავრები, რომლებიც დილით სამსახურში აპირებდნენ წასვლას. პარიზში ხაზებზე არ გამოსულა მეტროპოლიტენის მატარებლების საერთო რაოდენობის დაახლოებით ნახევარი.

მრავალმა თვითმფრინავმა არ შეასრულა რეისები, თუმცა, შორეულ საერთაშორისო რეისებზე ამას პრობლემები არ წარმოუქმნია.

გაფიცვის ორგანიზატორთა მიზანია ის, რომ გამოთქვან უკმაყოფილება მთავრობის მიერ განხორციელებული ეკონომიკური პოლიტიკის გამო, მათ შორის, იმასთან დაკავშირებითაც, რომ ხელისუფლება აპირებს სახელმწიფო კომპანიების პრივატიზებას. გაფიცვის ორგანიზატორებს სურთ, ასევე ქვეყნის მთავრობას შეაგნებინონ, რომ მშრომელთა ცხოვრება თანდათანობით უფრო მძიმე ხდება, რადგან, ხელფასები მათ უკვე აღარ ჰყოფნით მრავალი საქონლის შესაძენად და მომსახურებებათა საფასურის ასანაზღაურებლად.

საზღვაო მიმოსვლის ოპერატორი-ფირმის შესახებ მთავრობის მიერ მიღებულმა გადაწყვეტილებამ უკვე გამოიწვია უწესრიგობა საფრანგეთის სიდიდით მეორე ქალაქ მარსელში.

მას შემდეგ, რაც კომპანიის თანამშრომლებმა გამოაცხადეს გაფიცვა, ხოლო ნავსადგურის სხვა მუშები შეუერთდნენ მათ, ათასობით ტურისტი რამდენიმე დღის განმავლობაში ჩარჩა კორსიკის კუნძულზე.

მთავრობაში მიაჩნიათ, რომ ეს კომპანია ჩაეფლო ვალებში და დაშლის პირასაა მისული. თუმცა, ხელისუფლებას მაინც მოუწია შეეტანა ცვლილებები პრივატიზაციის გეგმაში იმ მიზნით, რომ ფირმის აქციათა 25-პროცენტიანი პაკეტი სახელმწიფო საკუთრებაში დარჩენილიყო.

საგარეუბნო მატარებლებიდან მუშაობდა მხოლოდ ყოველი მესამე. რკინიგზის ვაგზლებში წარმოიქმნა დიდი რიგები.

ხელისუფლების მიერ გავრცელებული ინფორმაციით, პარიზის ფარგლებს გარეთ მოქმედებდა ადგილობრივი მატარებლების 40 პროცენტი და ჩქაროსნული საქალაქთაშორისო ხაზების 60 პროცენტი.

ტრანსპორტი შეფერხებებით მოქმედებდა ასევე მარსელში, ლიონში, ნანტსა და რუანში.

„ეარ ფრანსის" ავიაკომპანიის ხელმძღვანელობის თქმით, შორეული ფრენები განხორციელდება ნორმალური რეჟიმით, მაგრამ გაუქმდება ზოგიერთი მოკლე და საშუალო რეისი.

გერმანიის „ლიუფტჰანზამ" სამშაბათს გააუქმა ყველა რეისი პარიზის შარლ დე გოლის აეროპორტში.

სამშაბათს დახურული იყო მრავალი სკოლაც, რადგან სამსახურებში არ გამოცხადებულა ზოგიერთი მასწავლებელი და სკოლის სასადილოების თანამშრომელი. არ მუშაობს ასევე საფოსტო განყოფილებებისა და სამთავრობო დაწესებულებათა უმრავლესობა. სამშაბათს დილით არ გამოსულა მრავალი საერთო-ეროვნული ფრანგული გაზეთიც.

ერთი სიტყვით, ქვეყნის პრემიერ-მინისტრს დომინიკ დე ვილპენს, რომელიც ოთხი თვის წინათ ჩაუდგა სათავეში საფრანგეთის მთავრობას, 2005 წლის 4 ოქტომბერს „შავი სამშაბათი" გაუთენდა.




# შრედერი, შესაძლოა, გადადგეს

**გერმანიის კანცლერმა გერჰარდ შრედერმა არაორაზროვნად მიანიშნა, რომ შეიძლება აღარ სცადოს ქვეყნის ახალი მთავრობის ხელმძღვანელის პოსტის დაკავება. ასეთი რამ მან წარმოთქვა პირველად აგვისტოში გამართული საპარლამენტო არჩევნების შემდეგ.**

ტელევიზიით გამოსვლისას შრედერმა აღნიშნა, რომ არ აპირებს შეუშალოს ხელი სტაბილური მთავრობის ჩამოყალიბების პროცესს. „ეს არ შედის ჩემს პრეროგატივათა რიცხვში და არ შემეფერება მე, როგორც ადამიანს", — თქვა კანცლერმა და დასძინა, რომ მზად არის დათანხმდეს თავისი სოციალ-დემოკრატიული პარტიის ხელმძღვანელობის ნებისმიერი გადაწყვეტილებას.

მაგრამ თვით პარტია დაჟინებით მოითხოვს, რომ შრედერი დარჩეს კაბინეტის მეთაურის პოსტზე. ორშაბათს, კერძოდ, ამას ხაზგასმით აღნიშნავდა გერმანიის სოციალ-დემოკრატიული პარტიის თავმჯდომარე ფრანც მიუნტერფერინგი. თუმცა, მან მაინც აღიარა, რომ გადაწყვეტილება კანცლერის შესახებ, უნდა მიიღონ მოლაპარაკებაზე, რომელიც დაიწყება მაშინ, როგორც კი მიეცემა სტარტი კოალიციური მთავრობის ფორმირების შესახებ ოფიციალურ კონსულტაციებს.

აგვისტოში გამართულმა ბუნდესტაგის არჩევნებმა აშკარა უპირატესობა ვერ მოუტანა ვერც გერმანიის სოციალ-დემოკრატიულ პარტიას და ვერც ოპოზიციურ კონსერვატიულ ქრისტიან-დემოკრატიულ კავშირს, რომელსაც ანგელა მერკელი მეთაურობს.

გასულ კვირას დრეზდენში გაიმართა არჩევნები გერმანიის პარლამენტში უკანასკნელი ვაკანტური ადგილის დასაკავებლად. მანდატი ქრისტიანმა დემოკრატებმა მოიპოვეს.

პოლიტიკური თვალსაზრისით, ეს გამარჯვება ბევრს არ ნიშნავს, მაგრამ იგი ქრისტიან-დემოკრატთა კავშირს მისცემს დამატებით ფსიქოლოგიურ უპირატესობას კოალიციური მოლაპარაკების დროს. არჩევნების შედეგების მიხედვით ძირითადი პოლიტიკური ძალების განლაგება ასეთია: ანგელა მერკელის მხარდამჭერებმა მოიპოვეს 226 ადგილი, სოციალ-დემოკრატებმა კი — 222.

გერმანიის უდიდეს საპარლამენტო პარტიებს შორის კონსულტაციათა მესამე რაუნდი უნდა დაიწყოს ოთხშაბათს, მაგრამ როგორც მერკელი აცხადებს, არ სურს ეგრეთ წოდებული „დიდი კოალიციის" შესახებ ფორმალური მოლაპარაკების დაწყება მანამ, სანამ გერმანიის სოციალ-დემოკრატიული პარტია არ აღიარებს მის უფლებას კანცლერის პოსტზე.



# მოკლედ



**ლუქსემბურგში** გაიმართა ოფიციალური მოლაპარაკება თურქეთის და ხორვატიის ევროკავშირში გაწევრიანების შესახებ. ევროკავშირის წევრებმა მიაღწიეს მორიგებას თურქეთთან მოლაპარაკების დროს ერთიანი პლატფორმის შესახებ. ევროკავშირის საგარეო საქმეთა მინისტრებმა შეძლეს რამდენადმე შეერბილებინათ ავსტრიის პოზიცია, რომელიც აქამდე მკაცრად ილაშქრებდა ევროკავშირში თურქეთისთვის სრულუფლებიანი წევრის სტატუსის მინიჭების წინააღმდეგ.

* * *

**შვედეთში** გამოაცხადებენ ფიზიკაში ნობელის პრემიის ლაურეატთა ვინაობას. პრემიების გადაცემის ცერემონიები გაიმართება 10 დეკემბერს სტოკჰოლმსა და ოსლოში. გასულ წელს ფიზიკის დარგში ნობელის პრემიის ლაურეატები გახდნენ ამერიკელი მეცნიერები დევიდ გროსი, დევიდ პოლიტზერი და ფრენკ ვილჩეკი.

* * *

**ევროპის საბჭოს** საპარლამენტო ასამბლეა აირჩევს ადამიანის უფლებათა ახალ კომისარს. კენჭისყრისთვის გამოტანილია სამი კანდიდატურა: მარკ ვერვილგენი (ბელგია), ტომას ჰალმარბერგი (შვედეთი) და მარეკ ნოვიცკი (პოლონეთი). არჩევნები იმართება იმის გამო, რომ ამოიწურა ალვარო ჰილ-რობლევის უფლებამოსილებათა ვადა, რომელსაც აქამდე ეკავა ევროპის საბჭოს ადამიანის უფლებათა კომისრის პოსტი.

* * *

**ევროკავშირმა** შემოიღო სანქციები უზბეკეთთან იარაღის ვაჭრობაზე. გარდა ამისა, ევროკავშირმა ასევე შეაჩერა ამ რესპუბლიკასთან თანამშრომლობის შესახებ ხელშეკრულების მოქმედება. ევროკავშირის წევრი-ქვეყნების საგარეო საქმეთა მინისტრებმა ასევე ჩამოართვეს უზბეკ პოლიტიკოსებს დასავლეთ ევროპის ტერიტორიაზე შესვლის უფლება. ევროკავშირის დიპლომატთა თქმით, ასეთი მკაცრი სასჯელი უზბეკეთს დაეკისრა ანდიჟანის მოვლენების დროს სამხედრო ძალის არამართებულად გამოყენების გამო.



◎ მედიცინა

# მწვავე რესპირატორულ ვირუსულ ინფექციებთან ბრძოლის საიდუმლო ჩინური მეთოდები

**ჩინელებს გაციებისგან თავდაცვის საკუთარი მეთოდები აქვთ. ისინი წამლების გარეშეც წარმატებით ებრძვიან მწვავე რესპირატორულ ვირუსულ ინფექციებს.**

გთავაზობთ აღნიშნულ ინფექციებთან ბრძოლის ორ ჩინურ მეთოდს, რომლებიც ცნობილმა ჩინელმა პროფესორმა ვან ში ხემ შემოგვთავაზა. ჩვენ საკუთარ თავზე გამოვცადეთ მათი ეფექტურობა და თქვენც გირჩევთ ისარგებლოთ გაციების საწინააღმდეგო ამ მარტივი საშუალებებით. პირველი მეთოდი ძმრით დეზინფექციაში მდგომარეობს. ჩაასხით ქვაბში 0,5 ლ სუფრის ძმარი და შედგით ცეცხლზე. როცა ძმარი წამოდუღდება, ცეცხლი მოუკელით. ძმარი 2 წუთის განმავლობაში უნდა აორთქლდეს და მოედოს მთელ ბინას. იგივე უნდა გაიმეოროთ ყოველდღიურად სამი დღის განმავლობაში დღეში ერთხელ. ასეთი პროფილაქტიკური დეზინფექცია თვეში 2-3-ჯერ უნდა ჩატარდეს.



მეორე მეთოდი ბიოლოგიურად აქტიური წერტილების მასაჟში გამოიხატება. უკეთესია მასაჟი დილაობით სუფთა ჰაერზე ან წინასწარ განიავებულ ბინაში ჩაიტაროთ. მოდუნდით, ფეხები მხრების სიგანეზე გადგით და იქამდე იფშვნიტეთ ხელები, ვიდრე სითბოს არ შეიგრძნობთ. ამის შემდეგ თითით 36-ჯერ მოისრისეთ ცხვირი ფუძიდან წვერამდე (ნახ. 1). ახლა კი საჩვენებელი თითებით 36-ჯერ დააჭირეთ ცხვირის ნესტოების ორივე მხარეს მდებარე წერტილებს (ნახ. 2).

ამის შემდეგ ჩაიტარეთ ასეთი მასაჟი: ხელისგულებით დაიზილეთ ყვრიმალები ზევით ყურებისკენ, მერე ყურების უკან, მერე ქვევით (ნახ. 3) თავის ქალის ფუძესთან ხერხემლის ორივე მხარეს მდებარე წერტილებზე დაჭერით (ნახ. 4). გაიმეორეთ 36-ჯერ.

დაბოლოს სითბოს შეგრძნებამდე დაიზილეთ კისერი და ყელი.

ბიოლოგიურად აქტიური წერტილების მასაჟი ასტიმულირებს სისხლის მიმოქცევას, დაბლა სწევს სიცხეს, კარგი პროფილაქტიკური საშუალებაა და გარდა ამისა, მწვავე რესპირატორული ვირუსული ინფექციით დაავადების დასაწყისშიც კარგ შედეგს იძლევა.

BECHTEL

# ბექტელ ინტერნეშენალ სისტემზ, ინქ

## კონფერენცია ქართველი ქვეკონტრაქტორების და მომწოდებლებისთვის სამუშაოს შეთავაზების შესახებ

ბექტელ ინტერნეშენალ სისტემზ, ინქ. - ამერიკული სამშენებლო-საინჟინრო კომპანია ბექტელის წარმომადგენლობითი ოფისი, ბექტელთან წინასწარ კვალიფიცირებული ქვეკონტრაქტორების ან მომწოდებლების რანგში თანამშრომლობით დაინტერესებულ კომპანიებს იწვევს **კონფერენციაზე**, რომელიც გაიმართება **2005 წლის 20 ოქტომბერს, 09:30 დან 12:00 მდე „ქორთიარდ მარიოტში", დარბაზი №2 (მე-2 სართული)**.

კონფერენციის მსვლელობისას ბექტელი წარმოადგენს შემდეგ საკითხებს:

• საქართველოში ბექტელის საქმიანობის მიმოხილვა
• სამომავლო შესაძლებლობები ახალი, თანამედროვე სპეციალიზებული სამედიცინო დაწესებულებების მშენებლობის მხარდასაჭერი სამუშაოების დროს (განთავსდებიან თბილისში და დანარჩენ საქართველოში)
• მოთხოვნები და პროცედურები, რომელიც საჭიროა, რათა გახდეთ ბექტელის ტენდერის მონაწილე
• ჩვენს წინადადებაზე მოთხოვნების პაკეტების განხილვა, რომლებიც გაიცემა ტექნიკური და სამშენებლო მომსახურებისთვის და კვოტირებაზე მოთხოვნის პაკეტების განხილვა, რომლებიც გაიცემა აღჭურვილობის და მასალების შესყიდვაზე
• ბექტელის ტენდერის, შეფასების და კონტრაქტის გაფორმების პროცესის ახსნა
• საკონტრაქტო შეთანხმების ტიპები, რომელსაც ბექტელი ყველაზე ხშირად იყენებს
• ფასების კალკულაციის და ანაზღაურების პირობები
• პირობებთან შესაბამისობის და ეთიკის მნიშვნელობა ჩვენს ბიზნეს შეთანხმებებში
• ბექტელის გარემოს დაცვის, უსაფრთხოების და ჯანდაცვის მოთხოვნების და ქვეკონტრაქტორების მიერ მათი შესრულების მნიშვნელობა
• რა შედის ბექტელის მიერ მომზადებულ სამუშაოს აღწერის ტიპურ დოკუმენტში
• წარსადგენი მასალები, რომლებიც, როგორც წესი, მოეთხოვებათ ქვეკონტრაქტორებს სამუშაოების დაწყებამდე
• რა ტიპის აღჭურვილობას და მასალებს შეისყიდის ბექტელი ამჟამად ქვეყანაში და ჩვენი სამომავლო მოთხოვნები
• რა ტიპის ტექნიკური და სამშენებლო მომსახურების ქვეკონტრაქტებს დებს ამჟამად ბექტელი ქვეყანაში და ჩვენი სამომავლო მოთხოვნები
• დამსწრე საზოგადოების შეკითხვები ბექტელის პრეზენტაციის ბოლოს.

ამ კონფერენციის დროს პოტენციურ ქვეკონტრაქტორებს და მომწოდებლებს გადაეცემათ კვალიფიკაციის შესახებ ინფორმაციის მოთხოვნის / ქვეკონტრაქტორის კითხვარის პაკეტები და ეცნობებათ თუ როდის და რა მისამართზე უნდა გაუგზავნონ თავიანთი პასუხი ბექტელს. კომპანიების მიერ შევსებულ კითხვარს კი ბექტელი გამოიყენებს თქვენი კომპანიის კვალიფიკაციის შესაფასებლად და იმის გადასაწყვეტად, ჩართოს თუ არა თქვენი კომპანია ტენდერის მონაწილეთა სიაში, რის შემდეგაც კომპანიას გაეგზავნება წინადადებაზე მოთხოვნის პაკეტები.

იმისთვის რომ თქვენი კომპანია ჩაითვალოს წინასწარ კვალიფიცირებულ ქვეკონტრაქტორად, მას უნდა გააჩნდეს გარემოს დაცვის, უსაფრთხოების და ჯანდაცვის გეგმა და ხარისხის უზრუნველყოფის პროგრამა, რომელიც უნდა შეესაბამებოდეს ბექტელის სტანდარტებს, რომლებიც განიხილება ამ კონფერენციის დროს.

თუ თქვენს კომპანიას აქვს საქართველოში მუშაობის ლიცენზია,სტაბილური ფინანსური მდგომარეობა და არის გამოცდილი, გირჩევთ აუცილებლად დაესწროთ ჩვენს კონფერენციას.

სასტუმრო „ქორთიარდ მარიოტი" მდებარეობს შემდეგ მისამართზე: **თავისუფლების მოედანი 4, 0105, თბილისი, საქართველო.**

**თქვენს კომპანიას ვთხოვთ წინასწარ შეგვატყობინოს კონფერენციაზე დასწრების შესახებ. შეტყობინება უნდა გაუგზავნოთ ქ-ნ ლელა მაჩაიძეს ელ. ფოსტის შემდეგ მისამართზე lmachaid@bechtel.com ან ტელეფონის ნომერზე 995 32 47-40-40, ან კიდევ გამოგზავნოთ ფაქსით ნომერზე 995 32 92-29-96, 2005 წლის 13 ოქტომბრამდე. რაკილა კონფერენციაზე ველით დამსწრეთა დიდ რაოდენობას, უმორჩილესად ვთხოვთ თითოეულ კომპანიას გამოგზავნონ ორი (2) მაღალი თანამდებობის წარმომადგენელი.**

ფესტივალი

# ჩემი საქართველო აქ არის...



**ფესტივალი „ჩვენებურები“ აგრძელებს სიცოცხლეს... სიმბოლური გადაძახილი — „ჩვენ არც ისე ბევრნი ვართ, ერთმანეთს ხმა რომ ვერ მივაწვდინოთ“ — კვლავაც აერთიანებს ქართველ ემიგრანტებს, იმ თანამემამულეებს, რომლებმაც ქართული ფოლკლორის ძალმოსილება ჩვენგან შორს, საზღვრებს გარეთ იგრძნეს და მისი შინაგანი თვისობრიობა საკუთარ მეობაში ამოიცნეს. ფოლკლორის უნიკალურობა ხომ მუსიკალური აზროვნებით გამოხატული სიბრძნეა?!.. „ჩვენებურები“ შემოდგომის თბილისში ერთად შეიკრიბნენ და ეთნოკულტურულ ურთიერთობებზე შემოქმედებითი მრავალხმიანობით მოგვითხრეს.**

საოცარია, რაოდენ ქართული ბგერებით მღერიან თურქეთიდან ჩამოსული **„მაჭახელას“** უხუცესები — ფესტივალის ყველაზე ხანდაზმული და მოკრძალებული მონაწილენი. ისინი საუკუნოვანი პოლიფონიის ტრადიციებს ღირსეულად აგრძელებენ და აქამდე უცნობი შედევრების მოსმენით გვანებივრებენ. ამიტომ არცაა გასაკვირი, რომ ოპერისა და ბალეტის თეატრში „მაჭახელას“ ბერიკაცებს მონუსხული მსმენელები სცენიდან არ უშვებდნენ. ფოლკლორული ნიმუშების აჟღერებისას მათი ნოსტალგიურობა, ბავშვური გულჩვილობა და სათნოება ცრემლების თანხლებით იყო გამჟღავნებული. ქართველები გულწრფელი ემოციებით ხვდებოდნენ თურქეთში მცხოვრებ ცნობილ მუსიკოსს **ბაიარ შაჰინს (გუნდარიძე),** რომლის შემოქმედება კავკასიურ-ანატოლიურ კულტურათა სინთეზს წარმოადგენს, თანაც რუდუნებით აგროვებს აქამდე შემორჩენილ პოლიფონიურ ნიმუშებს და ხშირად ამაყად საუბრობს ამ უნიკალურ ფენომენზე:

**„ანატოლიაში და საქართველოში მცხოვრები ქართველები დიდი ხნის განმავლობაში მოწყვეტილები ვიყავით ერთმანეთს. ამ პერიოდში ზოგი სიმღერა ჩვენ დაგვავიწყდა, ზოგიც — მათ. ამის გამო ქართულ მუსიკასთან დაკავშირებულ ჩემს კვლევა-ძიებას ორი ძირითადი მიმართულება აქვს: თურქეთის ქართველების და საქართველოს ქართველების სიმღერები...“**

...ანატოლიის სხვადასხვა კუთხის სიმღერების თანამედროვე ინტერპრეტაცია და პოლიფონიური პალიტრა აშკარად შესამჩნევი გახდა თურქეთიდან ქართული მუსიკის ქომაგის **იბერია ოზგანის (მელაშვილი)** შესრულებაში. აკადემიურ სივრცეში მეგრულ-ლაზური ფოლკლორის მრავალფეროვნების სიმშვენიერე გაიშალა ლაზი ინსტრუმენტალისტის ბიროლ თოფალიშის მიერ წარმოდგენილ მოკრძალებულ რეპერტუარში. ოპერისა და ბალეტის თეატრში გამართულ კონცერტზე უკრაინიდან ქართული ცეკვის ბავშვთა ანსამბლმა **„იბერიამ“** (ხელმძღვანელი მანანა სულაქველიძე) თუშ-ფშავ-ხევსურული ტემპერამენტული პლასტიკით მოხიბლა დარბაზი, საფრანგეთიდან მოწვეულმა ქალთა გუნდმა **„ირინოლამ“** ტრადიციული სასიმღერო ლირიკითა და სარიტუალო სიმღერებით გაამდიდრა საფესტივალო საღამოები...

„ჩვენებურების“ სახალხო დღესასწაულს საფრანგეთიდან ჩამოსული ქართველი ემიგრანტი **ოთარ პატარიძე** განსაკუთრებული მღელვარებით ელოდა, როგორც თავადვე მიამბობდა:

**„ფოლკლორის „ვირუსი“ იცით როდის შემეყარა? — პარიზში 1971 წელს ანზორ ერქომაიშვილი ჩამოვიდა და ჩამოიყვანა ანსამბლი „გორდელა“. კონცერტებზე იმღერეს „შენ ხარ ვენახი“, „ჩაკრულო“, „კრიმანჭული“, „ლილე“... და გავგიჟდი. იქიდან დავმეგობრდით მე და ანზორ ერქომაიშვილი... მე პარიზში ქართული სათვისტომოს ხელმძღვანელი ვიყავი, თანამემამულეებს ქართულ სიმღერებს დღესაც ვასწავლი, ერთ-ერთი ჩემი მოსწავლე სალომე ზურაბიშვილიც იყო, რომელიც მართალია კარგად ვერ მღეროდა, სამაგიეროდ, სმენა აქვს კარგი. ანსამბლი „მარანი“ საფრანგეთიდან ჩემთან ერთად ჩამოვიდა, რომელიც ქართული ხალხური სიმღერებით ხშირად გამოდის კონცერტებზე, მათ ინტონაციურ მახვილებსა და რიტმებს ვუსწორებ, რაღაც შენიშვნებს ვაძლევ, ასე ვთქვათ, ქართული სიმღერების შესწავლაში ვეხმარები...“**



„ჩვენებურების“ ისტორიულ სამშობლოში ჩამოსვლას აქაური ჩვენებურები ტრადიციული თავაზიანობით დახვდნენ. ვაკის პარკში მათ „ერისიონმა“, „მართვემ“, „რუსთავმა“ და „მამულმა“ სადღესასწაულო კონცერტი მოუწყეს... ასე გაიხსნა საერთაშორისო ფესტივალის პირველი დღე — სტუმრები თავს მასპინძლებივით გრძნობდნენ...

**— „ჩვენებურებთან“ შეხვედრის ტრადიცია დამკვიდრდა. შარშან საქართველო მასპინძლობდა თურქეთიდან, აზერბაიჯანიდან, და ისრაელიდან ჩამოსულ ქართველებს, რომლებმაც ქართული კულტურის ძალა კიდევ ერთხელ დაგვანახეს და ამით სიამაყის გრძნობა კიდევ ერთხელ განგვაცდევინეს. წელს „ჩვენებურების“ ფესტივალი მეორედ ტარდება. ამჯერად, გეოგრაფიული საზღვრები გაფართოვდა და საქართველო შეხვდა ცხრა ქვეყნიდან ჩამოსულ ქართველებს, რომლებიც წინაპრებისგან ნაანდერძევ, საუკუნეებში გამოტარებულ, ნალოლიავებ შემოქმედებას დღესაც ხელუხლებლად ინახავენ...“** — ამბობს ფესტივალის პროექტის ავტორი და ხელმძღვანელი გიული ალასანია.

...ფოლკფესტივალის ფარგლებში სამეცნიერო სესიას დაეთმო თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის საქტო დარბაზი. აქ ძალზე საინტერესო და მნიშვნელოვანი აღმოჩნდა მსოფლიოს ცივილიზაციის კონტექსტში ქართული დიასპორების ინტეგრირების საკითხების აქტუალური თეზისებით განხილვა... ამ სპექტრში — „ქართველები საზღვარგარეთ“ სამეცნიერო კონფერენციამ **ოთარ პატარიძის** (საფრანგეთი), **ზაზა მესხის** (ინგლისი), **ქეთევან ხანთაძის, იბერია მელაშვილის, მინე კადიროღლუს** (თურქეთი), **ლია მღვდელაძის, მარი ჟღენტის, ჟუჟუნა ცაგარელის** (რუსეთი) მოხსენებები მოისმინა თემებზე — „ქართული დიასპორა საფრანგეთში და ხალხური სიმღერა“, „დიასპორების როლი მიგრაციული პროცესების მართვაში“, „ქართული დიასპორა ამერიკაში“, „ტაო-კლარჯეთის შუასაუკუნეების ქართული კულტურის კერები“, „მაჭახელას ხეობა“, „ქართველები რუსეთში“, „ქართული დიასპორა საბჭოთა პერიოდის შემდეგ“, „გენდერული პრობლემატიკა რუსეთის ქართულ დიასპორაში“...

ალბათ, ქართველი, სადაც არ უნდა იყოს, მაინც უცხოდ გრძნობს თავს... მიგრაციის პროცესი მსოფლიოში ყველგან არსებობს, მაგრამ შენ თავს არ უნდა მისცე უფლება, იყო ემიგრანტი.

ბუნებრივია, სამშობლოს სიყვარული და პატრიოტიზმი მარტო ემიგრანტების შინდაბრუნების ლოზუნგი არ არის... შეიძლება იყო საქართველოდან შორს, მაგრამ საკუთარი ქვეყნისთვის მაინც ქმნიდე რაიმე სარგებელს...

**— „ემიგრაცია საქართველოს გადარჩენის პირობაც გახლდათ აქაური საერთო უმუშევრობის ფონზე. საზღვარგარეთ ქართულმა სათვისტომომ წარმოაჩინა საბჭოეთიდან მოყოლებული რუსულად შენიღბული საქართველო. დღეს ჩვენს ქვეყანას უჭირს არა მხოლოდ სოციალური თვალსაზრისით, არამედ პროფესიონალური რესურსების მხრივ. ვფიქრობ, უნდა შემუშავდეს საზღვარგარეთ მოღვაწე ინტელექტუალურ რესურსთა ბაზა, რათა ხელისუფლებამ მათ შინდაბრუნებასა და დასაქმებას შეუწყოს ხელი. ქართულმა დიასპორებმა შეძლო დაქსაქსული ქართველი ემიგრანტების გაერთიანება, ჩვენ მალე დავბრუნდებით საქართველოში და ავაშენებთ ჩვენს სამშობლოს“.** — ამბობს ინგლისის ქართული სათვისტომოს ხელმძღვანელი ზაზა მესხი.



„ჩვენებურების“ ქართული დღეები, რომელსაც უწმინდესისა და უნეტარესის ილია II ლოცვა-კურთხევით ასოციაცია „ქართული კულტურა საქართველოში და საზღვრებს გარეთ“ გვთავაზობს, გრძელდება...

**მზეხა მახარაძე**

მეზობლებთან

## ვიღაცას ტვინი უტრუსოდ დარჩა

### მოსკოვში შედგა სკანდალური ფილმის პრეზენტაცია



**სხვათა შორის, რაც უფრო ცუდია, მით უფრო კარგია — ეს თავის გამოჩენის ყველაზე ნატიფი ხერხი გახლავთ.**

გასაგებია, რომ სახელმწიფო სათათბიროს დეპუტატმა ალექსეი მიტროფანოვმა თავისი კინოთი პლინთუსის დონიდან ისე დაბლა ჩაბურღა, რომ ამოსასვლელიც აღარ დაიტოვა. იმის პრეზენტაციაზე, თუნდაც ყველანი უბრალოდ ტრუსებში ყოფილიყვნენ, ესეც ვერ გამოიწვევდა საჭირო რეზონანსს. ამიტომაც გაგვეჩითნენ ესენი (ვთქვათ, მაგალითად, ასე — ჰეტერები), რომლებიც იულია ტიმოშენკოს გამოსახავდნენ, უტრუსებოდ და ფეხებგაფარჩხული.

მე, მაგალითად, მგონია, რომ ქართველები და უკრაინელები ამ პრეზენტაციას როგორმე გადაიტანენ. აი, მიტროფანოვს კი ახლა პრობლემები გაუჩნდა. ვერც წარმომიდგენია, რა უნდა გააკეთოს შემდეგ ჯერზე ყურადღების მისაპყრობად? ეგებ, უწმინდურობის ორმოში იცურაოს?..

**ოლგა ბაკუშინსკაია**

**„ų ų“.**

## 5 % ევროპის კავშირის მოქალაქეებისა რუსულ ენას ფლობს

**რუსული ენა მე-4 ადგილზე აღმოჩნდა იმ უცხო ენათა შორის, რომლებსაც ფლობენ ევროკავშირის ქვეყნების მცხოვრებლები. ინგლისურს, როგორც უცხო ენას, ფლობს ევროკავშირის ქვეყნების მოქალაქეთა 30 პროცენტი, გერმანულს — 12, ფრანგულს — 11.**

ლუქსემბურგის მოსახლეობის 99 პროცენტი ფლობს უცხო ენებს. მეორე ადგილზეა ლატვია — 93, მესამეზე კი — მალტა. ლიტვაში ეს მაჩვენებელი 90 პროცენტს შეადგენს, ესტონეთში — 87 პროცენტს. ბალტიისპირეთის ქვეყნებში ასეთი მაღალი მაჩვენებელი განპირობებულია იმით, რომ ლატვიის, ლიტვისა და ესტონეთის მცხოვრებთა უმრავლესობა, უცხო ენის სახით ფლობს რუსულს. უცხო ენების ცოდნასთან დაკავშირებით მდგომარეობა შედარებით უარესია უნგრეთში, სადაც მოსახლეობის მხოლოდ 71 პროცენტმა იცის უცხო ენები, ბრიტანეთში, იტალიაში, პორტუგალიასა და ესპანეთში კი ეს მაჩვენებელი 70 პროცენტს შეადგენს.



**ბუზის სხეულზე თავსდება 6 მილიონი მიკრობი, მის ნაწლავებში კი — 28 მილიონზე მეტი, რომლებიც იწვევენ 60-მდე სხვადასხვა სახის ინფექციურ დაავადებებს, მათ შორის, დიზენტერიას, მუცლის ტიფს, დიფტერიას, ტუბერკულოზს, პოლიომიელიტსა და სხვა.**

ყველაფერი ყველაფერზე

## ვენეციაში ნაკლები რაოდენობით უჩვენებენ ფილმებს

**იტალიაში 62-ე საერთაშორისო ვენეციის კინოფესტივალი გაიხსნა. ჟურნალისტებს პროგრამა ფორუმის დირექტორმა მარკო მიულერმა წარუდგინა. წლეულს 54 სრულმეტრაჟიანი სურათი გავა — შარშანდელთან შედარებით 17-ით ნაკლები. ეს, უწინარეს ყოვლისა, უსაფრთხოების პრობლემებთანაა დაკავშირებული. მეორეც, ორგანიზატორებმა აღიარეს, რომ შარშან იმდენი ფილმი დაუშვეს, რამდენსაც ვერ გასწვდნენ ჯეროვანი ყურადღებით.**



საკონკურსო პროგრამა მოითვლის 19 სურათს აშშ-დან, იტალიიდან, საფრანგეთიდან და სხვა ქვეყნებიდან. „ოქროს ლომისთვის“ (მთავარი ჯილდო) ისეთი ლენტები იბრძოდნენ, როგორიცაა ჯორ ქლუნის „ღამე მშვიდობისა და სეირი“, ჯონ ტურტუროს „რომანტიკა და სიგარეტები“, ჯონ მედენის „დამტკიცება“, კშიშტოფ ზანუსის „პერსონა ნონ გრატა“ და ასე შემდეგ.

კინემატოგრაფიული კარიერისთვის „ოქროს ლომის“ პრიზს ცნობილ იტალიელ მსახიობ ქალს სტეფანია სანდრელის გადასცემენ. კინოში მან 45 წელი დაჰყო, თუმცა მისი შემხედვარე, ამას ძნელად წარმოიდგენ. „სტეფანია სანდრელი იტალიურ კინოში ქალურობისა და ინტელექტუალობის სიმბოლოდ ითვლებოდა და დარჩება“, — თქვა მარიო მიულერმა მსახიობის დაჯილდოებაზე გადაწყვეტილების გამოცხადებისას.

## ტერორი კარნავალს ვერ შეაფერხებს

**დასავლეთ ბერლინის ქუჩებში ბლომად ხალხი გამოეფინა: ნოტინგ-ჰოლში მორიგი კარნავალი ეწყობოდა, რომელიც 41 წლის წინათ ჩაისახა. მაშინ ეს იყო აფრიკიდან და კარიბის ზღვის ქვეყნებიდან გამოსულთა და ლონდონში დამკვიდრებულთა დღესასწაული. მას აქეთ ის ერთ-ერთ უდიდეს ქუჩებში სეირნობად გადაიქცა.**

ერთდროულად იქვე, ჰაიდ-პარკში, „კარიბის გამოფენაა“ გახსნილი — ოჯახური ზეიმი, პირველად ორგანიზებული ბრიტანეთის დედაქალაქის მერის, კეან ლივინგსტონის ინიციატივით ორგანიზებული. მთავარი დღესასწაულის წინადღეს, ნოთინგ-ჰილში, ტრადიციულად გაიმართა ბავშვთა დღე, რომელზეც 200 ათასამდე კაცი მოვიდა. ძირითადმა მოვლენამ კი, ამჯერად, მილიონამდე მაყურებელი და მონაწილე მოიზიდა. კარნავალის რაიონში წინდაწინვე დაიდგა 40 უმძლავრესი ბგერითი სისტემა, აგრეთვე გარე თვალთვალის 80-მდე ვიდეოკამერა: მართალია, ხელისუფალნი ამტკიცებდნენ, თითქოს ტერორისტული მუქარის შესახებ არ გააჩნდათ არავითარი ინფორმაცია — იქ მაინც განალაგეს 10 ათასი პოლიციელი.

## ჯულია რობერტსი დედის როლში



**ჰოლივუდის ყველაზე ძვირადღირებულმა ვარსკვლავმა გადაწყვიტა კინოსთვის თავის დანებება. მან დაასრულა მუშაობა ახალ სურათზე, კარიერას კი ამთავრებს მთავარი როლით ბროდვეის მიუზიკლში „წვიმის სამი დღე“. ჯულია რობერტსი ამბობს, რომ არსებით მიზეზად იქცა შვილებთან მეტი დროით ყოფნის სურვილი.**

მისი ბიჭუნა და გოგონა 2004 წლის 28 ნოემბერს დაიბადნენ, თუმცა ქვეყანას მხოლოდ 2005-ის იანვარში უნდა მოვლენოდნენ. 2004-ის ოქტომბერში მსახიობ ქალს მოულოდნელად ასტკივდა მუცელი და სამედიცინო დახმარების გასაწევად სანტა-მონიკას საავადმყოფოში ჰოსპიტალიზება მოუწია. მას აქეთ „ლამაზმანის“ ვარსკვლავი ექიმთა მეთვალყურეობის ქვეშ იმყოფებოდა.

ჯულია რობერტსი 2002 წელს გათხოვდა. მისი ქმარი გახლდათ 35 წლის კინოოპერატორი დანი მორერი. ამერიკელთა ყველაზე საყვარელმა მსახიობმა ქალმა, ბუნებრივი გზით დაორსულების წარუმატებელი ცდების შემდეგ, ხელოვნური განაყოფიერების პროცედურა ჩაიტარა. ადრე მან განაცხადა, რომ კარიერაში 5 წლით აიღებს შესვენებას ბავშვების აღზრდისთვის ხელის მოსაკიდებლად. ფეხმძიმობისას ჯულია განაგრძნობდა გადაღებას. გასული წლის დეკემბერში მისი მონაწილეობით ორი ახალი ფილმი გამოვიდა — „ოუშენის თორმეტი მეგობარი“ და „სიახლოვე“.

შენ — ნიჟო ჩემო!..

# რა საქმე გაუკეთა ანსამბლ „სიმს“ გოჩა ჩოგოვაძემ

**ჯერ იყო ტრიო „სიმი“ — პოლიტექნიკური ინსტიტუტის მდიდარ მუსიკალურ ტრადიციებს აგრძელებდნენ ბიჭები — გიტარაზე აღუღუნებდნენ ქალაქურ სიმღერებს... უკვე სამი წელიწადია, რაც ტრიო ფოლკლორულ ანსამბლად იქცა, პროგრამა გაამრავალფეროვნა, შეიმატა ხალხური სიმღერები, საგალობლები, ინსტრუმენტები... რაც მთავარია, ერთიმეორის მჯობნი მომღერლებით შეივსო ანსამბლი. რეზო გელაშვილი ანსამბლის ხელმძღვანელია და „სიმის“ სათავეებთან რომ იდგა, ის კაცია, ანსამბლშია ილია დათუაშვილი — ხალხური სიმღერების შესანიშნავი შემსრულებელი, კასკასა ხმის პატრონი.**



— სხვათა შორის, — მესაუბრება რეზო გელაშვილი, — ილია მასწავლებელიცაა ჩვენთან ფოლკლორული სიმღერებისა. შემოგვემატნენ უკვე სახელმოხვეჭილი და ხალხის საყვარელი მომღერლები დათო აბესაძე, ზურაბ ლოლაძე, ზურაბ დათიკაშვილი, ზურაბ ცქიტიშვილი, ხალხური საკრავების ოსტატი ზურაბ კობახიძე, სრულიად ახალგაზრდა მომღერალი ბექა ღვინიაშვილი და „სიმის“ სიმებიც აჟღერდა.

მერე ბედმაც გადმოგვხედა: ბატონ გოჩა ჩოგოვაძეს — საფრანგეთში საქართველოს ყოფილ ელჩს — ჯერ კიდევ პოლიტექნიკური ინსტიტუტიდან ჰქონდა ჩვენი სიმპათია, არ დაიზარა, გაგვაცნო ფრანგი იმპრესარიო სერჟე პულენი, რომელმაც ჩვენი პროგრამის მოსმენის შემდეგ სიამოვნებით გაგვიფორმა ხელშეკრულება და, ღმერთმა უშველოს ბატონ გოჩას, წელიწადში ორჯერ საფრანგეთში, კერძოდ, მის პერიფერიებში ვართ გასტროლებზე...

**— რატომ პერიფერიებში, არ ხართ პარიზში გამოსაჩენი ბიჭები? — ვეხუმრები.**

— რომ იცოდეთ, ამ ქვეყნის პერიფერიებში უფრო საჭიროა ჩვენი ხელოვნების რაც შეიძლება მეტად და მეტად გატანა, რადგან აქ ნაკლებად იცნობენ საქართველოს... კი ბატონო, პარიზი კულტურის მექაა, მაგრამ ძირძველი ფრანგები პერიფერიებში ცხოვრობენ და ნეტა იცოდეთ, რა სიამოვნებას იღებენ ისინი ქართული მელოდიებით. ამ ცოტა ხნის წინათ ჩამოვედით საფრანგეთიდან, ქალაქ ლილში გვქონდა გამოსვლა და იქაური გაზეთიც გამოგვეხმაურა. აი, რას წერდა იგი:

„რამდენიმე წელია, ანსამბლი „სიმი“ მოგზაურობს საფრანგეთის პერიფერიებში და გვაცნობს ქართულ ფოლკლორს. შეიძლება შენი საქმიანობით გააცნო შენი ქვეყანა სხვებს, მაგრამ, როდესაც ეს ხდება ხელოვნების ენით, ძალზე სასიამოვნო განცდაა. ანსამბლის წევრები თავისი ქვეყნის ყველაზე კარგი ელჩები არიან“.

**— ფრანგული სიმღერა თუ გაქვთ რეპერტუარში?**

— ივ მონტანის ერთი სიმღერა გავაკეთეთ სამ ხმაში გიტარაზე, მაგრამ იმპრესარიომ არ გვირჩია, დაანებეთ თავი, შეიძლება, საავტორო უფლება მოგვთხოვონო...

**— მთლად ჩვენსავით არ ყოფილა იქ დაცული საავტორო უფლებები?!.**

— თქვენ ეგა თქვით!..

**— ახლა რას აპირებთ?..**

— ახლა რეპეტიციები და თბილისელთა წინაშე გამოსვლაა ჩვენი საზრუნავი, მომავალი წლის მარტში კი ისევ გასტროლები საფრანგეთში... ივლისში იქვე გვექნება გამოსვლა საგალობლების ფესტივალზე, შემდეგ კი გასტროლები ბელგიაში, შვეიცარიასა და ესპანეთში...

**— აბა, გაკეთებულა თქვენი საქმე!.. წარმატებებით გევლოთ!**

**ვილენ მარდალეიშვილი**

**სურათზე: ანსამბლი „სიმი“**


# საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდი

**მოწვევა ეროვნულ საკონკურსო ვაჭრობაზე (ტენდერზე), საიდენტიფიკაციო ნომერი: KTS/203, მსოფლიო ბანკის კრედიტი № 3701-GE**

## ქ. ქუთაისში ავტომშენებლის და ირაკლი აბაშიძის ქუჩების კაპიტალური შეკეთება

1. საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდი იწვევს ეროვნულ საკონკურსო ვაჭრობაზე (ტენდერზე) დაინტერესებულ ორგანიზაციებს, რომლებმაც უნდა წარმოადგინონ დალუქული კონვერტები საკონკურსო წინადადებით.

**ა) ქ. ქუთაისში ავტომშენებლის ქუჩის კაპიტალური შეკეთების სამუშაოების წარმოებაზე,** რაც მოიცავს 54467 $მ^2$. მონაკვეთებზე ა/ბეტონის საფარის და ბორდიურების მოწყობას, სანიაღვრე ქსელის მოწყობას, 300 გრძ. მ. წყალსადენის განშტოებების მოწყობას და სხვა სამუშაოებს (კონტრაქტი № KTS/203/01). სამუშაოების ხანგრძლივობაა 5 თვე.

**ბ) ქ. ქუთაისში ირაკლი აბაშიძის ქუჩის კაპიტალური შეკეთების სამუშაოების წარმოებაზე,** რაც მოიცავს 33332 $მ^2$. მონაკვეთზე ა/ბეტონის საფარის და ბორდიურების მოწყობას, სანიაღვრე ქსელის მოწყობას, 270 გრძ. მ. წყალსადენის განშტოებების მოწყობას და სხვა სამუშაოებს (კონტრაქტი № KTS/203/02). სამუშაოების ხანგრძლივობაა 3.5 თვე.

კონკურსის მონაწილეებს შეუძლიათ წარმოადგინონ განაცხადი ორივე ან ნებისმიერი ერთ-ერთი კონტრაქტისათვის.

2. ტენდერი ჩატარდება ეროვნული საკონკურსო ვაჭრობის პროცედურების მიხედვით მსოფლიო ბანკის შესყიდვების წესების შესაბამისად (1995 წლის გამოცემა, განახლებული 1996, 1997 და 1999 წლებში).

3. კონკურსის მონაწილის მიერ ბოლო ორი წლის განმავლობაში შესრულებული სამშენებლო სამუშაოების საშუალო წლიური მოცულობა უნდა იყოს:

კონტრაქტი № KTS/203/01: მინიმუმ 5,600,000 (ხუთიმილიონექვსასიათასი) ლარი;

კონტრაქტი № KTS/203/02: მინიმუმ 4,400,000 (ოთხიმილიონოთხასიათასი) ლარი.

მინიმალური ლიკვიდური აქტივებისა და კრედიტის მოზიდვის საშუალებების თანხა (კონკურსის მონაწილის სხვა ვალდებულებების შესასრულებლად საჭირო თანხის გამოკლებით) უნდა იყოს:

კონტრაქტი № KTS/203/01: მინიმუმ 1,900,000 (ერთიმილიონცხრაასიათასი) ლარი;

კონტრაქტი № KTS/203/02: მინიმუმ 1,300,000 (ერთიმილიონსამასიათასი) ლარი.

4. საკონკურსო დოკუმენტაცია (და აგრეთვე დამატებითი ასლები) კონკურსის მონაწილეებს შეუძლიათ შეიძინონ მუნიციპალური განვითარების ფონდში მისამართზე: **იეთიმ გურჯის ქ. № 7ბ, თბილისი, 0105. ტელ: 94-32-40; 94-29-47, 92-34-70, 92-34-69. ფაქსი: 94-04-39,** თითოეული კომპლექტისთვის (რომელიც შეიცავს ორივე კონტრაქტს) აუნაზღაურებადი 180 ლარის გადახდისას შემდეგ ანგარიშზე:

**ბანკი „რესპუბლიკა“, გრ. აბაშიძის 2, თბილისი, კოდი 220101757. ლარის ანგარიში № 3834080001.**

**ბენეფიციარი:** საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდი.

კონკურსანტის მოთხოვნის საფუძველზე საკონკურსო დოკუმენტაცია გაიგზავნება მითითებულ მისამართზე ფოსტით. თუკი კონკურსანტი მოითხოვს საკურიერო მომსახურებას, დოკუმენტები გაიგზავნება საკურიერო ფოსტით მიმღების ხარჯზე. დაინტერესებულ მონაწილეებს შეუძლიათ მიიღონ დამატებითი ინფორმაცია ზემოაღნიშნულ მისამართზე.

5. საკონკურსო წინადადებები წარმოდგენილი უნდა იყოს მისამართზე: **საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდი, ოთახი 302, იეთიმ გურჯის ქ. № 7ბ, თბილისი 0105, არაუგვიანეს 2005 წლის 26 ოქტომბრის 13 საათისა.** ყველა საკონკურსო წინადადებას თან უნდა ახლდეს წინადადების საბანკო გარანტია **47000 (ორმოცდაშვიდიათას) ლარზე კონტრაქტი №. KTS/203/01-სთვის და 26000 (ოცდაექვსიათას) ლარზე კონტრაქტი № KTS/203/02-სთვის.** საკონკურსო წინადადებები გაიხსნება **საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდში, იეთიმ გურჯის ქ. № 7ბ, 0105 თბილისი, 2005 წლის 26 ოქტომბერს 13 საათზე** კონკურსის იმ მონაწილეთა თანდასწრებით, რომლებიც გამოთქვამენ სურვილს დაესწრონ წარმოდგენილი წინადადებების გახსნის პროცედურას.

6. დაგვიანებული წინადადებები უარყოფილ იქნება და დაუბრუნდება წარმომდგენს გაუხსნელად.

◎ თითქმის ნატურიდან

# კომპოტი დავლიოთ, ღვინო — გადავღვაროთ

**ღამის ბინდი ჯერაც არ გაფანტულიყო, რომ ბაკიბუკა მეზობლის ძახილმა გამოაღვიძა. სასწრაფოდ წამოხტა, ფეხი შარვალში გაყო, ცხვირი — ალაყაფის კარში და ლევანას შინაურულად „ჩაედრასტა“:**

— შამო, რა შორიდან მეყროყინები?

— ყროყინი სადილობისას უნდა, ახლა მუშაობის დროა, წამო მომეხმარე.

რთველი ექნება ამ ყურუმსალს, გაიფიქრა ბაკიბუკამ, მაგრამ თხა რომ არ დაუკლავს? არა უშავს, თხისა თუ არა, ღორის მწვადი სად გამექცევა!

გუმანმა უმტყუნა, ადგილზე მოსულს სულ სხვა სურათი დახვდა. ლევანას ქვევრისთვის მოეხადა, ჭიქა ქარვისფერი რქაწითლით აევსო და მარანში შემოჭრილ მზის სხივზე ათამაშებდა.

— იფ, იფ, რა სურნელი იფრქვევა, — გაიხარა ბაკიბუკამ, — ჩამოვსხდეთ ქვევრის პირას და საღამომდე ვსვათ.

— ვსვათ კი არა, დავღვაროთ! — შეუსწორა ლევანამ.

— რა, კაცო, ღვინო უნდა დავღვაროთ?

— მააშ, ეგრე გადავწყვიტე.

— რატო, ჯო, დაგიძმარდა?

— დაძმარებისა რა ეტყობა, ვერა ხედავ, ჭიქიდან როგორ გამომწვევად გამოიყურება?

— მაშ რატო ღვრი?

— აბა წლევანდელი მოსავალი სად წავიღო?

— ქვევრების მეტი რა გაქ, შენც აიღე და სხვაში ჩაწურე.

— აბა რომელში, ყველა სავსეა. უკვე მერამდენე წელია, ყურძენს არ იბარებენ და ცარიელი საიდან დამრჩებოდა?

— როგორ არ იბარებენ, 30 თეთრად მიეცი და მაიშორე.

— რა მავიშორო, ჩემი ოფლით მონაწური? მაგ ფასად მე ყურძენს არ გავყიდი.

— არ გაყიდი და ვერ მოგეხმარები. დალევაში კი, მაგრამ გადაღვრაში — ვერა.

— კარგი ჰო, თან დალიე და თან გადაღვარე.



— ვერა, ვერა, ღმერთი გამიწყრება, ღვინის გადაღვრა სად გაგონილა?

— როგორ თუ სადა, ამას წინათ თბილისის ღვინის მარნიდან არ გადაღვარეს?

— შენ იმათ რას უყურებ, ნამამაძაღლევი ჰქონდათ და ძალით გადააღვრევინეს.

— კაცოო, მე ჩემი ნებითა ვღვრი, რას მედავები?

— გადაღვრას რას გამორჩები, სოფელი ლოთებით არის სავსე, სთხოვე და ქვევრებს ორ დღეში დაგიცარიელებენ.

— არა, მე ლოთების გასაფუჭებელი ღვინო არა მაქ.

— ნუ იცი ეგრე, ლევან, ეგენი თავისით კი არ გალოთებულან.

— აბა მე გავალოთე?

— შენ როგორ დაგაბრალებ, მაგრამა, მაგათაც იჯიუტეს, ყურძნის ფასი ეცოტავათ და მთელი ღვინო თავად გაუხდათ დასალევი.

— მაგით რის თქმა გინდა, მეც გალოთება მემუქრება?

— როგორ ფიქრობ, ლოთობა არა სჯობია ღვინის გადაღვრასა?

— არა, გალოთებას გადაღვრა მირჩევნია.

— შენა, კაცო, რაღაც გულმოსული ჩანხარ, მთავრობაზე ხომ არა ხარ ნაწყენი?

— ნაწყენი თორემ, მაგათმა მზემა, რო გაიგებენ, მაშინვე გამოსწორდებიან.

— მე თუ მკითხავ, არაფერიც არა აქვთ გამოსასწორებელი. მით უფრო ყურძნის ჩაბარების საქმეში არაფერ შუაში არიან.

— აბა ვინ არი შუაში?

— საბაზრო ეკონომიკა, შენ ბაზრობის კანონებს არ იცნობ და იმიტომ ლაპარაკობ ჰაიჰარადა.

— მთავრობა ხო იცნობს?

— რო იცნობს, ამიტომაც არ ერევა მევენახეთა და მეღვინეთა შინაურ საქმეებში.

— მიდი, მიდი შაუძვერი! შენი თქმით, გამოდის, რომ მთავრობა უსაქმოდ არის დარჩენილი?

— რატო უსაქმოდ, მთავრობას თავის პრიორიტეტები აქ და იმას მიჰყვება.

— ეგ პრიორიტეტები რაღა ჩემი ფეხებია?

— ეგრე ეძახიან, თორემ თავისთავად ეს პრიორიტეტებიც იგივე საქმეა — გზებზე ასფალტის დაგება, შენობების ნაირფერად შეღებვა, უფასო სასადილოების გახსნა და რა აღარ.

— ჩვენთან რო არაფერი დაუგიათ და არც არაფერი შაუღებავთ?

— აცალე, ქალაქში მორჩებიან და ჩვენთანაც მოვლენ. თუ ჭკვიანად მოვიქცევით, წყალსაც გამოგვიყვანენ, შადრევნებსაც აგვიჩუხჩუხებენ და უფასო სადილის შემდეგ კომპოტსაც დაგვალევინებენ.

— ღვინო აღარ დაგვჭირდება?

— არა, კომპოტის შემდეგ ღვინოს ევროპაშიც კი აღარ აყოლებენ.

— ჰოდა, გადავღვაროთ!

**ოთარ ხუციშვილი**

◎ ჭიდაობა

# პირველი მედლები მეოთხე მსოფლიო ჩემპიონატიდან



**რუსეთში, ქალაქ ყაზანში (თათრეთის რესპუბლიკა) მოეწყო მსოფლიოს მეოთხე ჩემპიონატი ქამრიან ჭიდაობაში. წინა სამი ჩემპიონატი 2002 წელს — ოშში (ყირგიზეთი), 2003 წელს — თეირანში (ირანი), 2004 წელს კი სტამბოლში (თურქეთი) გაიმართა.**



მსოფლიო ჩემპიონატზე პირველად გამოვიდა ხუთი ქართველი მოჭიდავე.

ხუთეულიდან ორმა შეძლო მედლის მოპოვება.

66 კილოგრამ წონით კატეგორიაში ბრინჯაოს მედალს დაეუფლა ბოლნისელი **მიხეილ ზარქუა.** ჩემპიონატის წინა დღეს კონგრესზე გადაწყდა, რომ 66, 73, 81, +90 და 90 კილოგრამი წონითი კატეგორიების გარდა, ჩატარებულიყო აბსოლუტური პირველობაც. სწორედ აბსოლუტურ პირველობაში იასპარეზა გორელმა სამბისტმა, ევროპის ჩემპიონმა **ნიკო ბიბილაშვილმა** და მხოლოდ ფინალური შეხვედრა დათმო ირანელ სადეკ ფახლავანთან და მსოფლიოს ჩემპიონატის ვერცხლის მედლის მფლობელი გახდა.

თუ საქართველოს ნაკრების წევრთა უმეტესობა სამბოს წარმომადგენლები იყვნენ, რუსეთის და თათრეთის გუნდებში თავისუფალი და ბერძნულ-რომაული სტილის მოჭიდავეები სჭარბობდნენ.

43 მონაწილე ქვეყნიდან 17 ქვეყნის მოჭიდავეებმა შეძლეს მედლების მოპოვება.

გაისად ქამრიან ჭიდაობაში მსოფლიოს მეხუთე ჩემპიონატის მასპინძლობაზე პრეტენზიას საქართველო და უზბეკეთი აცხადებენ.

**ბესიკ გაბრიაძე**

**სურათებზე: ნიკო ბიბილაშვილის ერთ-ერთი გამარჯვება; მიხეილ ზარქუა.**

◎ სტადიონი

# განახლებული „მარაკანა“ 205 ათასი მაყურებლისთვის

**ყველა ჭეშმარიტი ბრაზილიელის სიამაყეა რიო-დე-ჟანეიროში 1950 წელს ზაფხულში აგებული „მარაკანას“ გიგანტური სტადიონი, რომელიც თავდაპირველად 220 ათას მაყურებელს იტევდა. ჩვენი პლანეტის ეს უდიდესი სპორტული ნაგებობა ბრაზილიელებმა მსოფლიოს 1950 წლის IV ჩემპიონატის გახსნას მიუძღვნეს. როგორც ვიცით, ამ სტადიონზე ბრაზილიის ფეხბურთელთა ნაკრებმა 1:2 წააგო ფინალური მატჩი ურუგვაელებთან, რასაც თურმე 210 ათასი მაყურებელი ადევნებდა თვალს. 16 ივლისის ის საღამო შავი ასოებით ჩაიწერა ბრაზილიის ფეხბურთის მატიანეში.**

მას შემდეგ 55 წელმა განვლო და კათოლიკე ბრაზილიელებს ერთხელაც არ წამოსცდენიათ სიტყვა იმის თაობაზე, რომ მეორედ ემასპინძლათ მსოფლიო ჩემპიონატის ფინალური ტურნირისთვის. პირველ რიგში ამის კატეგორიული წინააღმდეგი გახლდათ „ფეხბურთის მეფედ“ შერაცხული ედისონ არანტეს დოს-ნასიმენტო პელე. ამის გარდა, გიგანტური სტადიონის ტერიტორიაზე, კარგა ხანია, ფუნქციონირებს 30-ათასიანი დახურული სპორტის სასახლე, სადაც ფრენბურთელთა და კალათბურთელთა პრესტიჟული ჩემპიონატები იმართება. ბრაზილიელი ტორსიდა მას სიყვარულით „მარაკანაზინიოს“ უწოდებს, რაც მცირე „მარაკანას“ ნიშნავს.

ბრაზილიის უდიდესი სტადიონი „მარაკანა“ დროებით დაიხურა. ქვეყნის ჩემპიონატის კალენდარული მატჩები „ესტადიო მაურინო დე ოლივეირაზე“ იმართება. „ფეხბურთის მეფის“ მთავარ სტადიონს კაპიტალურად არემონტებენ. ლეგენდარული სტადიონი, განახლებული და თანამედროვე კრიტერიუმებს მორგებული, 2010 წლისთვის ჩადგება მწყობრში — 2014 წელს კი განახლებული „მარაკანა“ მსოფლიოს ჩემპიონატს უმასპინძლებს. დღეისთვის სტადიონი 150000 გულშემატკივარს იტევს. ახლა კი აპირებენ, რომ „მარაკანას“ ძველი „არქიბანკადები“ ისევ დაუბრუნონ, რის შემდეგ მისი ტევადობა 205 ათასამდე გაიზრდება. სწორედ ამდენი მაყურებელი უშუალოდ სტადიონზე მიადევნებს თვალს 2014 წლის მსოფლიოს XX საიუბილეო ჩემპიონატის მსვლელობას.

**შალვა ქირია**

**სურათზე: „მარაკანას“ სტადიონი.**



◎ რას წერენ, რას ამბობენ ჩვენზე

# ყაზახეთის პრეზიდენტი საქართველოს ჰპირდება ნავთობს, გაზს და უხვ ინვესტიციებს

**დასრულდა ყაზახეთის პრეზიდენტის ნურსულთან ნაზარბაევის სამდღიანი ოფიციალური ვიზიტი საქართველოში. მოგზაურობა შინაარსიანი იყო: აჭარაში გაიმართა მოლაპარაკება ამ მხარის კურორტებში ინვესტიციათა დაბანდების შესახებ, შემდეგ — შეხვედრა საქართველოს ხელმძღვანელობასთან, სავაჭროეკონომიკურ შეთანხმებათა დიდი პაკეტის ხელმოწერა. მაგალითად, უმაღლეს დონეზე პირველად მოხდა ყაზახეთიდან საქართველოში გაზის ექსპორტის შესახებ მიღწეული პრინციპული მორიგების დეკლარირება.**

საქართველოს პრეზიდენტი მიხეილ სააკაშვილი ხაზგასმით აღნიშნავდა, რომ ნაზარბაევთან მოლაპარაკებას ჰქონდა უდიდესი მნიშვნელობა ყველა მიმართულებით, იქნება ეს საკურორტო ზონები, გაზი თუ სხვა. კერძოდ, მან განაცხადა, რომ აჭარის ქალაქ ქობულეთში აშენდება დიდი სასტუმრო, „რომელშიც დასასვენებლად ჩამოვლენ ყაზახები“. თანაც, „თუ ერთი-ორი წლის შემდეგ მის გვერდით აღიმართება რუსული კომპლექსი, შემდეგ კი — ფრანგული, ინგლისური, ჩვენ ამას მხოლოდ მივესალმებით, მაგრამ, მუდამ გვემახსოვრება, რომ პირველი ყაზახეთი იყო“.

ასტანას სურს მონაწილეობა ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის მილსადენით ნავთობის ტრანსპორტირების პროექტში. პრეზიდენტი ნაზარბაევი არ მალავდა ამბიციებს — მისი ქვეყანა აპირებს, რომ დაახლოებით 2016 წლისთვის შევიდეს მსოფლიო ბაზრებზე ნავთობის მიმწოდებელ სახელმწიფოთა პირველ ათეულში.

ნურსულთან ნაზარბაევმა ისტორიაც გაიხსენა. კერძოდ, მან თქვა, რომ ქართველთა მეფეს დავით აღმაშენებელს ცოლად ჰყავდა ყივჩაღთა მთავრის ქალიშვილი და ყივჩაღები თავიანთ სიძეს სამხედრო დახმარებას უწევდნენ მტრების წინააღმდეგ ბრძოლაში. ამის შემდეგ ნაზარბაევმა დაადასტურა, რომ ყაზახეთი დაინტერესებულია საქართველოს საინვესტიციო პროგრამებში მონაწილეობით, საქართველოს ეკონომიკაში ინვესტიციების დაბანდებით. საქართველოს პრეზიდენტმა მიხეილ სააკაშვილმა თავის მხრივ აღნიშნა, რომ საქმე ეხება თბილისის რესპუბლიკის მოედანზე სასტუმროს კომპლექსის მშენებლობას, რომელსაც ყაზახეთის კომპანიები აფინანსებენ.

მაგრამ ზამთრის დადგომის წინ საქართველოს მოსახლეობა, ალბათ, ყველაზე მეტად გაახარა ახალმა ამბავმა ყაზახეთიდან გაზის იმპორტის რეალური პერსპექტივის შესახებ. „ჩვენ პრაქტიკულად მივაღწიეთ მორიგებას ძალზე კარგი და ურთიერთხელსაყრელი პირობებით ყაზახეთის გაზის იმპორტის შესახებ. საქართველოში წლევანდელი ზამთარი გახდება პირველი, როცა ჩვენ თეორიულად არ გვექნება ელექტროენერგიის დეფიციტი, რადგან მის გამომუშავებას უზრუნველყოფენ ელექტროტურბინები“, — თქვა სააკაშვილმა და დასძინა, რომ საქართველო ერთიორად გაზრდის გაზის მოხმარებას. ნაზარბაევმა, თავის მხრივ, შენიშნა, რომ „ორი ქვეყნის მთავრობებმა მიიღეს კონკრეტული დავალება — გადაწყვიტონ საქართველოში ყაზახეთის გაზის მიწოდების საკითხი“. პრეზიდენტები შეთანხმდნენ იმაზე, რომ გაზის ტრანსპორტირებამ არ უნდა შელახოს რუსეთის ინტერესები. „ვფიქრობ, რომ რუსეთის მხარესთან, რომლის ტერიტორიაზეც განხორციელდება ტრანზიტი, შევძლებთ საერთო ენის გამონახვას“, — თქვა ყაზახეთის მეთაურმა.

საქართველოს საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსმა ალექსანდრე თვალჭრელიძემ „ნოვიე იზვესტიას“ კორესპონდენტთან საუბრისას დაადასტურა, რომ ყაზახეთიდან ბუნებრივი გაზის მოწოდება უნდა განხორციელდეს რუსეთის ტერიტორიაზე ტრანზიტის გზით, რადგან სხვაგვარად შეუძლებელი იქნება. კითხვას, მიმდინარეობს თუ არა რაიმე მოლაპარაკება რუსეთის მხარესთან ამ საკითხის თაობაზე, მეცნიერმა უპასუხა: „ჩემთვის ეს ცნობილი არ არის, თუ მიმდინარეობს, ალბათ — კონფიდენციალურად“.

**ირინე ბარამიძე**

НОВЫЕ ИЗВЕСТИЯ

# სიურპრიზი „გაზპრომს“

**„გაზპრომს“ გუშინ მოულოდნელი დარტყმა აგემა ყაზახეთმა, რომელიც აქტიურად ზრდის გაზის მოპოვებას. საქართველოს პრეზიდენტთან მიხეილ სააკაშვილთან გამართული მოლაპარაკების შემდეგ, ყაზახეთის ლიდერმა ნურსულთან ნაზარბაევმა განაცხადა, რომ მზად არის, მიაწოდოს თბილისს გაზი, და ამისთვის აპირებს რუსეთთან ტრანზიტის შესახებ მოლაპარაკების დაწყებას. საქმე ეხება ყოველწლიურად დაახლოებით 2 მილიარდი კუბური მეტრი გაზის მიწოდების გრძელვადიან კონტრაქტს, რაც მთლიანად დააკმაყოფილებს ამ ნედლეულზე საქართველოს მოთხოვნილებას. მაშასადამე, საჭირო აღარ იქნება გაზის შესყიდვა „გაზპრომისგან“, რომელმაც გადაწყვიტა, რომ 2006 წლის დამდეგიდან ათასი კუბური მეტრი ამ ნედლეულის ღირებულება ამჟამინდელი 60 დოლარიდან 100 დოლარამდე გაზარდოს.**

„ჩვენ მზად ვართ გადავწყვიტოთ ეს საკითხი (საქართველოს მომარაგება გაზით. — რედ.) და იმედი გვაქვს, რომ უახლოეს მომავალში დავიწყებთ მოლაპარაკებას რუსეთის მხარესთან, რომელიც განახორციელებს ტრანზიტს“, — თქვა 3 ოქტომბერს ქართველ კოლეგასთან ერთად გამართულ ბრიფინგზე ნურსულთან ნაზარბაევმა. როგორც მან აღნიშნა, ყაზახეთს „ამ თვალსაზრისით რუსეთთან აქვს ორმხრივ ხელსაყრელი საქმეები“.

„გაზპრომში“ გვითხრეს, რომ ტრანზიტის შესახებ ჯერჯერობით არანაირი წინადადება არ მიუღიათ და საერთოდ უარი თქვეს ამ თემის განხილვაზე. კომპანიის წყარომ „ვრემია ნოვოსტეის“ კორესპონდენტთან საუბრისას აღნიშნა, რომ ყაზახ პარტნიორებთან მიღწეულია მორიგება „გაზპრომის“ და „კაზმუნაიგაზის“ ერთობლივი საწარმოს — „კაზროზგაზის“ მეშვეობით ასეთი მიწოდების შესახებ. ეს კომპანია ახორციელებს გაზის ექსპორტს (წელიწადში დაახლოებით 7 მილიარდი კუბური მეტრი) ყაზახეთის ყარაჩაგანაკის საბადოდან, წინასწარ ამუშავებს რა ამ ნედლეულს ორენბურგის გაზის გადამმუშავებელ ქარხანაში, რომელიც რუს მონოპოლისტს ეკუთვნის. ბუნებრივი აირის ექსპორტი, „გაზექსპორტთან“ დადებული კონტრაქტის თანახმად, ხორციელდება აზერბაიჯანში, უკრაინაში და შორეული საზღვარგარეთის ქვეყნებში.

ამავე დროს, ყაზახეთის ხელისუფლების ერთ-ერთი მთავარი მიზანია ის, რომ დამოუკიდებლად დაამყაროს კონტაქტები გაზის საბოლოო მომხმარებლებთან. უწინარეს ყოვლისა, რა თქმა უნდა, საქმე ეხება დასავლეთ ევროპას. მაგრამ პირველი ნაბიჯისთვის საქართველოც საკმარისი იქნება. ამჟამად ასტანას აქვს ძალზე სერიოზული კოზირი „გაზპრომთან“ ვაჭრობის დროს — შუა აზიის გაზის ტრანზიტის კონტრაქტი, რომელიც რუსეთის კონცერნმა ხანგრძლივი ვადით დადო უზბეკეთსა და თურქმენეთში. ამ მოცულობების სტაბილური ტრანზიტის სანაცვლოდ (2007 წელს ეს მიაღწევს შთამბეჭდავ ციფრს — 50 მილიარდ კუბურ მეტრს, რომელიც „გაზპრომის“ კუთვნილება იქნება), ასტანას შეუძლია მოითხოვოს „კაზროზგაზის“ კვოტების გადაჭარბებით საქართველოში და, ალბათ, დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობის სხვა ქვეყნებშიც გაზის დამოუკიდებლად ექსპორტირების უფლება. ჩვენმა თანამოსაუბრეებმა „გაზპრომში“ თავი შეიკავეს ამ თემაზე რაიმე კომენტარის გაკეთებისგან.

**ალექსეი გრივაჩი,**
**4 ოქტომბერი.**

ВРЕМЯ

◎ სამბო

# მსოფლიო პირველობების წინ



**დიღმის ლევან თედიაშვილის სახელობის მოზარდთა და ბავშვთა ოლიმპიური რეზერვების სკოლის დარბაზში დასრულდა სამბისტთა საქართველოს ეროვნული ჩემპიონატი, რომელშიც 18 ქალაქისა და რაიონის 150-მდე ტიტულოვანი ფალავანი მონაწილეობდა.** ეს შეჯიბრება ძალების ბოლო მოსინჯვაა მსოფლიო პირველობების წინ, რომლებიც ოქტომბერ-ნოემბერში საბერძნეთსა და ყაზახეთში გაიმართება, — გვითხრა ოლეგ იაძემ, — საგარეჯოელმა უშანგ კუზანაშვილმა (52 კგ.), ხაშურელმა გელა ბარათაშვილმა (57 კგ), ქუთაისელმა გელა სანიკიძემ (62 კგ), რუსთაველმა მიხეილ თურქაძემ (100 კგ) და ქუთაისელმა ნიკოლოზ ცუცქირიძემ (90 კგ) ოქროს მედლები მოიპოვეს. ახალგაზრდებიდან მინდა გამოვყო ზუგდიდელი, საქართველოს დამსახურებული მწვრთნელის ედვარდ კვიციანის შეგირდი, ოთარ ახალაია (74 კგ), რომელმაც ყველა შეხვედრა მოიგო. სამწუხაროდ, ედვარდ კვიციანს მხოლოდ ნახერხმოყრილ სარბიელზე უხდება მუშაობა, ერთი ნორმალური ხალიჩა რომ ჰქონდეს, ბევრ ნიჭიერ სამბისტს გაზრდიდა.

**შალვა ქირია**

**სურათზე: ასპარეზობის მომენტი.**
**რობერტ ბაგოიანის ფოტო.**

◎ სპორტულ ორბიტაზე

## ტოპალოვი წინ მიიწევს

**არგენტინაში მიმდინარე მსოფლიო ჩემპიონატზე კიდევ ერთი გამარჯვება მოიპოვა ბულგარელმა დიდოსტატმა ვესელინ ტოპალოვმა. მან მეხუთე ტურში რუსეთელი პეტრე სვიდლერი დაამარცხა და 4,5 ქულით ლიდერობა უფრო განიმტკიცა.**

დანარჩენი შეხვედრები — პოლგარი-მოროზევიჩი, ანანდი-ლეკო, ადამსი-კასიმჯანოვი — ყაიმით დამთავრდა.

## „უძღები“ შვილის დაბრუნება?

**7 წლის იყო მარია შარაპოვა, როცა მშობლებმა ამერიკაში წაიყვანეს. მაშინ გადაჭრით არავინ იცოდა, თუ მისგან რა გამოვიდოდა. და აი, ის დაბრუნდა მოსკოვში, მაგრამ უკვე როგორც მსოფლიოში ქალთა შორის პირველი ჩაგანოსანი, რომლის უდიდესი პოპულარობა შარშან უიმბლდონზე გამარჯვებით რომ დაიწყო.**

ამჯერად ის მოსკოვში სტუმრად კი არა, არამედ, როგორც თვითონ ამბობს, სახლში, შინ ჩამოვიდა, რათა მონაწილეობა მიიღოს „კრემლის თასის“ გათამაშებაში. „მოუთმენლად ველი, თუ როგორ მიმიღებენ რუსი გულშემატკივრები შეჯიბრებების დროს“, — თქვა მარიამ.

გულშემატკივრებმა იციან, რომ „ოლიმპზე ასვლამდე“ შარაპოვას მხოლოდ ჩოგბურთი აინტერესებდა, მაგრამ მსოფლიო პოპულარობამ თავისი კვალი დაამჩნია ნორჩი რუსეთელი სპორტსმენის ცხოვრებას — მან მოუხშირა საღამო-წვეულებებზე სიარულს. ცდილობს თავის გამოჩენას, უამრავი პრიალაგარეკანიანი ჟურნალების ფურცლებიდან მარია ხან ახალ საათებს უწევს რეკლამას, ხან — სპორტულ ფეხსაცმელს, ხანაც კიდევ რას. ახლა კი ცნობილი გახდა, რომ ის მოდების დემონსტრაციებშიც აპირებს მონაწილეობას.

21-23 დეკემბერს შარაპოვა ამომავალი მზის ქვეყანაში — იაპონიაში ქალაქებს ოსაკას, ნაგოიასა და



ტოკიოს ეწვევა და საჩოგბურთო მატჩებს გამართავს მასპინძელ აი სუგიამასთან ერთად, თანაც მოდების ჩვენებაშიც მიიღებს მონაწილეობას.

იქამდე კი, მოსკოვის ტურნირის დაწყებამდე, შარაპოვა ტრავმების მოშუშებასა და რუსეთის დედაქალაქის ღირსშესანიშნაობების დათვალიერებას აპირებს.

## ჩოგბურთს კინო ამჯობინა

**ავსტრალიელი ბობი სიუ ლიუთერი ბავშვობიდან სპორტით იყო გატაცებული, თანაც მოდების თავისებურ ჩვენებასაც აწყობდა თანატოლებთან ერთად. სკოლაში სპორტით გატაცება ჩოგბურთით დაკონკრეტდა. ასე რომ, მალე ბობი სკოლის ნაკრებშიც კი მოხვდა.**

სკოლის შემდეგ ამერიკას მიაშურა, სადაც ისევ აგრძელებდა ჩოგბურთში დაოსტატებას. ერთხელ ჩოგბურთის ლამაზმან ანა კურნიკოვასთან ამხანაგური მატჩის გამართვაც კი მოინდომა, მაგრამ, სამწუხაროდ, ეს ვერ მოხერხდა.

ზედა კურსებზე ბობი მიხვდა, რომ სპორტში სახელის მოპოვება დაგვიანებული იყო და მაშინ მთელი ყურადღება სამოდელო ბიზნესსა და, კინოზე გადაიტანა. დაიწყო ბიკინისა და ქალის თეთრეულით და, როგორც თავად ამბობს, თვითონაც მიეჩვია ტანსაცმლის მინიმუმის ტარებას. თანდათან ლიუთერის გვარი სულ უფრო პოპულარული ხდება ჰოლივუდის წრეებში.

მოუხშირდა ფილმების გადაღებაზე მოწვევები. ერთხელ ის გადაიღეს საქვეყნოდ ცნობილი რეპერის ემინემის კლიპშიც. შემდეგ მიიწვიეს სერიალში „ეტერპრაიზის ვარსკვლავთგზა“, სადაც ის ბრენტ სპაინერთან ერთად გადაიღეს. და ბოლოს, წლეულს ის ერთ-ერთი გმირი გახდა კინოფილმისა „მამაკაცი გამოძახებით-2“, სადაც მთავარ როლს რობი შნაიდერი თამაშობს.



◎ ჭადრაკი ოთხშაბათობით

# კომბინაციური თამაშის ნიჭით გამორჩეული

**მსოფლიოს XIII ჩემპიონმა (1985 წლიდან), ჭაბუკთა მსოფლიო პირველობის გამარჯვებულმა (1980), საერთაშორისო დიდოსტატმა (1980), 5-გზის „ოსკარის“ პრიზის მფლობელმა გარი კასპაროვმა (დაიბადა 1963 წ.) ჭადრაკის თამაში ბაქოს მოსწავლე ახალგაზრდობის სასახლეში 6 წლისამ დაიწყო, 1973 წლიდან ოსტატობას სრულყოფდა მ. ბოტვინიკის საჭადრაკო სკოლაში (მოსკოვი). 16 წლისამ პირველად იასპარეზა საერთაშორისო ტურნირში (ბანია-ლუკა), ჩამოიტოვა 14 საერთაშორისო დიდოსტატი და I ადგილი დაიკავა.**



1982 წლიდან ჩაება საზონათაშორისო ტურნირებში; ზედიზედ დაამარცხა ა. ბელიავსკი, ვ. კორჩნოი და ვ. სმისლოვი. ითამაშა 88 პარტია, მათ შორის 41 მოიგო, 44 ყაიმით დაასრულა და მხოლოდ 3 წააგო!

22 წლის კასპაროვმა ფინალური მატჩი მოუგო ანატოლი კარპოვს — 13:11 და მსოფლიოს ყველაზე ახალგაზრდა ჩემპიონი გახდა. ეს ტიტული მან კარპოვთან შემდგომ ორთაბრძოლებშიც შეინარჩუნა (1986/87).

1987 წელს (სევილია) გ. კასპაროვის ერთ-ერთი სეკუნდანტი ქართველი დიდოსტატი ზ. აზმაიფარაშვილი გახლდათ.

გ. კასპაროვი უპირველესად გამოირჩევა „არაჩვეულებრივი კომბინაციური თამაშის ნიჭით, რომელიც მას ალიოხინთან აახლოებს“, — ამბობდა მ. ბოტვინიკი.

**თამაზ შენგელია**

**კასპაროვი — გელფანდი**
**1993 წ.**



*მრავალსვლიანი კომბინაციის შემდეგ თეთრები იგებენ*

**1. მde6! fd 2. მe6 ლa7 (2.... ლc6 3. მf8 კf8 4. კf6 კd5) 3. e5! de 4. მf8 კf8 5. კf6 gf 6. ეd8 მd7 (6. ... ლe7 7. ლc4 მფg7 8. ლg8 მფh6 9. კd5+) 7. ლg4! (7. ... კg7 8. ლe6) 1:0.**

## ალბომი

### ყველას რაიმე აქვს სახსოვარი



სხედან ცოლ-ქმარი ანაპოდისტე ძაგნიძე და ქეთო ქავთარია-ძაგნიძე; დგანან ნინა ძაგნიძე და მიშა მამასახლისი. სურათი გადაღებულია 1929 წელს.

მოგვაწოდა ნანული ძაგნიძემ.

## ამინდი

# რას გვპირდება ოქტომბერი?

**კლიმატური მონაცემებით ოქტომბერში ჰაერის თვის საშუალო ტემპერატურა საქართველოს მთელ ტერიტორიაზე სექტემბერთან შედარებით 3-7 გრადუსით დაბალია.** მისი მნიშვნელობა სანაპირო ზოლსა და კოლხეთის დაბლობზე +15, +17 გრადუსია, ქართლსა და კახეთში +11, +15 გრადუსია, მთიან რაიონებში 9-14 გრადუსია, ხოლო მაღალმთიან ზონაში +5, +9 გრადუსს შეადგენს.

ჰაერის აბსოლუტური მაქსიმალური ტემპერატურა ქვეყნის დაბლობსა და ბარში +30, +35 გრადუსს, ზოგან 37 გრადუსს, მთიან რაიონებში +26, +31 გრადუსს, ხოლო მაღალმთიან ზონაში კი +23, +28 გრადუსს აღწევს.

ადრე დაფიქსირებული ყველაზე დაბალი ჰაერის ტემპერატურა აჭარის სანაპირო ზოლში +1, +3 გრადუსი, დასავლეთ საქართველოს დანარჩენ დაბლობ რაიონებში -0, -3 გრადუსი, დასავლეთ საქართველოს მთებში, ქართლსა და კახეთში -2, -7 გრადუსი, აღმოსავლეთ საქართველოს მთებში ზოგან 8, -11 გრადუსი და მაღალმთიან რაიონებში -8, -15 გრადუსამდე იკლებს.

ყველაზე მეტი ნალექი აჭარის სანაპირო რაიონებში მოდის — 270-3000 მმ, დანარჩენ ტერიტორიაზე მისი მნიშვნელობა უმეტესად 100-200 მმ-ია. ბევრად ნაკლებია ნალექების რაოდენობა აღმოსავლეთ საქართველოში. აქ იგი მერყეობს 30-დან 90-მდე, გარდა კავკასიონის მთიანი ზონისა, სადაც მისი მნიშვნელობა 80-130 მმ-ს შეადგენს.

ნალექიან დღეთა რიცხვი დასავლეთ საქართველოში მერყეობს საშუალოდ 8-დან 15-მდე, აღმოსავლეთ საქართველოში 7-დან 13-მდე.

ამინდის გრძელვადიანი პროგნოზის მიხედვით ჰაერის თვის საშუალო ტემპერატურა მიმდინარე წლის ოქტომბერში შავი ზღვის სანაპირო რაიონებში და კოლხეთის დაბლობზე მოსალოდნელია +14, +16 გრადუსი, ქართლსა და კახეთში +10, +13 გრადუსი, მთებში +8, +13 გრადუსი, მაღალმთიან ზონაში +3, +5 გრადუსი, რაც დასავლეთ საქართველოში 1 გრადუსით დაბალია საშუალო მრავალწლიურ მნიშვნელობაზე და მასთან ახლოსაა, აღმოსავლეთ საქართველოში კი ნორმის ფარგლებშია.



თვის ცალკეულ პერიოდში შესაძლებელია ტემპერატურის დაკლება ღამით შავი ზღვის სანაპირო რაიონებში +6, +3 გრადუსამდე, კოლხეთის დაბლობზე +3, -0 გრადუსამდე, ქვემო ქართლსა და კახეთში 0, -2 გრადუსამდე, შიდა ქართლსა და მთებში -2, -5 გრადუსამდე, მაღალმთიან ზონაში -7, -11 გრადუსამდე; თვის ცალკეულ დღეებში — ტემპერატურის მომატება დღისით დაბლობსა და ბარში + 27, +32 გრადუსამდე, მთებში +24, +29 გრადუსამდე, მაღალმთიან ზონაში +19, +22 გრადუსამდე.

ნალექების რაოდენობა დასავლეთ საქართველოში მოსალოდნელია საშუალო მრავალწლიურ რაოდენობაზე მეტი და მასთან ახლოს, აღმოსავლეთ საქართველოში მასზე ნაკლები და მასთან ახლოს.

ქართლში მოსალოდნელი წაყინვა საშიშია სითბოსმოყვარული ბოსტნეულისთვის. მაღალმთიან ზონაში ღამის ტემპერატურის -7, -11 გრადუსამდე დაწევა არა მარტო ამოღებულ და დაუფარავ, არამედ მიწის ზედაპირთან ახლოს მდებარე კარტოფილსაც დააზიანებს. მოსალოდნელი ნალექი განსაკუთრებით დასავლეთ საქართველოში შეაფერხებს სასოფლო-სამეურნეო სამუშაოებს. აღმოსავლეთ საქართველოში კი წვიმები ადრე ვადებში ნათესი პურეულის აღმოცენებას შეუწყობს ხელს.

ოქტომბრის თვეში საქართველოს მდინარეებზე წყლიანობა მოსალოდნელია: დასავლეთში ნორმასთან ახლოს და მასზე მაღალი, ხოლო აღმოსავლეთში ნორმის ფარგლებში.

## კალცლექსი

### „ტყულა ამბობს გურული?"

**ყივჩაღურ-გურული ლექსი ნაზარბაევს**

ჩვენ ვერაფერს ვერ დაგვაკლებს
უცხოელი მტრის ჯანღური,
დავითის ცოლს სისხლი ჰქონდა
სულ ბოლომდე ყივჩაღური.

შენთანა ვართ, ნაზარბაევ,
სიტყვის ერთი დამახებით,
დავით აღმაშენებლიდან
ჩვენ ვართ ყველა — ყაზახები.
...
არ ჰქონია ქართველს თქვენგან
კარი გამოხურული,
„მაი, კაი ყამახია",
ტყულა ამბობს გურული?

ჯ. ჩ.

2005 წ. 6 ოქტომბერი.

## გამოვიდა

### მრავალფეროვანიც, საინტერესოც

**მკითხველმა მიიღო მწერალთა ასოციაცია „ლიტერატურული კახეთის" ალმანახ „ოლეს" მორიგი, მესამე ნომერი. ამჯერადაც მისი ფინანსური შემწე და მეოხი თელავის რაიონის გამგეობაა. რედაქცია მადლობას უხდის პრეზიდენტის რწმუნებულს კახეთის მხარეში პეტრე ცისკარიშვილს იმ თანადგომისთვის, ამ კუთხეში მოღვაწე მწერლებისადმი რომ იჩენს.**

ტრადიციულ განყოფილებებში ძველი ავტორების გვერდით ახალ სახელებსაც ვხედავთ. ამით ჟურნალი ამართლებს თავის დაპირებას — ფართოდ გაუღოს კარი ყველა ნიჭიერ შემოქმედს, განურჩევლად მისი ასაკისა. თავისთავად ის ფაქტი, რომ ამ 64 გვერდიან გამოცემაში 18 ავტორია წარმოდგენილი, ამის კიდევ ერთი დასტურია.



დაბეჭდვით კი ნომერში დაბეჭდილია ნუგზარ ჩიკვაიძის, ზაზა გიორგაძის, გიორგი ბოგველიშვილის, ოთარ ხუციშვილის, ელგუჯა ლებანიძის პროზაული ნაწარმოებები, ბაღათერ არაბულის, ბაადურ ბალარჯიშვილის, ირაკლი დარძულის, ფარნაოზ რაინაულის ლექსები, არჩილ სპარსიაშვილის, ლეილა შალვაშვილის, თამარ გოგოლაძის, გიორგი ჯავახიშვილის, ნიკო გოგოჭურის წერილები. ჟურნალი გრიგოლ ორბელიანის დაბადების 200 წლისთავს ეხმაურება პროფესორ როინ ჭიკაძის წერილით „გრიგოლ ორბელიანი — შემაერთებელი ხიდი". გამოქვეყნებულია, აგრეთვე ბენედიქტ ეროფეევის პიესის „გალპურგის ღამის" ზაზა გიორგაძისეული თარგმანი.

„ოლე" იმითაც არის საინტერესო, რომ იგი ბეჭდავს თითქმის ყოველი ავტორის ფოტოსურათს, რითაც პოპულარიზაციისა და რეკლამის კიდევ ერთ საშუალებას მოხდენილად იყენებს. ნუნუ ძამუკაშვილის საბავშვო ლექსები დასურათებულია მაია ბოშაშვილის ნახატებით. ჟურნალს ახალისებს გივი თორაძის ნამუშევართა რეპროდუქციები — თელავის, გომბორის, თუშეთის პეიზაჟები, ნატურმორტები, პორტრეტები.

აღსანიშნავია გამოქვეყნებულ ნაწარმოებთა მხატვრულ-ლიტერატურული დონე, თემატური მრავალფეროვნება, კარგი ქართული, რაც იმაზე მიუთითებს, რომ რედკოლეგია (მთავარი რედაქტორი აკაკი დაუშვილი) მათ საგულდაგულოდ არჩევს და სერიოზულად მუშაობს, რომ მკითხველს სრულყოფილი პროდუქცია მიაწოდოს.

გუჯა რთველაძე

## სამართალი

### მარიკ დუდაევის პროცესზე

სააოლქო სასამართლოში გუშინ მკვლელობასა და სხვა მძიმე დანაშაულებებში ბრალდებულის მარიკ დუდაევის პროცესზე დაზარალებულები დაჰკითხეს.

სასამართლო კოლეგიას ჩვენება მამუკა ფაკაურმა მისცა

როგორც ფაკაურმა აღნიშნა, დუდაევმა პირთა ჯგუფთან ერთად, იგი თავის მეგობარ ზურა გიუნაშვილთან ერთად 1995 წელს ფულის გამოძალვის მიზნით გაიტაცა და აწამა. დაზარალებულის ინფორმაციით, ამავე ჯგუფის წევრებმა გიუნაშვილი მოკლეს.

გუშინდელი პროცესი განსაკუთრებული დაცვის ქვეშ მიმდინარეობდა. დუდაევის ბადრაგირებას სპეცდანიშნულების რაზმის წევრები ახორციელებენ.

შიდა-ქართლის სამხარეო პოლიციის თანამშრომლებმა მკვლელობაში, ყაჩაღობასა და ადამიანის გატაცებაში ეჭვმიტანილი მარიკ დუდაევი 2004 წლის 16 მარტს ჩატარებული სპეცოპერაციის დროს დააკავეს.

ინტერპრესნიუსი

## გვემრავლოს!

### ოთხ დღეში 30 ბავშვი...

თითოეული მშობიარე ქალი განსაკუთრებულია. მათ მიმართ მკვეთრად ინდივიდუალური მიდგომაა აუცილებელი. ასეც იქცევიან სამშობიარო სახლების მუშაკები. ამის დასტური გახლავთ შპს კლინიკური მედიცინის ცენტრის (ყოფილი პირველი სამშობიარო სახლი) მიმღების განყოფილების გამგის თამარ ალექსანდრიდის შეტყობინება. სექტემბერში აქ 165 ჯანმრთელი ბავშვი დაიბადა, მათ შორის ორი ტყუპი, ყველა შიდა ქართლიდან და კახეთიდანაა.



აკადემიკოს ჩაჩავას სახელობის პერინატალური მედიცინისა და სამეანო-გინეკოლოგიის სამეცნიერო კვლევითი ინსტიტუტის საორგანიზაციო განყოფილებიდან კი ექიმმა ნონა გოგელიამ გვაუწყა, რომ სექტემბერში მათ ინსტიტუტში დაბადებული 298-ვე ბავშვი ჯანმრთელი გაეწერა. პირველი ოქტომბრიდან 4 ოქტომბრის ჩათვლით კი 30 ბავშვი დაიბადა.

მრავალშვილიანობა საქართველოს უკვდავებაა, გაიზარდონ!

ნათელა ფაილოძე.

**ჩვენი ტელეფონები: 93-34-04; 99-73-24.**

## ცოტაც გავიცინოთ...

**— ჩვენი რენტგენის მონაცემებით, ორმხრივი პნევმონია გაქვთ.**

**— რას ამბობთ, გაგიჟდით? მე ხომ ერთი ფილტვი მაქვს.**

* * *

**— მაპატიე, მაგრამ ახლა მაინც უნდა გითხრა, რომ ორი ბავშვის ალიმენტს ვიხდი, — ეუბნება სიძე პატარძალს ქორწილის შემდეგ.**

**— არა უშავს, ეს ჩვენს ბიუჯეტს არ დააზარალებს. მეც სწორედ ორი ბავშვისთვის ვიღებ ალიმენტს.**

* * *

**— ძვირფასო, ეუბნება ახალგაზრდა ქმარი თანამეცხედრეს, — ქორწილისთვის ჩემს მიერ გაწეული დანახარჯები შენი მზითვის ღირებულებას შევუდარე...**

**— მერე რა გამოარკვიე?**

**— ის, რომ თურმე მხოლოდ სიყვარულით დავქორწინებულვარ შენზე...**



* * *

**— საყვარელო, გადავწყვიტე, სმას შევეშვა, — მიახარა ივანიჩმა ცოლს.**

**— როგორ? რატომ? აწი ვინ დამიძახებს მზეთუნახავს?**

* * *

**პატარა დოლარი სჯობს დიდ მადლობას.**

## ისარგებლეთ ცხელი ხაზით!

**საპატრულო სამსახური — 022;**

**გენერალური პროკურატურა — 99-74-10;**

**შინაგან საქმეთა სამინისტრო — 99-53-50;**

**საგარეო საქმეთა სამინისტრო — 28-47-47;**

**ფინანსთა სამინისტრო — 22-17-80; 22-09-24;**

**იუსტიციის სამინისტრო — 75-82-21;**

**ჯანდაცვის სამინისტრო — 94-34-98;**

**ლტოლვილთა და განსახლების სამინისტრო — 38-47-98;**

**სოფლის მეურნეობის სამინისტრო — 98-57-81;**

**ეკონომიკური განვითარების სამინისტრო — 98-23-58; 50-69-00;**

**შსს სანებართვო განყოფილება — 98-57-01;**

**კონტროლის პალატის გენერალური ინსპექცია — 95-30-81; 96-71-78;**

**თავდაცვის სამინისტროს გენერალური ინსპექცია — 23-56-73;**

**საქართველოს სანიტარიული ზედამხედველობის ინსპექცია — 39-52-47;**

**თბილისის სანიტარიული ზედამხედველობის ინსპექცია — 37-78-70;**

**შხამიანი ქვეწარმავლების გაუვნებელყოფის სამსახური — 22-61-48; 22-33-53;**

**ერთიანი საპენსიო ფონდი — 69-65-93; 69-65-94.**

**კატასტროფების ცენტრი, გადაუდებელი და სასწრაფო დახმარება, რეანიმობილის მომსახურება — 24 საათი; პაციენტის გადაყვანა რეგიონული სტაციონარებიდან თბილისის კლინიკებში — 51-77-37.**

## ლარის კურსი

**5 ოქტომბრიდან დადგინდა ლარის მიმართ უცხოური ვალუტების შემდეგი კურსები**

| | | |
|---|---|---|
| ინგლისური გირვ. სტერლ. | 1 | 3,1484 ლარი |
| აშშ დოლარი | 1 | 1,7950 ლარი |
| ევრო | 1 | 2,1420 ლარი |
| რუსული რუბლი | 1 | 0,0627 ლარი. |
| აზერბაიჯანული მანათი | 1000 | 0,3908 ლარი. |
| სომხური დრამი | 100 | 0,4048 ლარი. |
| უკრაინული გრივნა | 10 | 3,5541 ლარი. |

## ამინდი დღეს

| 5 ოქტომბერი | ☼ | ☽ |
|---|---|---|
| თბილისი | $22^0$ | $13^0$ |
| ბათუმი | $23^0$ | $15^0$ |
| სოხუმი | $21^0$ | $13^0$ |
| ქუთაისი | $22^0$ | $14^0$ |
| თელავი | $23^0$ | $14^0$ |

## მოდა

### კოსტიუმები პიკანტური ქალებისთვის

**მილანის მოდის კვირეულში ბევრი ცნობილი მოდელი მონაწილეობდა. მათ 2005-2006 წლის მიმართულებები წარმოადგინეს. დოლჩე და გაბანა, კრისტიან ლაკრუა, ლა პერლა, ჩერუტი, გუჩი. აი, იმ წამყვან დიზაინერთა არასრული სია, რომლებმაც წლევანდელ მოდაში ამინდი შექმნეს და დეფილეზე დამსწრე მაღალი საზოგადოება პიკანტური კოსტიუმებით დიდად აღაფრთოვანეს.**

ამ სეზონის კოლექციაში კრისტიან ლაკრუამ აქცენტი სპორტული სტილის სამოსზე გააკეთა, — მან ბლუზონები, ჟაკეტები, ქვედაბოლოები, ჟილეტები და შარვლები სპორტულ სტილში წარმოადგინა. კოსტიუმების შექმნისას სალათისფერი, ვარდისფერი და ფირუზისფერი გამოიყენა, მასალად კი, უმეტესად, აბრეშუმი შეარჩია. სწორედ ამიტომ, პოდიუმზე მოსიარულე მოდელები ჰაეროვნად და დახვეწილად გამოიყურებოდნენ.

დოლჩე და გაბანას გემოვნებისა და სტილის თაყვანისმცემლები პოპულარულ ადამიანთა უმრავლესობაა. დომენიკო დოლჩემ და სტეფანო გაბანამ თავიანთი კოლექცია ლონდონის საკლუბო სტილს მიამსგავსეს. მათი მოდელების ჩაცმულობა და მაკიაჟი ზედმეტი ექსტრავაგანტურობით გამოირჩეოდა. განუყრელი მეგობრების შემოქმედებას, როგორც ყოველთვის, არ აკლდა გამბედაობა, ენერგიულობა, მრავალფეროვნება და, ბუნებრივია, ახალი იდეები.

ლა პერლა — იტალიური მოდის ეს სახლი მსოფლიო ბაზარზე მდიდრული საცვლების წარმოებით არის ცნობილი. ამჯერად მან წარმოადგინა საცვლები რომანტიკული ღამისთვის. ლა პერლა მოდელებს ტრადიციულისა და ელეგანტურობის შერწყმით წარმოაჩენს.

გუჩის კოლექციაში წარმოდგენილი კოსტიუმების აქცენტი ქალის წელზე იყო გადატანილი. ამ სახლის წამყვანმა დიზაინერმა ტომ ფორდმა კორსეტები მინიმალურ ზომებში წარმოადგინა და ქალებს წელი კიდევ უფრო დაუწვრილა. გრძელი ქვედაბოლოები, გამოყვანილი ატლასისა და ნეილონის ბლუზონები კოლექციას შუა საუკუნეების ელფერს მატებდა.

მოულოდნელობებით აღსავსე რობერტო კავალიმ, შეიძლება ითქვას, მხიარული მოდელები შემოგვთავაზა, რომლებშიც მაყურებელს საკარნავალო განწყობილებას და გასული საუკუნეების მდიდრული მოდის ნოსტალგიას უქმნიდა.

ჩერუტის მოდელების გამოსვლა კი რეპერების წვეულებას უფრო წააგავდა. თუმცა, ამ გაბედულმა კოლექციამ კრიტიკოსების მოწონება მაინც დაიმსახურა. ჩერუტის მიერ წარმოდგენილი ქალი ამჯერადაც სექსუალური, ძალიან თანამედროვე და ამავდროულად ქალურია.

კარლ ლაგერფილდის მოდელები კი პოდიუმზე უჩვეულოდ ბრწყინავდნენ, რომანტიკულ იერს ვერცხლისფერ-ვარდისფერი მაკიაჟი ანიჭებდათ. ლაგერფილდმა, ამჯერად, ქალის სუპერთანამედროვე სილუეტი დაგვანახა.





ლელა დონაძე

სურათზე: მოდელები მილანის პოდიუმიდან.

## ხსოვნა

### თეიმურაზ (თემურ) ჯანელიძე



ეროვნული თანხმობის კავშირი, ევრომეცნიერების საქართველოს ეროვნული სექცია და აფხაზეთიდან დევნილთა უფლებების დაცვის ასოციაცია ღრმა მწუხარებით იუწყებიან, რომ მოულოდნელად, 65 წლის ასაკში გარდაიცვალა ქართული მუსიკალური კულტურის თვალსაჩინო მოღვაწე, საქართველოს 1960-1980-იანი წლების ეროვნულ-განმათავისუფლებელი და ადამიანის უფლებათა დამცველი მოძრაობის გამოჩენილი წარმომადგენელი, ზვიად გამსახურდიას და მერაბ კოსტავას ერთგული თანამებრძოლი, 1992-2003 წლების წინააღმდეგობის მოძრაობის ერთ-ერთი ლიდერი, 1990 წლის 28 ოქტომბრის პირველი მრავალპარტიული და დემოკრატიული არჩევნების შედეგად არჩეული ეროვნული პარლამენტის — საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს წევრი, ქ. რუსთავის ყოფილი პრეფექტი, ბატონი

თეიმურაზ (თემურ) არჩილის ძე ჯანელიძე

და სამძიმარს უცხადებენ განსვენებულის ოჯახს, ახლობლებს და სრულიად საქართველოს.

მშვიდობით, ბატონო თემურ! ფაფუკი ყოფილიყოს თქვენთვის მშობლიური ქართული მიწა. თქვენი სახელი და ღვაწლი დაუვიწყარია ჩვენთვის.

### გია კალანდარიშვილი



ჩვენო გია, შენ ჩვენი ლამაზი სამეგობროს დიდი და საოცრად ნათელი წერტილი იყავი, ძალზედ მოულოდნელი და თავზარდამცემი აღმოჩნდა შენი უდროოდ წასვლა, ვერ გავაცნობიერეთ და დაჯერება გაგვიჭირდა. მაღალი, ათლეტური კაცის უსაზღვროდ ღია ცისფერი თვალებიდან მარადიულად მოდიოდა სიკეთის, ერთგულების, მეგობრობის ნაღდი და ჭეშმარიტი კაცობის გამჭვირვალე შუქი, რომელიც გვათბობდა და ნეტარებით გვავსებდა ყველას.

ჩვენი მეგობრობა წლების წინათ დაიწყო, ეს სტუდენტობის უმშვენიერესი ხანა იყო, მაშინ ლაღი, უდარდელი და ახალგაზრდა ბიჭები ვიყავით, ამ პერიოდმა შეგვაძლება და საოცარი ურთიერთობები ჩამოაყალიბა ჩვენში, შემდგომში ერთმანეთთან უკვე არა მარტო მეგობრობა, ნათელმირონობაც გვაკავშირებდა, ოჯახებით ვმეგობრობდით და შვილებს ვასწავლიდით, როგორ გაეგრძელებინათ ჩვენი უსაზღვროდ გულწრფელი და ლამაზ ტრადიციებზე დაშენებული მეგობრობა. იმის გაცნობიერება, რომ შენ ჩვენთან აღარასოდეს იქნები, უსაშველო ტკივილია და ერთბაშად ვიგრძენით იმ წლების არსებობა ჩვენს მხრებზე, რომელსაც ერთად ყოფნისას ყურადღებასაც კი არ ვაქცევდით. შენ, დიდი გულის ბიჭს, ისევ გულმა გიღალატა და დაუნდობლად მოგვტაცა შენი თავი.

ჩვენო გია, ყოველთვის ამაღლებული და გამორჩეული იყო შენი თამადობა, კითხულობდი ლექსებს სამშობლოზე, სიყვარულზე, მეგობრობაზე. კითხულობდი გულახდილი განცდითა და სულშიჩამწვდომი ტკბილი ხმით, ყველას გვეგონა, კიდევ ბევრი დრო გვქონდა წინ ერთად ყოფნისა, ერთმანეთის მოფერებისა და მეგობრობისა, თურმე უზარმაზარი გამოცდის წინაშე ვიდექით.

შენი წასვლით ძალიან ლამაზი, თბილი და ფაქიზი დამთავრდა, შენი არყოფნით ვერშეუვსებელმა სიცარიელემ დაისადგურა და ძალიან გაგვიჭირდება, შევეგუოთ უშენობას, შენზე წარსულში და მოგონებებში ლაპარაკს. მსუბუქი ყოფილიყოს შენზე დაყრილი მიწა, ჩვენო მეგობარო, ნათელში დაედოს ბინა შენს ფაქიზ და ნეტარ სულს.

**შენი მეგობრები: გივი ცეცხლაძე, ირაკლი ავაზაშვილი, ოქროპირ სადუნიშვილი, მიშიკო აივაზაშვილი, გიორგი ქიტესაშვილი, გოგი სარიშვილი.**



მეუღლე ზოია, ძმა როლანდი, შვილები გიორგი, ნინო გაბრიჩიძეები, სიძე ზაზა ჯოხაძე, რძლები ანა გორგიშელი, მზია ჯინჯიხაძე, ძმისწულები დავითი, თინათინი, შვილიშვილები ალექსანდრე, თამარი, მარიამი, ელენე იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

ომარ ალექსანდრეს ძე გაბრიჩიძე

პანაშვიდი 4, 5 X 17 სთ. ფანასკერტელ-ციციშვილის ქუჩა, კორპ №15, ბინა №31, გამოსვენება 6 X 15 სთ., მაცხოვრის ამაღლების ეკლესიიდან (საბურთალოს სასაფლაო).

თენგიზ, ქეთინო ქავთარაძეები, ზაურ, ნელი ფხალაძეები ღრმა მწუხარებით იუწყებიან

ომარ ალექსანდრეს ძე გაბრიჩიძის

გარდაცვალებას

და სამძიმარს უცხადებენ განსვენებულის ოჯახს.

თბილისის სახელმწიფო სამედიცინო ინსტიტუტის სამკურნალო ფაკულტეტის 1981 წლის კურსდამთავრებულები (მე-7 ჯგუფი) ღრმა მწუხარებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა უსაყვარლესი მეგობარი, კეთილშობილი ადამიანი, ლამაზი კაცი, მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი

გია გიორგის ძე კალანდარიშვილი

და თანაუგრძნობენ განსვენებულის ოჯახს.

საქართველოს რესპუბლიკა
SAKARTVELOS RESPUBLIKA
იბეჭდება გამომცემლობა „კოლორის" სტამბაში, რკინიგზის ჩიხი, 20.

დამფუძნებლები – გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის" თანამშრომლები
გამომცემელი – შპს „თანადგომა-1"
დირექტორი თენგიზ კალანდაძე.

მთავარი რედაქტორი რუსლან რუსია.
მორიგე რედაქტორი ბონდო გულიაშვილი.

ინდექსი 66434,
მისამართი: 0108, თბილისი, მ. კოსტავას ქ. №14.
ტელ: 99-73-24.
სარეკლამო განყოფილება - ტელ: 93-28-13.

რედაქციის მიერ შეუკვეთავი მასალები დაიბეჭდება ავტორთა ხარჯით. წერილებში მოყვანილი ფაქტების უტყუარობაზე პასუხს აგებენ ავტორები, რომელთა მოსაზრებები, შესაძლოა, მუდამ არ ემთხვეოდეს რედაქციის პოზიციას.

ავტორებს ვთხოვთ, კომპიუტერზე აანაწყობ 2-2,5 ნაბეჭდ გვერდზე მეტი მოცულობის სტატიებს ნუ შემოგვთავაზებენ.